# სარბიელი

სპორტული გაზეთი | ხუთშაბათი 21 სექტემბერი 2000 №182 (1204) | ფასი 50 თეთრი


# გრაცმა გალას შტურმი მოუწყო

## აი შტურმი, აი გრაცი(ა). უეფას თასისა და ევროპის სუპერთასის მფლობელი „გალათასარაი“ გუშინ ავსტრიაში განადგურდა



REUTERS

თურქთა მძლეველნი: ირანელი მეჰრდარ მინავანდი, მარკუს შოპი, ჰანს რაინმაიერი და ურუგვაელი ანდრე ფლურკინი

UEFA CHAMPIONS LEAGUE

A ჯგუფი

| | |
|---|---|
| რეალი | 1 |
| სპარტაკი | 0 |
| ლევერკუზენი | 3 |
| სპორტინგი | 2 |

B ჯგუფი

| | |
|---|---|
| ლაციო | 3 |
| სპარტა | 0 |
| არსენალი | 3 |
| შახტარი | 2 |

C ჯგუფი

| | |
|---|---|
| ჰერენვენი | 0 |
| ვალენსია | 1 |
| ოლიმპიაკოსი | 2 |
| ლიონი | 1 |

D ჯგუფი

| | |
|---|---|
| შტურმი | 3 |
| გალათასარაი | 0 |
| მონაკო | 0 |
| რეინჯერსი | 1 |

იხილეთ მეორე გვერდი

# სიდნეი: დღეს ქართველები იჩხუბებენ, იჭიდავებენ, გაცურავენ და... ველარ ისვრიან

Sydney 2000

## გუშინ ოლიმპიური ჩემპიონები გახდნენ

### სროლა

ვაჟები. დაბლ ტრეპი
რიჩარდ ფოლდსი (დიდი ბრიტანეთი)
ქალები. ნებისმიერი შაშხანა. 3 მდგომარეობიდან
რენატა მაუერ-როზანსკა (პოლონეთი)

### ძიუდო

ვაჟები. 90 კგ
მარკ ჰუზინგა (ჰოლანდია)
ქალები. 70 კგ
სიბელის ვერანესი (კუბა)

### ტანვარჯიში

ვაჟები. მრავალჭიდი
ალექსეი ნემოვი (რუსეთი)

### ძალოსნობა

ვაჟები. 69 კგ
გალაბინ ბოევსკი (ბულგარეთი)
ქალები. 75 კგ
მარია იზაბელ ურუტია (კოლუმბია)

### სანიჩბოსნო სლალომი

ვაჟები. ერთადგილიანი ბაიდარა
ტომას შმიდტი (გერმანია)
ვაჟები. ორადგილიანი კანოე
პავოლ ჰოხშორნერი — პეტერ ჰოხშორნერი (სლოვაკეთი)

### ფარიკაობა

ვაჟები. რაპირა
კიმ იუნგ ჰო (კორეა)

### ცურვა

ვაჟები. 200 მ. ბრასი
დომენიკო ფიორავანტი (იტალია)
ვაჟები. 100 მ. თავისუფალი სტილი
პიტერ ვან ჰოგენბანდი (ჰოლანდია)
ქალები. 200 მ. ბატერფლაი
მისტი ჰაიმენი (აშშ)
ქალები. 4X200 მ. ესტაფეტა. თავისუფალი სტილი
აშშ
(სამანტა არსენო, დიანა მუნზი, ლინდსი ბენკო, ჯენი ტომპსონი)

### მშვილდოსნობა

ვაჟები
საიმონ ფეიერვეზერი (ავსტრალია)

### ველოტრეკი

ვაჟები. ქულებზე რბოლა
ხუან ლანერასი (ესპანეთი)
ვაჟები. სპრინტი
მარტი ნოთსტეინი (აშშ)
ქალები. სპრინტი
ფელისია ბალანჟე (საფრანგეთი)

ილია გიორგაძემ ტანმოვარჯიშეთა წინასწარ ტურნირში მეთორმეტე ადგილი დაიკავა და გუშინ მრავალჭიდის ფინალში უნდა ესპარეზა. მის გვარს ვერცერთ ოქმში ამოიკითხავთ, რისი მიზეზიც ტრავმაა: ქართველმა ტანმოვარჯიშემ ერთ-ერთ ვარჯიშზე ადრე ნაოპერაციევი მუხლის ჯვარედინი მყესები დაიზიანა. ექიმების, მწვრთნელების და დელეგაციის ხელმძღვანელობის გადაწყვეტილებით, გიორგაძემ გამოტოვა მრავალჭიდის ფინალი. ამით მას მეტი დრო მიეცა ტრავმის მოსაშუშებლად — 25 სექტემბერს ხომ ღერძზე ვარჯიშის ფინალი ელის. სიდნეიდან მოსული ცნობით, იმ დროისთვის ილია ჯანმრთელი იქნება.

სიდნეის ტატამზე ერთხელ გაგიდა ძიუდოისტი გია გუგავა (90 კგ). მან პირველივე წრეში წააგო რუს დმიტრი მოროზოვთან. მომდევნო წრეში მისი დამმარცხებელიც დამარცხდა და გუგავაც ტურნირსმიღმა დარჩა.

დღეს ოლიმპიადაზე ორივე ქართველი მოკრივე იჩხუბებს: თემურ ხურცილავა (54 კგ) რუს რაიმკულ მალახბეკოვს შეხვდება, ხოლო ვლადიმერ ჭანტურია (91 კგ) — ეგვიპტელ მოსტაფა მაჰმუდ ამროს. ძიუდოისტ ივერი ჯიქურაულის (100 კგ) პირველი მეტოქე ტაივანელი იენი იქნება, ზურაბ ბერიძე კი წინასწარ ეტაპზე 50 მეტრს თავისუფალი სტილით გაცურავს.

დღეს გამთენიისას საქართველოს მშვილდოსან ქალთა ნაკრები (ხათუნა ლორიგი, ხათუნა ფუტკარაძე, ასმათ დისამიძე) მერვედფინალშივე დამარცხდა გერმანიის გუნდთან და შეჯიბრებას გამოეთიშა.

ოლიმპიური ჩანართი იხილეთ მეშვიდე-მეათე გვერდებზე

## ჩემპიონთა ლიგა. მეორე ტური

### A ჯგუფი

**რეალი 1:0 სპარტაკი**

1:0 ელგერა (50)
რეალი: კასილიასი, სალგადო, ელგერა, კარანკა, რობერტო კარლოსი, სელადესი (იერო 82), მაკელელე, სავიო (მაკმანამანი 65), გუტი, ფიგუ მუნიტისი (ტოტე 89)
მწვრთნელი: ვისენტე დელ ბოსკე
სპარტაკი: ფილიმონოვი, კოვტუნი, ჩუისე (შირკო 58), ანანკო, პარფიონოვი, ბულატოვი, შტოლცერსი (ბეზროდნი 65), ტიტოვი, ტიხონოვი, კალინიჩენკო, რობსონი (მარკაო 74)
მწვრთნელი: ოლეგ რომანცევი
მსაჯი: ლესლი ირვინი (ჩრდ. ირლანდია)
25 000 მაყურებელი

**ლევერკუზენი 3:2 სპორტინგი**

0:1 ანდრე კრუზი (12), 1:1 რამელოვი (65), 2:1 ბრდარიჩი (72), 3:1 ნოივილი (77), 3:2 ზა პინტუ (79პ)
ლევერკუზენი: ცუბერბიულერი, ოჯიგვე (ბრდარიჩი 46), ჟივკოვიჩი, იენს ნოვოტნი, რ. კოვაჩი, შნაიდერი (ვრანიეში 90), რამელო, ბალაკი, გრეშკო (ნოიენდორფი 68), ნოივილი, რინკი
მწვრთნელი: კრისტოფ დაუმი
სპორტინგი: შმაიხელი, პრატესი, ბეტუ სევერუ ანდრე კრუზი, რუი ჟორჟე (ტონიტო 75), უგო, ბინუ, ზა პინტუ, ჟოაუ პინტუ, პ. ბორჟატი (ბეში 80), აკოსტა (მ. მვენზა 73)
მწვრთნელი: აუგუსტო ინასიო
გაძევება: ჟოაო პინტუ (41)
მსაჯი: კნუდ ერიკ ფისკერი (დანია)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რეალი | 2 | 1 | 1 | 0 | 3:2 | 4 |
| სპარტაკი | 2 | 1 | 0 | 1 | 2:1 | 3 |
| ლევერკუზენი | 2 | 1 | 0 | 1 | 3:4 | 3 |
| სპორტინგი | 2 | 0 | 1 | 1 | 4:5 | 1 |

### B ჯგუფი

**არსენალი 3:2 შახტარი**

0:1 ბახარევი (26), 0:2 ვორობეი (29), 1:2 ვილტორდი (45), 2:2, 3:2 კიოუნი (85, 90)
არსენალი: სიმენი, დიქსონი, კიოუნი, ლუენი, სილვინიო, პირესი (ვილტორდი 33), ვიეირა, გრიმანდი, ლიუნგბერგი (ბერხკამპი 66), ანრი, კანუ
მწვრთნელი: არსენ ვენგერი
შახტარი: ვირტი, სტაროსტიაკი, პოპოვი, ტიმოშჩუკი, გლევეცკასი, აბრამოვი (კრივენცოვი 58), ატელკინი (კოვალიოვი 76), ბახარევი (ბიელიკი 69), შევჩუკი, ვორობეი, ზუბოვი
მწვრთნელი: ვიქტორ პროკოპენკო
გაძევება: პოპოვი (45)
მსაჯი: ჰარტმუტ შტრამპე (გერმანია)
33 922 მაყურებელი

**ლაციო 3:0 სპარტა**

1:0 ინძაგი (35), 2:0 ვერონი (58), 3:0 ინძაგი (70)
ლაციო: მარკეჯანი, ფავალი (კოლონეზე 80), ნესტა, ფერნანდუ კოუტუ, პანკარო, სტანკოვიჩი, სიმეონე, ვერონი, ნედვედი (სესინი 80), ს. ინძაგი (ლომბარდო 73), სალასი
მწვრთნელი: სვენ გორან ერიკსონი
სპარტა: პოსტულკა, გრიგერა, პორნაკი, ირჟი ნოვოტნი, მინარი, ბოლფი, სვობოდა (კოლუშეკი 78), იაროშიკი, როსიცკი, კინჩლი (ზიგლი 82), ობაიდინი
მწვრთნელი: ივან ჰაშეკი
მსაჯი: კიროს ვასარასი (საბერძნეთი)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლაციო | 2 | 2 | 0 | 0 | 6:0 | 6 |
| არსენალი | 2 | 2 | 0 | 0 | 4:2 | 6 |
| შახტარი | 2 | 0 | 0 | 2 | 2:6 | 0 |
| სპარტა | 2 | 0 | 0 | 2 | 0:4 | 0 |

UEFA CHAMPIONS LEAGUE


REUTERS ლონდონიდან

**«არსენალის» მაისურით აქამდე ჩატარებულ 378 მატჩში მცველ მარტინ კიოუნს 5 გოლი ჰქონდა შეგდებული. გუშინ კი ლამის ამის ნახევარი «შახტართან» შეხვედრის ბოლო ხუთ წუთში გაიტანა და «ჰაიბერი» სირცხვილს გადაარჩინა.**

### C ჯგუფი

**ოლიმპიაკოსი 2:1 ლიონი**

1:0 ოფორი კუაე (19), 2:0 ჯოვანი (34), 2:1 ფოე (88)
ოლიმპიაკოსი: ელეფთეროპულოსი, ანცასი, ამანატიდისი, ლუსიანო (იანაკოპულოსი 74), პაცაცოღლუ, ჯორჯევიჩი, ზე ელიასი (პურსანიდისი 72), ოფორი კუაე (მავროგენიდისი 82), ზეტერბერგი, ჯოვანი, გეორგატოსი
მწვრთნელი: იანის მაცურაკისი
ლიონი: კუპე, დეფლანდრე, ლაკილი, ედმილსონი, ბრეშე, ვიოლო (ლეგლი 65), ფოე, დორასო (მიულერი 65), ანდერსონი, მარლე, ლინარესი (მალბრანკი 65)
მწვრთნელი: ჟაკ სანტინი
მსაჯი: გრემ პოლი (ინგლისი)
70 000 მაყურებელი

**ჰერენვენი 0:1 ვალენსია**

0:1 კილი (38)
ჰერენვენი: ვონკი, ებიინგი, ვენემა, ჰანსმა, გ. დე ნოიერი, რადომსკი, იენსენი (დენებუმი 82), შუიზინგი, ნურმელა, ტალანი, ლურლინგი
მწვრთნელი: ფომ დე ჰაანი
ვალენსია: კანისარესი, ანგლომა, პელეგრინო, ჯუკიჩი, კარბონი, მენდიეტა, დეშამპი (მიია 10), ბარახა, კილი გონსალესი (ვისენტე 46), ხუან სანჩესი, დიეგო ალონსო (კარეუ 80)
მწვრთნელი: ექტორ რაულ კუპერი
მსაჯი: ვალენტინ ივანოვი (რუსეთი)
14 000 მაყურებელი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ვალენსია | 2 | 2 | 0 | 0 | 3:1 | 6 |
| ოლიმპიაკოსი | 2 | 1 | 0 | 1 | 3:3 | 3 |
| ლიონი | 2 | 1 | 0 | 1 | 4:3 | 3 |
| ჰერენვენი | 2 | 0 | 0 | 2 | 1:4 | 0 |

### D ჯგუფი

**მონაკო 0:1 რეინჯერსი**

0:1 ვან ბრონკჰორსტი (8)
მონაკო: პორატო, ირლი, მარკეში, როდრიგესი, რიისე (პრსო 46), ჯეტუ, ჟული, ბონალი (გრაველენი 69), აბიდალი, სიმონე, ნონდა (კურვილი 84)
მწვრთნელი: კლოდ პუელი
რეინჯერსი: კლოსი, რეინა (ვიდმარი 87), ამორუზო, კონტერმანი, ნუმანი, თუგაი, ჯონსტონი, ფერგიუსონი, ვან ბრონკჰორსტი, რ. დე ბური, მოლსი (მაკკანი 58)
მწვრთნელი: დიკ ადვოკაატი
მსაჯი: ათანას უზუნოვი (ბულგარეთი)
15 000 მაყურებელი

**შტურმი 3:0 გალათასარაი**

1:0 იურანი (31), 2:0 შოპი (64), 3:0 შუპი (82)
შტურმი: შიკლგრუბერი, ნოიკირხნერი, პოპოვიჩი, პრილასნიგი, შოპი, შუპი, რაინმაიერი (შტრაფნერი 71), ფლურკინი, მინავანდ ჩალი, იურანი (კორსოში 82), კოციანი (მამედოვი 46)
მწვრთნელი: ივიცა ოსიმი
გალათასარაი: ტაფარელი, ბიულენთ ქორქმაზი, კაპონე, პოპესკუ, ჰაქან უნსალი, დავალა უმითი (ათალაი 70), სუათი, ბიულენთ აკინი, აშ მეთი (მარსიო სანტუში 46), ჟარდელი, ჰასან სასი (ერგუნი 46)
მწვრთნელი: მირჩა ლუჩესკუ
გაძევება: სუათი (69)
მსაჯი: რენე ტემინკი (ჰოლანდია)
15 400 მაყურებელი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რეინჯერსი | 2 | 2 | 0 | 0 | 6:0 | 6 |
| შტურმი | 2 | 1 | 0 | 1 | 3:5 | 3 |
| გალათასარაი | 2 | 1 | 0 | 1 | 3:5 | 3 |
| მონაკო | 2 | 0 | 0 | 2 | 2:4 | 0 |


REUTERS ლონდონიდან

იური ვირტის ვირტუოზული თამაშის მიუხედავად, „არსენალი" ანგარიშს ათანაბრებს

## იტალია

**სერია B**

მესამე ტურის გადადებული მატჩები

**რავენა 0:2 პიაჩენცა**
**მონცა 1:0 სალერნიტანა**
**სამპდორია 2:2 პისტოიეზე**
**ტორინო 0:1 ვენეცია**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| კალიარი | 3 | 3 | 0 | 0 | 9:3 | 9 |
| პიაჩენცა | 3 | 3 | 0 | 0 | 6:0 | 9 |
| სიენა | 3 | 2 | 1 | 0 | 7:2 | 7 |
| სამპდორია | 3 | 2 | 1 | 0 | 7:5 | 7 |
| ვენეცია | 3 | 2 | 1 | 0 | 6:4 | 7 |
| კოზენცა | 3 | 2 | 0 | 1 | 4:2 | 6 |
| კიევო | 3 | 2 | 0 | 1 | 3:2 | 6 |
| ანკონა | 3 | 2 | 0 | 1 | 4:4 | 6 |
| პისტოიეზე | 3 | 1 | 2 | 0 | 5:3 | 5 |
| ჩიტადელა | 3 | 1 | 1 | 1 | 5:5 | 4 |
| ემპოლი | 3 | 1 | 1 | 1 | 3:3 | 4 |
| მონცა | 3 | 1 | 0 | 2 | 3:4 | 3 |
| ტერნანა | 3 | 1 | 0 | 2 | 3:5 | 3 |
| კროტონე | 3 | 1 | 0 | 2 | 2:8 | 3 |
| ჯენოა | 3 | 0 | 2 | 1 | 1:2 | 2 |
| სალერნიტანა | 3 | 0 | 1 | 2 | 3:5 | 1 |
| რავენა | 3 | 0 | 1 | 2 | 2:5 | 1 |
| ტორინო | 3 | 0 | 1 | 2 | 1:4 | 1 |
| ტრევიზო | 3 | 0 | 0 | 3 | 3:7 | 0 |
| პესკარა | 3 | 0 | 0 | 3 | 2:6 | 0 |

## შოტლანდია

**გადადებული მატჩები**

**დანდი 3:0 დანდი იუნაიტედი**
1:0, 2:0, 3:0 სარა (47, 80, 88)

**ჰარტსი 2:0 სენტ მირენი**
1:0 მაკსვიგანი (46), 2:0 ხუანხო (68)

## ნორვეგია

**გადადებული მატჩი**

**ბრანი 2:1 სტარტი**

## ჰოლანდია

თასის I ეტაპი

**ტილბურგი 1:2 ეინდჰოვენი (1 l)**

## უნგრეთი

**A ჯგუფი**

გადადებული მატჩი

**ჰონვედი 2:0 დიორ ეტო**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დიორ ეტო | 9 | 5 | 1 | 3 | 14:11 | 16 |
| დუნაფერი | 7 | 4 | 3 | 0 | 17:6 | 15 |
| ტატაბანია | 8 | 4 | 3 | 1 | 16:12 | 15 |
| ჰონვედი | 8 | 2 | 5 | 1 | 11:8 | 11 |
| შოპრონი | 8 | 3 | 1 | 4 | 12:14 | 10 |
| ფერენცვაროში | 8 | 2 | 2 | 4 | 13:17 | 8 |
| ჰალადაში | 8 | 2 | 1 | 5 | 8:15 | 7 |
| ნიირშეგი | 8 | 2 | 0 | 6 | 4:12 | 6 |

## შვედეთი

მეოცე ტურის მატჩი: გიოტებორგი — გაის 3:2

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ჰალმსტადი | 20 | 12 | 4 | 4 | 36:19 | 40 |
| აიკ | 20 | 11 | 4 | 5 | 31:24 | 37 |
| ჰელსინგბორგი | 20 | 11 | 2 | 7 | 37:23 | 35 |
| ელფსბორგი | 19 | 10 | 2 | 7 | 32:27 | 32 |
| გიოტებორგი | 20 | 8 | 7 | 5 | 30:24 | 31 |
| იორგრიტე | 19 | 9 | 3 | 7 | 25:21 | 30 |
| იორებრო | 20 | 8 | 4 | 8 | 33:29 | 28 |
| ნორჩიოპინგი | 20 | 6 | 9 | 5 | 27:23 | 27 |
| ჰამარბი | 20 | 7 | 6 | 7 | 24:27 | 27 |
| ტრელებორგი | 20 | 6 | 7 | 7 | 19:22 | 25 |
| სუნდსვალი | 20 | 5 | 6 | 9 | 26:33 | 21 |
| ჰაკენი | 20 | 3 | 10 | 7 | 29:36 | 19 |
| გაის | 20 | 2 | 8 | 10 | 18:31 | 14 |
| ფრიოლუნდა | 20 | 2 | 6 | 12 | 14:42 | 12 |


**იურიდიული და საადვოკატო მომსახურება შეღავათიან ფასად. ფირმების რეგისტრაცია სწრაფად და იაფად**

*მარჯანიშვილის ქუჩა №5; II სართული; ოთახი №228*

ტელეფონი: 95 53 20; 62 56 52 (საღამოს)


## ინგლისი

**ლიგის თასი**

II ეტაპის პირველი მატჩები

**მანჩესტერ სიტი 1:1 ჯილინგემი**
**ნიუკასლი 2:0 ლეიტონი**
**საუთჰემპტონი 2:0 მენსფილდი**
**სტოკი 2:1 ჩარლტონი**
**ევერტონი 1:1 როვერსი**

**დერბი ქაუნთი 1:2 ვესტ ბრომვიჩი**

1:0 ბარტონი (33), 1:1 კლემენტი (48), 1:2 სნიკსი (83)
დერბი ქაუნთი: პოომი, ჯექსონი, ბრაგსტადი, კარბონარი, ჰიგინბოთემი, ერანიო (სტარიჯი 72), ვალაკარი, ჯონსონი (მიურეი 31), ქინქლაძე (მნური 79), კრისტი, დ. ბარტონი
მწვრთნელი: ჯიმ სმიტი
12 816 მაყურებელი

ვესტბრომვიჩელმა რიჩარდ სნიკსმა „პრაიდ პარკზე" მისული ქომაგი გააოგნა და დაამწუხრა. „დერბი ქაუნთი" გუშინწინ, მართალია, ლიგის თასის მეორე ეტაპის პირველ მატჩში დიონ ბარტონის 33-ე წუთზე გატანილი თავურით იგებდა, მაგრამ მაინც წააგო პირველდივიზიონელ „ვესტ ბრომვიჩთან".

მასპინძლებს ვერც იტალიელმა სტეფანო ერანიომ და ქართველმა გიორგი ქინქლაძემ უშველეს. ჯიმ სმიტმაც ორივე გამოცვალა. გადამწყვეტი გოლი კი შეხვედრის დამთავრებამდე შვიდი წუთით ადრე გავიდა, როცა სნიკსმა დაახლოებით 22 მეტრიდან მოხდენილი დარტყმით მარტ პოომი და „პრაიდ პარკი" სახტად დატოვა.

რაც შეეხება თემურ ქეცბაიას „ვულვერჰემპტონს", „გრიმსბისთან" მისი მატჩი წვიმის გამო გადაიდო.

**ბარნსლი 4:0 ძრიუ**
1:0 დაიერი (40), 2:0 ვან დერ ლაანი (56), 3:0, 4:0 შერონი (88, 90)
5 005 მაყურებელი

**ბლეკბერნი 4:0 პორტსმუთი**
1:0 კარსლი (20), 2:0 ტომასი (21), 3:0 ოსტენსტადი (52), 4:0 ტომასი (60)
10 364 მაყურებელი

**ბრენტფორდი 0:0 ტოტენჰემი**
8 580 მაყურებელი

**ბარნსლი 2:2 კრისტალ პალასი**
0:1 ფორსელი (17), 0:2 ბლეკი (46), 1:2 კუკი (66), 2:2 პეიტონი (81პ)
5 889 მაყურებელი

**ჩესტერფილდი 1:0 ფულემი**
1:0 პერიში (90)
3 710 მაყურებელი

**დარლინგტონი 0:1 ბრედფორდი**
0:1 ჯული (45)
5 392 მაყურებელი

**მიდლსბრო 2:1 მაკლსფილდი**
0:1 ბარკერი (59), 1:1 ველანი (87), 2:1 სამერბელი (90)
5 144 მაყურებელი

**მილუოლი 2:0 იფსვიჩი**
1:0 აიფილი (37), 2:0 კაილი (80)
8 068 მაყურებელი

**ნორვიჩი 3:3 ბლექპული**
1:0 რობერტსი (21პ), 1:1 მერფი (26), 2:1 მარშალი (28), 3:1 კოტი (42), 3:2 ორმეროდი (43), 3:3 მერფი (86)
9 359 მაყურებელი

**ნოტსი 1:3 უოტფორდი**
0:1, 0:2 მუნი (55, 61), 1:2 სტელარდი (77პ), 1:3 პალმერი (81)
2 346 მაყურებელი

**ოლდემი 1:3 შეფილდ უენსდი**
1:0 ბოშელი (20), 1:1 მორისონი (33), 1:2 დე ბილდე (64), 1:3 ვესტვუდი (70)

**პრესტონი 1:3 ძოვენთრი**
0:1 ზუნიგა (4), 0:2 ჰალი (45), 1:2 ალექსანდერი (47პ), 1:3 სტრაჩანი (85პ)

**შეფილდ იუნ. 3:0 კოლჩესტერი**
1:0 დევლინი (17), 2:0 კლარკი (80ს.კ.), 3:0 კელი (81)

**სანდერლენდი 3:0 ლუთონი**
1:0 ოსტერი (51), 2:0 ფილიპსი (60), 3:0 ტირლველი (86)

**ტრანმერი 1:1 სუინდონი**
1:0 ჰილი (48), 1:1 ჰაზელი (54ს.კ.)

**უოლსოლი 0:1 ვესტ ჰემი**
0:1 დიფო (84)

**უიმბლდონი 0:0 უიგანი**
1 941 მაყურებელი

**უიკომბი 3:4 ბირმინგემი**
0:1, 0:2 ჰორსფილდი (2, 22), 0:3 ჯონსონი (23), 1:3 რამელი (45), 2:3 ბაირდი (71), 3:3 ბატესი (86), 3:4 ჯონსონი (87)

**დღევანდელ „სარბიელში" საფეხბურთო გვერდებია 2, 3, 4, 5, 6, 11, 12**



დინო ძოფს „ლაციოს“ ვიცეპრეზიდენტობა შესთავაზეს

# კრანიოტი რომს სტადიონს შეჰპირდა

## დინო ძოფს ლაციოში აბრუნებენ, მედიას კი უფლებები შეუზღუდეს

**იტალიის** ჩემპიონთა პრეზიდენტმა სერჯო კრანიოტიმ საჯაროდ განაცხადა, რომ „ლაციოში“ შესაძლოა დინო ძოფი დააბრუნოს. „იტალიის ნაკრებიდან წასული მწვრთნელისთვის მისი ყოფილი კლუბის კარი ყოველთვის ღიაა“ — აღნიშნა კრანიოტიმ. ვარაუდობენ, რომ ძოფი დედაქალაქში მომავალ კვირაში ჩავა და კლუბთან, რომელსაც ადრე წვრთნიდა და ერთი ხანობა პრეზიდენტობდა, ახალ სამწლიან კონტრაქტს გააფორმებს. კრანიოტი ძოფს აღმასრულებელი ვიცე-პრეზიდენტის თანამდებობას სთავაზობს.

კრანიოტი „პაპა დინოს“ ახლო მეგობარია. სერია A-ს ჩემპიონთა პრეზიდენტს ღრმად სწამს, რომ გამოცდილი ხელმძღვანელის დაბრუნება კლუბს სასიკეთოდ წაადგება, თავის მხრივ კი ძოფი მწვრთნელ სვენ გორან ერიკსონს, გენერალურ მენეჯერ მასიმო კრანიოტისა და სპორტულ დირექტორ ნელო ჯოვერნატოს დიდად დაეხმარება. ზოგიერთმა სააგენტომ ახლახან გამოააშკარავა, რომ „სკუადრა აძურადან“ წასვლის შემდეგ დინო ძოფი „ინტერის“ თავკაცად მიიწვიეს, თუმცა მსოფლიოს ყოფილმა ჩემპიონმა მარჩელო ლიპის სავარძელში მოკალათება არ ისურვა. გაუწყეთ კიდეც, რომ „პაპა დინომ“ ერთ-ერთ უდინურ სპორტულ უნივერსიტეტში ფიზიკური მომზადების მასწავლებლად დაიწყო მუშაობა. ახლა კი „ლაციო“ ირწმუნება, რომ თუ ძოფი კრანიოტის შეთავაზებულ სამწლიან კონტრაქტს ხელს მოაწერს, სანაცვლოდ 1,6 მილიონ დოლარს ჩაიჯიბავს.

სერჯო კრანიოტიმ კიდევ ერთი დაპირებით გაახარა რომის ლაციოელი ქომაგები: პრეზიდენტის განცხადებით, გუნდი ხუთ წელიწადში ახალ სტადიონზე ითამაშებს.

„სწორედ ასეა, ხუთ წელიწადში ახალი არენა გვექნება — აღნიშნა კლუბის მმართველმა — სამუშაოების დასაწყებად მალე ყველაფერი მზად იქნება, ამ პროექტზე 25 მილიონ დოლარზე მეტი დავხარჯე. მეამაყება იმის თქმა, რომ მალე „ლაციოს“ იტალიაში ყველაზე თანამედროვე სტადიონი ექნება“. კრანიოტიმ ორ შესაძლო ალტერნატიულ არჩევანზე ისაუბრა: „მსურს, მთელ ევროპაში მოვიწონოთ თავი. ჩვენ ახალი სტადიონი გვჭირდება, ამისთვის კი ორი ვარიანტი არსებობს: პირველი — სარბიელს „სტადიო ოლიმპიკოს“ ადგილას ავაგებთ და მეორე, რომელსაც მე უპირატესობას ვანიჭებ — ავაშენებთ სრულიად ახალ სპორტულ კომპლექსსა და სტადიონს. გეგმები დავაწყვე, დედაქალაქის ხელმძღვანელობასაც ვესაუბრე, ყველაფერი რიგზეა. ნებართვის მისაღებად გარკვეული დრო დაგვჭირდება, თუმცა შევეცდებით, დასახული ამოცანა უახლოეს მომავალში განვახორციელოთ. მინდა, „ლაციოსთვის“ ისეთი სტადიონი ავაგო, რომელიც წამყვან ევროპულებს ტოლს არ დაუდებს“.

ასეთია პრეზიდენტის სიტყვა, ხოლო იგი ძვირად რომ ფასობს, ამაზე დახარჯული მილიონები და რომში ჩაყვანილი ვარსკვლავებიც ნათლად მეტყველებენ. ახალი სტადიონის აშენებაზე ადრეც წერდნენ — კრანიოტის გუნდი „სტადიო ოლიმპიკოს“ თავის მუდმივ მოქიშპე „რომასთან“ იყოფს და იქ აღარ დაედგომებაო.

ახალი სარბიელი დაახლოებით „მანჩესტერ იუნაიტედის“ „ოლდ ტრეფორდის“ სიგრძე-სიგანის უნდა იყოს. ეს ყველაფერი კი მომავალი ხუთი წლის საქმეა.

„ლაციოს“ ფინანსურ ჯგუფს გუნდის სალაროს შევსების „ჩინებული“ იდეაც დაებადა. ეს ამბავი, ალბათ, ჩვენებური გუნდების მესვეურთა დიდ დაინტერესებას გამოიწვევს, ამიტომ არ დაგზარდებით და საქმის ვითარებას წვრილად გაგაცნობთ.

მოკლედ, ასეა — მალე გუნდის საწვრთნელ ბაზა „ფორმელოზე“ ჟურნალისტებისთვის შესვლა ფასიანი გახდება. ტელევიზიისა და რადიოს კორესპონდენტები ბაზაზე შესასვლელად წელიწადში 25 ათას დოლარს გადაიხდიან, პრესის წარმომადგენლებისთვის კი „ლაციომ“ ხუთმაგი თანხა დააწესა.

„არავითარი უფასო ფოტო ბაზაზე“ — ბრძანა აგრეთვე „ლაციოს“ ხელმძღვანელობამ, ანუ: იმ ფოტო ან ტელე რეპორტიორმა, რომელიც „ფორმელოდან“ მასალის გატანას მოისურვებს, კლუბის ბიუჯეტს წინასწარ დადგენილი თანხა უნდა შეწიროს.

გარდა ამისა, კლუბის თავკაცობამ მოთამაშეებს ასეთი მოთხოვნა წაუყენა — „ფორმელოს“ გარეთ, რომში, დამხდურ ჟურნალისტებს ინტერვიუზე არაფრისდიდებით დაეთანხმოთო.

მაგრამ თქმა ერთია, შესრულება — მეორე. იტალიაში პაპარაცებს ვინ შეაჩერებს?

**ნიკა ზუბლაძე**

# ბლატერის ახალი ინიციატივა

**ოლიმპიურ** თამაშებზე ჩასული ფიფას პრეზიდენტი ზეპ ბლატერი ვიქტორიას შტატის სპორტის მინისტრს შეხვდა და ისეთი რამე თქვა, რაც საერთო ინტერესის საგნად უნდა იქცეს. კერძოდ, ბლატერი მსოფლიოს ჩემპიონატების შესარჩევი ეტაპის სტრუქტურის შეცვლას აპირებს და თავისი თუ გაიტანა, 2006 წლიდან ოკეანეთის წარმომადგენელი ყოველგვარი გადათამაშების გარეშე გავა მსოფლიოს ჩემპიონატზე.

მოგეხსენებათ, ფიფაში შემავალი ექვსი კონფედერაციიდან ოკეანეთისა ყველაზე სუსტია და მხოლოდ თერთმეტ ქვეყანას აერთიანებს (სამხრეთ ამერიკაში ათი ქვეყანაა, მაგრამ როგორი!). ამიტომაც, ოკეანეთი მუდამ დაჩაგრული რჩება: იქაურ გამარჯვებულს გადათამაშებაში ხან სამხრეთამერიკელ და ხან აზიელ პრეტენდენტს ახვედრებენ, რის გამოც მსოფლიოს ჩემპიონატები, როგორც წესი, ყოველთვის მათ გარეშე ტარდება. „ეს სწორი არაა — ამბობს ბლატერი — ოკეანეთი ფიფას დიდი ოჯახის წევრია და იგი იმსახურებს, უდიდეს საფეხბურთო ტურნირზე წარმომადგენელი ჰყავდეს. 2002 წლის მსოფლიოს ჩემპიონატზე კონტინენტებისთვის დაწესებულ ლიმიტს ველარ შევცვლით, 2006 წლისთვის კი ადგილებს უფრო სამართლიანად გადავანაწილებთ“.

ბლატერი კიდევ შორს მიდის. ავსტრალიელებს ჰპირდება, 2003 წელს თქვენთან კონფედერაციის თასს, მსოფლიოს საკლუბო და ქალთა ჩემპიონატებს გავმართავო. მერე კი... მერე, ცხადია, ნაღდი მსოფლიოს ჩემპიონატის მასპინძლობის დროც მოვა.

ბოლოს გავიხსენოთ, რომ ოკეანეთის წარმომადგენლები მხოლოდ ორჯერ მოხვდნენ ფეხბურთის უპირველეს ზეიმზე. 1970 წელს ავსტრალიამ გადათამაშებაში სამხრეთ კორეა დაამარცხა და მექსიკაში გაემგზავრა. მეორედ და ჯერჯერობით საბოლოოდ პატივი ახალ ზელანდიას ხვდა, როცა ესპანეთის მსოფლიოს ჩემპიონატის საგზური ჩინეთთან გადათამაშებაში მოიპოვა.

# ჰაინკესი ბენფიკადან წავიდა

**გერმანელი** სპეციალისტის იუპ ჰაინკესისა და პორტუგალიური კლუბის „ბენფიკას“ გზები გაიყარა: მწვრთნელმა პოსტის დატოვება გადაწყვიტა. გუნდის პრეზიდენტ ჟოაუ ვალე აზეველუს ცნობით, ჰაინკესის გადადგომა პირადი მიზეზებითაა გამოწვეული.

ვინ შეცვლის მას? პრეზიდენტმა განაცხადა, რომ ვაკანტურ ადგილზე ანტონიო ოლივეირას მიწვევას აპირებს. სპეციალისტი, რომელსაც მეტსახელად ტონი ჰქვია, ლისაბონურ კლუბს ადრეც ავარჯიშებდა.

„ოფიციალურად ვადასტურებ, რომ ჰაინკესთან კონტრაქტი შეწყვეტილია“ — თქვა აზეველუმ. პორტუგალიური პრესა იტყობინება, რომ პრეზიდენტმა ოლივეირას „ბენფიკას“ მწვრთნელობა ჯერ კიდევ გუშინ შესთავაზა, რადგან იცოდა, რომ გერმანელი სპეციალისტი თანამდებობას დატოვებდა. აზეველუსა და ოლივეირას შორის მოლაპარაკება გუშინ ოთხ საათს გაგრძელდა, საბოლოო შედეგი კი ახლა უნდა გაცხადდეს.

ჰაინკესი ორი წლის წინ მადრიდის „რეალს“ თავკაცობდა და მასთან ერთად ჩემპიონთა თასიც მოიგო, თუმცა მერე „სამეფო კლუბიდან“ წავიდა, რასაც ლორენსო სანსთან უთანხმოებით ხსნიან. ლისაბონური კლუბი გერმანელმა შოტლანდიელი გრემ სუნესისგან ჩაიბარა.

წინა შაბათს, პორტუგალიის ჩემპიონატის მეოთხე ტურში, „ბენფიკამ“ არცთუ მრისხანე „ამადორა“ 2:1 დაამარცხა, თუმცა გამარჯვება იოლად არ მოუპოვებია და ჰოლანდიელი ფორვარდის, პიერ ვან ჰოიდონკის ბოლო წუთზე გატანილი გოლებით გავიდა ფონს. ეს ყველაფერი კი ლისაბონელ ქომაგთა თვალწინ მოხდა, რამაც, ბუნებრივია, მათი უკმაყოფილება გამოიწვია. ყოველივეს ისიც დაემატა, რომ „ბენფიკამ“ ევროთასებზეც ვერ იხეირა — უეფას თასის შეხვედრაში შვედურ „ჰალმშტადთან“ 1:2 დამარცხდა.

ოდესღაც ევროპის ჩემპიონთა თასის მფლობელი გუნდი ახლა არცთუ სახარბიელო მდგომარეობაშია: პორტუგალიის ჩემპიონის ტიტულს ბოლოს შვიდი წლის წინ ფლობდა, ქვეყნის ახალდაწყებულ პირველობაზე კი ოთხ მატჩში შვიდი ქულა დააგროვა და მეექვსე ადგილზეა.

იმასაც ამბობენ, კლუბს ვალები დაუგროვდაო.

# ხუთი სეზონი პერუჯაში

**„პერუჯას“** მწვრთნელმა სერსმე კოსმიმ კლუბთან კონტრაქტი გაახანგრძლივა. იგი გუნდში 2005 წლის ზაფხულამდე დარჩება, რათა მასთან ერთად სერია A-ში მაღალ შედეგებს მიაღწიოს. ხელშეკრულების გაფორმებისას „პერუჯას“ პრეზიდენტმა ლუჩანო გაუჩიმ საგანგებოდ აღნიშნა, თუ რაოდენ მნიშვნელოვანი იყო მწვრთნელის შენარჩუნება და კიდევ: რომ იგი კლუბის გაყიდვას არ აპირებს. არადა, ამაზე უკვე ლაპარაკობენ.

ბუნებრივია, კლუბის გაყიდვის იდეამ აღაშფოთა გულშემატკივრები, რომლებმაც ერთი პერიოდი საპროტესტო გამოსვლებიც კი მოაწყვეს. პრეზიდენტმა ისინი დაამშვიდა — მწვრთნელთან ახალი კონტრაქტის გაფორმება წარმატების წინაპირობაა, თავად მე კი აქციებს არ დავთმობო.

კოსმი, რომელსაც მიმდინარე შეთანხმება 2001 წელს უსრულდებოდა, მალე პერუჯელთა მოსაწონი კლუბის მშენებლობას შეუდგება. „გაუჩის შემოთავაზებით კმაყოფილი ვარ. მე მისი მჯერა, მას კი — ჩემი. ერთობლივი ძალისხმევით დასახულ მიზნებს უფრო იოლად მივაღწევთ“ — თქვა კოსმიმ.

სერია A-ს დაწყებას კვირაზე ოდნავ მეტი უკლია. კლუბები ბოლო მოსამზადებელ მატჩებს ატარებენ. კოსმის სპარინგ-პარტნიორად სერია B-ში მოთამაშე „სიენა“ აურჩევია და მას მომავალ უქმეებზე გაეჯიბრება.




დენის ბერხკამპი

# ბოლომდე არსენალელი

**ჰოლანდიელი** დენის ბერხკამპი კარიერას სავარაუდოდ ლონდონის „არსენალში“ დაასრულებს. 31 წლის ფორვარდმა კლუბის ხელმძღვანელობასთან პირობები უკვე შეათანხმა. არადა, მოლაპარაკებები მეტად ხანგრძლივი იყო. ჰოლანდიელმა ექვსი თვე იფიქრა, ლონდონში დარჩენილიყო თუ არა. ახალი ხელშეკრულების თანახმად, დენისი „არსენალის“ ყველაზე მაღალხელფასიანი მოთამაშე გახდება და „ჰაიბერიზე“ 2004 წლამდე გამოვა. მაშინ კი, უკვე 35 წლისა, ალბათ თამაშსაც თავს დაანებებს.

ბერხკამპი ჰოლანდის ნაკრებს რამდენიმე თვის წინ დაემშვიდობა. მისი ბოლო სანაკრებო მატჩი ევრო 2000-ისა გახლდათ, მერე თავდამსხმელმა ეროვნულ გუნდში თამაში აღარ ისურვა. „ნაკრებიდან ჩემი წასვლა იმას ნიშნავს, რომ ეროვნული გუნდის შეხვედრების დროს შევისვენებ და ძალებსა და სიმხნევეს აღვიდგენ. ასე მირჩევნია“ — აღნიშნა ჰოლანდიელმა.

ამსტერდამის „აიაქსის“ ყოფილი ფეხბურთელი „არსენალში“ 1995 წელს ჩაირიცხა. ერთი ხანობა მან მილანის „ინტერშიც“ მოსინჯა ძალები, სადაც, სხვათა შორის, უეფას თასიც მოიპოვა. პრემიერლიგაში დღემდე ჩატარებულ 152 შეხვედრაში ჰოლანდიელს 57 გოლი აქვს გატანილი.

# სოლის ნატკენი მხარი

**ინგლისის** ნაკრებისა და „ტოტენჰემ ჰოთსფურის“ მცველი სოლ კემპბელი დაშავდა, რის გამოც მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ მატჩს გერმანიასთან გამოტოვებს. მცველმა ლიგის თასის შეხვედრაში ბრენტფორდელ მარკ მაკკემონთან შეჯახებისას მხარი იტკინა. ექიმებმა დაასკვნეს, რომ ტრავმა სახუმარო არაა და ახოვანი ინგლისელიც ცოტა ხნით დააკლდება კლუბსა და ნაკრებს.

„ტოტენჰემის“ თავკაცი ჯორჯ გრემი: „სოლს მხარი დაუზიანდა. იგი ჰოსპიტალში გავგზავნეთ. საბედნიეროდ, მოტეხილობას გადაურჩა, თუმცა მკურნალობას მაინც ვერ ასცდება. მალე ხელმეორე რენტგენული გამოკვლევა უნდა ჩაიტაროს. ექიმების ვარაუდით, იგი დაახლოებით სამ კვირას ვერ ითამაშებს. ეს ჩვენთვის დიდი დანაკლისია“.




დაშავებულმა სოლ კემპბელმა მოედანი ექიმთა დახმარებით დატოვა

7 ოქტომბერს „უემბლი“ ბოლო სანაკრებო მატჩს უმასპინძლებს, მერე კი ცნობილ არენას რეკონსტრუქცია ელის. იმ დღეს კემპბელი მინდორზე ვერ გავა, ეს ფაქტი კი გრემზე არანაკლებ ინგლისელთა თავკაცს, კევინ კიგანს ადარდებს. ფრანგებთან ბოლო ამხანაგურ შეხვედრაში სოლი ნაკრებს კაპიტნადაც მოევლინა, მას შემდეგ, რაც ტრავმის გამო მოედანი ტონი ადამსმა დასტოვა.

კიგანის გუნდის დაცვის ხაზში ახლა სიხალვათეა. ვინ იცის, ეგებ კემპბელის გარდა ტონი ადამსმაც ვერ ითამაშოს. მოკლედ, მწვრთნელი მეორე ვეტერანი არსენალელის, მარტინ კიოუნის და „ასტონ ვილას“ გარეთ საუთგეიტის იმედზეა დარჩენილი. ალბათ, კიგანი მანჩესტერელ ძმათაგან ერთ-ერთსაც ენდობა და სოლის არყოფნაში გარი ან ფილ ნევილს ათამაშებს.

## ჩემპიონთა ლიგა. II ტური. E ჯგუფი

### დეპორტივო 2:1 ჰამბურგი

1:0 პანდიანი (43), 1:1 ბარბარესი (53), 2:1 სკალონი (89)
**დეპორტივო:** მოლინა, მანუელ პაბლო, დონატო, ნაიბეტი, რომერო, მაურო სილვა, ემერსონი (ვალერონი 63), ფრანი, ვიქტორ სანჩესი (სკალონი 82), პანდიანი, დიეგო ტრისტანი (ტურუ ფლორესი 66)
**მწვრთნელი:** ხავიერ ირურეტა
**ჰამბურგი:** ბუტი, პერჩი, ჰოოგმა, პანადიჩი, რ. კოვაჩი, ტოფტინგი, ბარბარესი (ფიშერი 87), მაჰდავიკია, იებოა (კარდოზო 46), ჰოლერბახი, კეტელაერი (პრეგერი 46)
**მწვრთნელი:** ფრანკ პაგელსდორფი
**მსაჯი:** დიკ იოლი (ჰოლანდია)
15 000 მაყურებელი

**ღმერთმანი,** ამ მატჩის ცქერა შავ-თეთრ ტელევიზორში ჯობდა. გუნდებს იმდენად ერთფეროვანი ფორმები ეცვათ, ხშირად ძნელად თუ გაარკვევდით, ვის ჰქონდა ბურთი. ძნელი წარმოსადგენი იყო ისიც, რომ „დეპორტივო“ ამ მატჩს მოიგებდა — თამაშის სურათიდან გამომდინარე, რა თქმა უნდა. წინა ტურში „იუვენტუსთან“ ვაჟკაცურად ნაბრძოლი „ჰამბურგი“ არც ლაკორუნიელებს შეეპუა და რომ არა შეცვლაზე შესული ლიონელ სკალონის გოლი, მატჩი უფრო ლოგიკურად — ფრედ დამთავრდებოდა. სკალონის გოლისას შეხვედრის დასრულებას წუთიღა უკლდა.

რატომ იყო ფრე უფრო ლოგიკური? მოვუსმინოთ „დეპორტივოს“ ვეტერან ბრაზილიელ მცველ დონატოს: „არ გვეგონა, თუ მოვიგებდით. თამაში მთავრდებოდა და მართალი გითხრათ, ფრეს შეგუებულიც ვიყავით. მაგრამ სკალონიმ ივარგა და ასე საჭირო გამარჯვება მოგვიტანა“.

მანამდე კი გოლები დაცვის შეცდომების გამო გავიდა. ჯერ ვალტერ პანდიანიმ ისარგებლა ჰამბურგელი დამცველების უყურადღებობით. მეორე ტაიმის დასაწყისში კი „დეპორტივოს“ მაროკოელ ნურედინ ნაიბეტს სტუმართა ირანელმა მეჰდი მაჰდავიკიამ აჯობა, მარჯვენა ფრთიდან საჯარიმოში ჩააწოდა, იქ „ჰამბურგის“ ბოსნიელმა სერგეი ბარბარესმა ყველას დაასწრო და ღონიერი თავურით გაათანაბრა.

89-ე წუთზე კი „დეპორტივოს“ არგენტინელის, 22 წლის ლიონელ სკალონის ჯერი დადგა. საინტერესოა, რომ ამ დროისთვის სკალონი სულ შვიდი წუთის შესული იყო მინდორზე და უკვე გაფრთხილების მიღებაც მოესწრო. არგენტინელის გამარჯვების გოლი მაურო სილვასა და დონატოს კომბინაციას მოჰყვა.



REUTERS ლაკორუნიდან

დეპორტივო — ჰამბურგი 2:1. „ჰამბურგის“ ირანელი მეჰდი მაჰდავიკია (№15) და „დეპორტივოს“ ენრიკე რომერო

### იუვენტუსი 2:1 პანათინაიკოსი

1:0 ტაკინარდი (35), 1:1 გუმასი (45), 2:1 ტრეზეგე (83)
**იუვენტუსი:** ვან დერ სარი, ფერარა, ტუდორი, ბარამატი, კონტე (ბირინდელი 60), ტაკინარდი, დავიდსი, პესოტო (ბაკინი 46), ზიდანი, დელ პიერო (ტრეზეგე 62), ფ. ინძაგი
**მწვრთნელი:** კარლო ანჩელოტი
**პანათინაიკოსი:** ნიკოპოლიდისი, ჰენრიკსენი, ვოკოლოსი, ოლივარესი, ფისასი (სიპნიევსკი 87), გუმასი, კოლა, კარაგუნისი (პფლიპსენი 82), ბასინასი, ვარჟიხა (ნასიოპულოსი 77), ლიბეროპულოსი
**მწვრთნელი:** ანგელოს ანასტასიადისი
**მსაჯი:** რუნე პედერსენი (ნორვეგია)

**ტურინის** „დელე ალპიზე“ „იუვენტუსმა“ „პანათინაიკოსს“ ფრანგი დავიდ ტრეზეგეს გოლით მოუგო. დამთავრებამდე შვიდი წუთი რჩებოდა, როცა ჯონათან ბაკინის კუთხურს ალესანდრო დელ პიეროს ნაცვლად შესული ტრეზეგეს თავური და გამარჯვების გოლი მოჰყვა.

მანამდე კი... მანამდე ბერძნებმა დიდი ბრძოლა გაუმართეს იტალიელებს, არც მოძრაობაში ჩამორჩებოდნენ და სახიფათოდაც არაერთხელ შეუტიეს ვან დერ სარის კარს. ნიკოლოს ლიბეროპულოსმა და ვეტერანმა პოლონელმა კშიშტოფ ვარჟიხამ „იუვეს“ მრავლისმნახველი მცველები არაერთხელ დატოვეს ხახამშრალი, მაგრამ... საკითხავი ის არის, ბერძენთა ეს სითამამე „პანათინაიკოსის“ კარგი თამაშის ბრალი უფრო იყო თუ „იუვენტუსის“ ცუდი ფორმისა. ალბათ, ცოტა-ცოტა ორივესი.

პირველი გოლი ლამაზიც იყო და უცნაურიც. ტაიმი იწურებოდა, როცა ალესიო ტაკინარდიმ ოცდაათი მეტრიდან უძლიერესად დაარტყა, ბურთი ხარიხას შეასკდა, მერე ბერძენთა მეკარე ანტონის ნიკოპოლიდისს — თავგანწირვით რომ გადახტა — ზურგში მოხვდა და კარში შევარდა.

ბერძნებს ფარ-ხმალი არ დაუყრიათ. ათ წუთში იოანის გუმასმა ოცდახუთი მეტრიდან ტაკინარდიზე არანაკლებ ძლიერად და ეფექტურად გაისროლა. ვან დერ სარს ბურთის აღების არანაირი შანსი არ ჰქონდა — 1:1.

მეორე ტაიმში „იუვენტუსმა“ შეტევა გააძლიერა, მაგრამ სტუმრები იმდენად სწრაფი კონტრშეტევებით პასუხობდნენ, რომ არა საიმედო იტალიური დაცვა, აუცილებლად გაიტანდნენ. ერთხელ გიორგიოს კარაგუნისმა შორიდანაც სცადა მიზნის დალაშქვრა, მაგრამ ამდენი შორეული გოლი ერთ მატჩში ალბათ უკვე მეტისმეტი იქნებოდა და ვან დერ სარიც ბურთს ადგილზე დაუხვდა.

მერე კი იყო ტრეზეგეს თავური. ფრანგმა ჰაერში ბერძენთა მცველ ლეონიდას ვოკოლისს აჯობა და „ბებერ ქალბატონს“ ტურნირში პირველი გამარჯვება ჩაუწერა.

ტრეზეგეს კიდევ შეეძლო თავის გამოჩენა, როცა გოლიდან რამდენიმე წუთში ხელსაყრელ სიტუაციაში აღმოჩნდა, მაგრამ ამჯერად დარტყმა გაუცუდდა.

ცხადია, „იუვენტუსს“ მეტი შეუძლია და ეს ტურნირის განმავლობაშიც გამოჩნდება. სამშაბათს კი „შავ-თეთრთა“ მწვრთნელი კარლო ანჩელოტი თავისი გუნდის უკმაყოფილო დარჩა: „კარგად მხოლოდ ეპიზოდებში ვთამაშობდით. ეს „იუვენტუსის“ საკადრისი დონე არ არის. თუმცა სამი ქულა ავიღეთ და ახლო მომავალში, იმედია, თამაშის ხარისხსაც გავაუმჯობესებთ“ — თქვა ანჩელოტიმ.

**სოლომონ ბულისაშვილი**

| | E ჯგუფი | 1 | 2 | 3 | 4 | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | იუვენტუსი | | 26.09 | 24.10 | 2:1 | 6:5 | 4 |
| 2 | დეპორტივო | 18.10 | | 2:1 | 24.10 | 3:2 | 4 |
| 3 | ჰამბურგი | 4:4 | 8.11 | | 26.09 | 5:6 | 1 |
| 4 | პანათინაიკოსი | 8.11 | 1:1 | 18.10 | | 2:3 | 1 |

## ჩემპიონთა ლიგა. II ტური. F ჯგუფი

### ბაიერნი 3:1 რუსენბორგი

0:1 სორენსენი (38), 1:1 იანკერი (73), 2:1 ელბერი (77), 3:1 ლინკე (80)
**ბაიერნი:** კანი, სანიოლი, ბ. ანდერსონი (სანტა კრუზი 46; ელბერი 74), ლინკე, ლიზარაზუ (ტარნატი 43), ვისინგერი, ფინკი, სფორცა, შოლი, იანკერი, სალიჰამიჯიჩი
**მწვრთნელი:** ოტმარ ჰიცფელდი
**რუსენბორგი:** იამტფალი, ბასმა, ჰოფტუნი, ბ. იონსენი, სტენსაასი, ვინსნესი, სკამელსრუდი, ო. ბერგი, სორენსენი, ფ. იონსენი, რ. სტრანდი (კნუტსენი 81)
**მწვრთნელი:** ნილს არგე ეგენი
**მსაჯი:** ხუან ანტონიო ფერნანდეს მარინი (ესპანეთი)
20 000 მაყურებელი

**73-ე წუთი** მიმდინარეობდა. მიუნხენის „ბაიერნი“ საკუთარ „ოლიმპიაშტადიონზე“ 0:1-ს აგებდა და ღრმა ძილს მისცემოდა. ... და დაიწყო ჯადოსნური შვიდწუთიანი მონაკვეთი. იგი რომ დასრულდა, „ბაიერნი“ 3:1-ს იგებდა. დედა, რა იყო ეს? — ფიქრობდნენ ალბათ გუნებაწამხდარი ტრონჰეიმელები, რომლებიც 73-ე წუთამდე მომენტს მომენტზე აფუჭებდნენ...

მატჩი ისე დაიწყო, როგორც უნდა დაწყებულიყო — „ბაიერნის“ შეტევებით. უკვე მე-10 წუთზე იანკერმა შოლის ჯარიმიდან ჩაწოდებულზე მეკარეს დაასწრო, და... სწორედ ამ დროს, ბოლო მომენტში, სტენსაასმა იმარჯვა და ბურთი ცარიელი კარის ხაზიდან გამოიტანა. შოლმა ჯარიმა 27-ე წუთზეც ჩააწოდა, დასარტყმელად ისევ იანკერი ახტა, მაგრამ ვერ მისწვდა ბურთს, რომელიც ყველას გადაევლო და ძელს მოხვდა — „რუსენბორგი“ მეორედ გადარჩა. მეტოქის ნახევარზე ნორვეგიელები, მგონი, პირველად 38-ე წუთზე გადავიდნენ, თუმც გოლის გასატანად ესეც ეყოთ: სორენსენმა სანიოლი, ანდერსონი და ლინკე ბავშვებივით გააპამპულავა და კანთან პირისპირ დარჩა. სკანდინაველმა დარტყმაც უნაკლოდ შეასრულა — 1:0. ტაიმიც ასე მორჩა.

მეორე ნახევარი დაიწყო და ყველა „ბაიერნის“ გააფთრებულ შეტევებს ელოდა. გუნდის თავკაცმა ოტმარ ჰიცფელდმა თამაშში ფორვარდი, პარაგვაელი როკე სანტა კრუზიც ჩააბა, მაგრამ საგოლე მომენტები მაინც „ბაიერნის“ კართან იქმნებოდა. „რუსენბორგი“ ძალიან მწვავე კონტრშეტევებს ახორციელებდა. ერთიორჯერ მცირეტრავმამოშუშებული კანის კარი მართლაც სასწაულით გადაურჩა გოლს. მერე კი 73-ე წუთიც დადგა. სალიჰამიჯიჩი მარცხენა ფლანგზე ბურთიანად გაიქცა და საჯარიმოში ჩააწოდა. იანკერმა სანტა კრუზს გაუთამაშა და ძლიერი დარტყმით ბურთი ცხრიანში ჩაჭედა.

ამას უმალ შეცვლა მოჰყვა. ჰიცფელდმა სანტა კრუზი გაანაწყენა, 46-ე წუთზე შეყვანილი 75-ეზე გამოცვალა, მის ნაცვლად მინდორზე მძიმე ტრავმისგან ახალგანკურნებული ბრაზილიელი ჯოვანი ელბერი გამოჩნდა. ორ წუთში კი კანელბერული საფირმო კომბინაცია გათამაშდა: გერმანელმა მეკარემ წინ ძლიერად დაარტყა, ცხადია, ელბერი ჩანაფიქრს მიხვდა, მეტოქის კარისკენ გავარდა და იამტფალს პირისპირ შეეყარა. ტაბლოზეც 1:1 2:1-ით შეიცვალა. ასეთი კომბინაციით „ბაიერნს“ ადრეც არაერთხელ უხეირია.


REUTERS მიუნხენიდან

ბაიერნი — რუსენბორგი 3:1. ჯადოსნური შვიდი წუთის ფუძემდებელი ბავარიელი კარსტენ იანკერი

მოულოდნელად თავსდატეხილმა ბავარიულმა ქარიშხალმა „რუსენბორგი“ სულ მთლად დააბნია, ლინკესაც მეტი რა უნდოდა, შოლის კუთხურს დაუხვდა და თავით 3:1 გახადა. „ბაიერნმა“ მოიგო და ლიდერობაც შეინარჩუნა.

„თამაშის წინვე ვგრძნობდი, მოვიგებდით. 0:1-ზეც ვიცოდი, რომ მატჩის ბედის შემობრუნება შეგვეძლო. გადამწყვეტი მომენტი მაშინ დადგა, როცა ვისინგერი სტრანდის დარტყმულს გადაეფარა. მაშინ მეორე გოლს გადავურჩით. კარგია, რომ ყველაფერი ჩვენთვის სასურველად წარიმართა“ — გახარებული იყო ნამატჩევს ჰიცფელდი.

ოლივერ კანი კი მაყურებლის სიმწირეს უჩიოდა. „ვიცოდით, რომ ძალიან ძნელი თამაში გველოდა. მით უმეტეს, ტრიბუნაზე სულ 20 ათასი მაყურებელი იჯდა. დღეს ქომაგობა გვაკლდა, ასეთ დროს კი ძნელია ძლიერი მეტოქის დამარცხება“ — აღნიშნა კანმა.

### პარი სენ ჟერმენი 4:1 ჰელსინგბორგი

1:0 ანელკა (24), 1:1 ბ. იოჰანსენი (45), 2:1 რობერი (63), 3:1 კრისტიანი (80), 4:1 ელ კარკური (89)
**პარი სენ ჟერმენი:** ლეტიზი, ალჟერინო, რაბესანდრატანა, ელ კარკური, მენდი, ლუქსენი, დალმა (იანოვსკი 82), ბენარბია (ე. სისე 75), რობერი, კრისტიანი (ლერუა 89), ანელკა
**მწვრთნელი:** ფილიპ ბერჟერო
**ჰელსინგბორგი:** ს. ანდერსონი, რ. ნილსონი, ო. ნილსონი, მატოვაცი, პერსონი, კ. ანდერსონი (ჰანსონი 73), ბ. იოჰანსენი (ეკლუნდი 80), უ. იანსონი, ს. იოჰანსენი, ი. იანსონი, ალვარო
**მწვრთნელი:** ნანე ბერგსტადი
**მსაჯი:** ჰიუ დალასი (შოტლანდია)
28 303 მაყურებელი

**მავანი** იტყვის, საკვალიფიკაციო ეტაპზე იტალიური „ინტერის“ მძლეველი „ჰელსინგბორგი“ ჩემპიონთა ლიგის ჯგუფურ ეტაპზე შემთხვევით მოხვედრილად რატომ უნდა ჩაითვალოსო, მაგრამ სწორედაც რომ ასეა. შვედური კლუბი წლევანდელი ლიგის ერთ-ერთი ყველაზე სუსტი გუნდია. ეს სამშაბათს პარიზში კიდევ ერთხელ დადასტურდა.

„პარი სენ ჟერმენმა“ შინ ყოველგვარი ნერვიულობისა და ზედმეტი ოფლისღვრის გარეშე დაამარცხა სკანდინაველები. მაშინაც კი, როცა ტაიმის ბოლო წუთზე ბიორნ იოჰანსენმა ანელკას გოლი გაქვითა, ნათელი იყო, რომ სტუმრები შინ უქულოდ გაემგზავრებოდნენ — ძალიან დიდი იყო მოწინააღმდეგეებს შორის განსხვავება. პსჟ მთელი მატჩის განმავლობაში დიდ უპირატესობას ფლობდა, მომენტებს უხვად ქმნიდა, თუმც სარგებელს პირველ ნახევარში მხოლოდ ერთხელ გამორჩა, როცა მადრიდის „რეალიდან“ სეზონის წინ გადმობირებულმა ნიკოლა ანელკამ ივარგა.

45-ე წუთზე მასპინძლებს „ჰელსინგბორგის“ კონტრშეტევა გაეპარათ, იოჰანსენსაც მეტი რა უნდოდა, თავისიანებს ქულის მოპოვების იმედი მისცა.

დაიწყო მეორე ტაიმი. რობერის გოლამდე პარიზელები მაინც ნერვიულობდნენ, ვაითუ, „ინტერის“ მსგავსი შეგვემთხვას და ბურთმა კარის ხაზის გადაკვეთა არ ინებოსო, მაგრამ რობერმა ყველაფერი თავის ადგილას დააყენა. მერე კრისტიანიმ გამოიჩინა თავი, რობერის კუთხური გოლად აქცია — 3:1. ბოლოსწინა წუთზე კი ელ კარკურმა იმარჯვა, ოციოდე მეტრიდან ჩინებულად დაარტყა ჯარიმა — 4:1. „ჰელსინგბორგს“ შანსი ფაქტობრივად არ ჰქონია.

„კარგად დავიწყეთ თამაში. გოლიც მალე გავიტანეთ, თუმცა ამან დაგვაწყნარა, რითაც მეტოქეს ანგარიშის გათანაბრების საშუალება მივეცით. კიდევ კარგი, მოვიგეთ“ — თქვა თამაშის შემდეგ პსჟ-ს კაპიტანმა ერიკ რაბესანდრატანამ.

„მეორე ტაიმი ისე ვითამაშეთ, როგორც გვსურდა, ამიტომაც ვიმარჯვეთ. პირველი ნახევრის მიწურულს კი გუნდი არ მომეწონა, მოეშვნენ ფეხბურთელები. ეს შეცდომა იყო, რაც აღარ უნდა განმეორდეს. წინააღმდეგ შემთხვევაში, წარმატებაზე ლაპარაკიც ზედმეტია“ — ასეთი გახლდათ მასპინძელთა თავკაცის ბერჟეროს აზრი.

სტუმართა მწვრთნელმა ნანე ბერგსტადმა კი ისღა თქვა, არ გაგვიმართლა, მეორე ტაიმში მეორე ბურთის გატანაც გვმართებდაო, მერე კი დააყოლა, კიდევ ოთხი მატჩია დარჩენილი, ჯერ ყველაფერი წინაა, ბოლომდე ვიბრძოლებთო.

ისე, საინტერესოა, რას გულისხმობს ბერგსტადი ბოლომდე ბრძოლაში. შემდეგ ეტაპზე გასვლას ხომ არა?

**ვანო ოქრობირიძე**

| | F ჯგუფი | 1 | 2 | 3 | 4 | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ბაიერნი | | 18.10 | 3:1 | 24.10 | 6:2 | 6 |
| 2 | პსჟ | 26.09 | | 24.10 | 4:1 | 5:4 | 3 |
| 3 | რუსენბორგი | 8.11 | 3:1 | | 26.09 | 4:4 | 3 |
| 4 | ჰელსინგბორგი | 1:3 | 8.11 | 18.10 | | 2:7 | 0 |

## ჩემპიონთა ლიგა. II ტური. G ჯგუფი

### დინამო 0:0 მანჩესტერი

**დინამო:** შოვკოვსკი, ხაცკევიჩი, გოლოვკო, ვაშჩუკი, დმიტრულინი (ბოდნარი 82), კალაძე, ნესმაჩნი, ბელკევიჩი, შაცკიხი, დემეტრაძე (კუზმიჩევი 65), გუსინი (ფიოდოროვი 86)
**მწვრთნელი:** ვალერი ლობანოვსკი
**მანჩესტერი:** ვან დერ გოუ, გ. ნევილი, ირვინი, რ. იონსენი, სილვესტრი, ბექემი, ბათი, გიგზი, კოული (სოლსკიაერი 77), კინი, იორკი (შერინგემი 64)
**მწვრთნელი:** ალექს ფერგიუსონი
**მსაჯი:** კიმ მილტონ ნილსენი (დანია)
**60 000 მაყურებელი**

გაქანებული მეორე მსოფლიო ომის დროს, როცა კიევი ფაშისტების ხელში იყო, იქ ერთი ასეთი მატჩი გამართულა: ოკუპანტები ტყვე უკრაინელების წინააღმდეგ. საწყალ მასპინძლებს მოუგიათ და ამისთვის, თუ საბჭოთა ვერსიას დავეყრდნობით, ბევრი მათგანი სიცოცხლესაც გამომშვიდობებია.

გუშინწინ, ცხადია, ასეთი დილემის წინაშე არავინ მდგარა, ზემოთმოყვანილი ამბავი კი კიევის დინამოელთა საყოველთაო გადახოტრამ გაგვახსენა — ალბათ, სწორედ ამგვარად გამოიყურებოდა ის უბედური გუნდიც.

შესაბამისად, „იუნაიტედის“ შესაშინებელმა აქციამ ვერ გაამართლა. აი, საძაგელმა მინდორმა კი მართლაც გვარიანად ავნო ისედაც ჭირვეულ სტუმრებს და რომ არა კარის ძელი და ვან დერ გოუ, პრემიერლიგის ლიდერი შინ უქულოდ დაბრუნდებოდა. „უაღრესად კმაყოფილი ვარ ჩვენი მეკარის თამაშითა და საერთოდ, შედეგით. მეორე ტაიმში იყო ორიოდ მომენტი, როცა გადავრჩით. არ შემიძლია მინდორზეც არ ვთქვა. მან ორივე გუნდს შეუქმნა პრობლემები, ვინაიდან ჩვენი თამაშის სტილს ასეთი საფარი ყველაზე ნაკლებად ერგება. ასეთ დამძიმებულ მოედანზე აქამდე არასდროს გვითამაშია, თუმცა, მეორე მხრივ, როცა ასეთ საძაგელ პირობებშიც კარგად თამაშობ, ამით შენს სიძლიერეს ამტკიცებს“ — თქვა ალექს ფერგიუსონმა.

თავისი გუნდის თამაშით კმაყოფილი დარჩა ვალერი ლობანოვსკიც, ოღონდ თავისი აზრი, სქოთისგან ოდნავ განსხვავებული, თანაშემწის, ანატოლი პუზაჩის პირით შემოთვალა — კარგად ვითამაშეთ, განსაკუთრებით მეორე ტაიმში და მოგებაც შეგვეძლო, ამიტომ შედეგით კმაყოფილი ვერ ვიქნებიო.

მართლაც, თავდასხმაში გიორგი დემეტრაძის მეწყვილე მაქსიმ შაცკიხმა მატჩის გმირობა ხელიდან ორჯერ გაუშვა: 48-ე და 66-ე წუთებზე. ორივეჯერ მისი დარტყმული ბურთი ძელს მოხვდა. სტუმართა საუკეთესო შანსი კი ჯერ კიდევ პირველ ტაიმში ძირითად შემადგენლობაში დაბრუნებულმა დუაიტ იორკმა გაუშვა.



ანდერლეხტი — პსვ ეინდჰოვენი 1:0. ასე აღნიშნავენ მასპინძლები მოულოდნელ სამ ქულას

REUTERS ბრიუსელიდან

### ანდერლეხტი 1:0 პსვ ეინდჰოვენი

1:0 დეედენი (81)
**ანდერლეხტი:** დე ვილდე, კრასონი, სტალენსი, დე ბოეკი, დეედენი, ვანდერეგე, ბასეჯიო, გოორი, იაშჩუკი (სტოიკა 58), რაძინსკი (დინდანე 73), კოლერი
**მწვრთნელი:** ემე ანტუნესი
**პსვ ეინდჰოვენი:** ვატერეუსი, ოიერი, ვან დერ ვეერდენი, ნიკიფოროვი, ჰაინცე, რომედალი (ლუსიუსი 63), ვოგელი, ვან ბომელი, ბოუმა (კოლკა 79), კეუმანი, ბრუგინკი (დე იონგი 72)
**მწვრთნელი:** ერიკ გერეტსი
**მსაჯი:** ხოსე ანტონიო ლოპეს ნიეტო (ესპანეთი)
**28 000 მაყურებელი**

„ნამდვილად გაგვიმართლა და მოვიგეთ. ასეთია ცხოვრება — ბედი ხან გაგიღიმებს, ხანაც ზურგს შეგაქცევს“ — სამ ქულას ფილოსოფიურად გამოეხმაურა „ანდერლეხტის“ კაპიტანი ლორენცო სტალენსი. „სპორტი ხანდახან მეტად უსამართლო რამაა. აშკარად ვჯობდით მეტოქეს და მაინც წავაგეთ“ — აიტაცა მეორე ბელგიელმა, ოღონდ ამჟამად დამარცხებულ ჰოლანდიელთა მწვრთნელმა ერიკ გერეტსმა.

დიახ, ასეთია ცხოვრება და, შესაბამისად, ფეხბურთიც: 23 წლის ეინდჰოვენელი თეო ლუსიუსი ერთი კვირის წინ შეცვლაზე შევიდა და კიევის „დინამოსთან“ მოგებული მატჩის გმირი გახდა, გუშინწინ კი გერეტსის ანალოგიური ნაბიჯით საპირისპირო მოხდა — დამთავრებამდე ცხრა წუთით ადრე მასპინძელთა ნახევარმცველმა დიდიე დეედენმა დაარტყა, ბურთი ლუსიუსს მოხვდა და ვატერეუსის კარში შევარდა.

სადაც სამართალი იყო, მართლაც საპირისპირო კარის ბადე უნდა შერხეულიყო, მაგრამ გასულ კვირას „ოლდ ტრეფორდზე“ გასაცოდავებულმა ფილიპ დე ვილდემ ახალგაზრდობა გაიხსენა და საკუთარ გუნდს ბლომად ხიფათი ააცილა.

**გიგა კობახიძე**

| | G ჯგუფი | 1 | 2 | 3 | 4 | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | მანჩესტერი | | 18.10 | 5:1 | 8.11 | 5:1 | 4 |
| 2 | პსვ | 26.09 | | 8.11 | 2:1 | 2:1 | 3 |
| 3 | ანდერლეხტი | 24.10 | 1:0 | | 18.10 | 2:5 | 3 |
| 4 | დინამო | 0:0 | 24.10 | 26.09 | | 1:2 | 1 |

## ჩემპიონთა ლიგა. II ტური. H ჯგუფი

### ბეშიქთაში 3:0 ბარსელონა

1:0, 2:0 აჰმეთი (37, 74), 3:0 ნუმა (87)
**ბეშიქთაში:** შორუნმუ, კარჰანი, ტაიფური, მიუნხი, უმითი, ხლესტოვი, ერმანი (რაჰიმი 90), იბრაჰიმი, ნუმა (ულუსალი 88), ნიჰათი, აჰმეთი (იასინი 80)
**მწვრთნელი:** ნევიო სკალა
**ბარსელონა:** დუტრუელი, ფ. დე ბური, აბელარდო, ხერარდი, პეტი, სიმაო (ზენდენი 76), სერხი (ალფონსო 63), დე ლა პენია, ოვერმარსი, რივალდო, კლუივერტი (დანი 73)
**მწვრთნელი:** ლორენს სერა ფერერი
**მსაჯი:** კლოდ კოლომბო (საფრანგეთი)
**20 000 მაყურებელი**

**წინა** სეზონში სტამბოლიდან შერცხვენილები დაბრუნდნენ „მილანი“ და „ლიდსი“. მათ კვლავაც მოუწევთ იქ სტუმრობა, იქამდე კი „ბარსელონამ“ წაიმტვრია კისერი. და არა აქვს მნიშვნელობა, „გალათასარაი“ იქნება თუ „ბეშიქთაში“, მთავარი ისაა, რომ სტამბოლია მოჯადოებული ქალაქი.

„ხომ ნახეთ, რაიმე განსაკუთრებული, ჩახლართული სათამაშო სქემა არ გვქონია — განაცხადა მატჩის შემდეგ ნევიო სკალამ — ძალიან მარტივი ტაქტიკით ვითამაშეთ, რამაც ფეხბურთელებს ამოცანის შესრულება გაუადვილა და აი, შედეგიც“.

რა გააკეთა ასეთი „ბეშიქთაშმა“? კარგად ამოკეტა რივალდო და კონტრშეტევებზე ითამაშა, სტუმართა იერიშებს კი თურქთა მცველები და ნიგერიელი მეკარე იკე შორუნმუ იოლად იგერიებდნენ.

მატჩის შემდეგ თურქული დარდიმანდობით დაიარებოდა აჰმეთ დურსუნი, რისი საბაბიც ორი გოლის გამტანს ნამდვილად ჰქონდა, ჟურნალისტებს კი უთხრა: „ბარსელონა“ საუკეთესო გუნდია მსოფლიოში და რაკი ასეთი შავი დღე ვაყარეთ, არაფრით ჩამოვრჩებით“.

მესამე გოლი ფრანგმა პასკალ ნუმამ გაიტანა — მისი დარტყმული ძელს მოხვდა და მერე კარის ხაზს მიღმა აღმოჩნდა. გეხსომებათ, ეს ის ნუმაა, რომლის გოლებმაც შარშან „ლანსი“ უეფას თასის ნახევარფინალში გაიყვანა.

„მოგებაზე არანაკლებ მნიშვნელოვანია იმის შეგრძნება, რომ გრანდების დამარცხება შეგვიძლია. ეს საქმის სანახევროდ გაკეთებას ნიშნავს. მეორე ნახევარი კი დისციპლინა და ხარვეზების აღმოფხვრაა. პირველ ტურში „მილანს“ ვუგებდით, მაგრამ, სამწუხაროდ, ოთხი გოლი გავატანინეთ. მსგავს შეცდომას აღარ დავუშვებთ, რაც „ბარსელონასთან“ თამაშმაც დაადასტურა“ — ესეც ნევიო სკალას სიტყვებია.

ლორენს სერა ფერერის პრესკონფერენცია ხანმოკლე გამოდგა: „ანგარიშიდან გამომდინარე, სათქმელიც არაფერი მაქვს. ფაქტია, რომ საკუთარ თავზე მეტი უნდა ვიმუშაოთ“.

აქ ერთი ამბავი გვახსენდება. წინა სეზონში, გაზაფხულზე, „ბარსელონამ“ ზედიზედ სამი სამარცხვინო მარცხი იწვნია: 5 აპრილს „ჩელსისთან“ 1:3, 9 აპრილს „მალიორკასთან“ 0:3, 15 აპრილს „ოვიედოსთან“ ასევე 3:0. ახლა კი ზედიზედ ორჯერ წააგო სამ-სამი გოლით „ბილბაოსთან“ და „ბეშიქთაშთან“.

ველოდოთ მესამეს?



ლიდსი — მილანი 1:0. იტალიელი ფრანჩესკო კოკო ფეხებში ორმაგ ვარდნას გადაურჩა

### ლიდსი 1:0 მილანი

1:0 ბოიერი (89)
**ლიდსი:** მარტინი, კელი, დაბერი, მილსი, მატეო, ებაკე, ბოიერი, დაკური, ჰარტი, სმიტი, ბრიჯისი
**მწვრთნელი:** დევიდ ოლირი
**მილანი:** დიდა, შამოტი, ალბერტინი, კოსტაკურტა, მალდინი, ჰელვეგი, ჯუნტი (საუდატი 90), კოკო, გულიელმინპიეტრო (დე აშენტისი 60), ბირჰოფი, შევჩენკო
**მწვრთნელი:** ალბერტო ძაკერონი
**მსაჯი:** გიუნტერ ბენკო (ავსტრია)

**ლი ბოიერი** თავის დროზე ყმაწვილი აზიელის ცემისთვის ციხეში რომ ჩაესვათ... კრისტიან აბიატი ოლიმპიადაზე რომ არ წასულიყო... ლიდსში ოთხშაბათ საღამოს ცა რომ არ ჩამოქცეულიყო... მაგრამ მოხდა ისე, რომ ყველაფერმა ამან ერთად მოიყარა თავი და შედეგად „ლიდსმა“ „მილანს“ მოუგო.

89-ე წუთზე ლი ბოიერის დარტყმული ზედ კარის ხაზზე მდგომმა ნელსონ დიდამ ვერ დაიჭირა, ხელიდან გავარდნილი ბურთი კი ბადეში შეგორდა. 89-ე წუთამდე ანგარიში 0:0 იყო.

ამ თამაშმა ერთი ტრადიცია განამტკიცა, ერთსაც წყალი (ჯობს ვთქვათ, წვიმაო) შეუდგა: „მილანისთვის“ ეს მეათე მოუგებელი მატჩი იყო ინგლისში, ხოლო ანდრეი შევჩენკომ, რომელსაც ლიგის წინა სამ შეხვედრაში (საკვალიფიკაციოს ჩათვლით) წყვილი გოლები გაჰქონდა, ამჯერად ვერაფერი გააწყო. არადა, უკრაინელს მომენტები ჰქონდა, მაგრამ ორჯერ ნაიჯელ მარტინმა აუღო, ერთხელაც დენი მილსმა შეაჩერა საჯარიმოში შეჭრილი.

ლიდსელთაგან იმავ ლი ბოიერზე უნდა ვთქვათ. „ლიდსის“ ნორვეგიელმა ერიკ ბაკემ ახლო მანძილიდან რომ ოდნავ ააცილა ბურთი კარს, პასი ბოიერისგან მიიღო. ოდნავი სიზუსტე დააკლდა მაიკლ დაბერის და ესეც ბოიერის ჩაწოდების შემდეგ.

„ლიდსის“ მწვრთნელი დევიდ ოლირი საფინალო სასტვენის შემდეგ სიხარულით ცას ეწია. თავად აღიარა, ამაზე მნიშვნელოვანი გამარჯვებისთვის აქამდე არ მიმიღწევიაო. მანვე თქვა: „მოგება ხომ კარგია, იტალიური გუნდისა კი ორმაგად. იტალია ერთ-ერთია ევროპის სამი უდიდესი საფეხბურთო ქვეყნიდან, ამიტომ ჩვენს გამარჯვებას განსაკუთრებული ფასი აქვს“.

„მილანის“ ქომაგთა ერთი ნაწილი დიდას დედას უდიერად იხსენიებდა, მწვრთნელი ალბერტო ძაკერონი კი ამ მოსაზრების გაბათილებას შეეცადა: „რა ვქნათ, ფეხბურთში ამგვარი რამეები ხდება ხოლმე. სამწუხაროა, რომ მაინცდამაინც ჩვენ შეგვემთხვა. დიდას შეცდომას ძალიან მკაცრად ნუ განვსჯით, თავისი გასაჭირი ეყოფა“.

**გიორგი დარჯანია**

| | H ჯგუფი | 1 | 2 | 3 | 4 | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | მილანი | | 18.10 | 4:1 | 8.11 | 4:2 | 3 |
| 2 | ბარსელონა | 26.09 | | 8.11 | 4:0 | 4:3 | 3 |
| 3 | ბეშიქთაში | 24.10 | 3:0 | | 18.10 | 4:4 | 3 |
| 4 | ლიდსი | 1:0 | 24.10 | 26.09 | | 1:4 | 3 |



გურამ რუხაძე



ანატოლი მილჩენკო

# თქვენ კორუმპირებული ხართ!

## ვიტ ჯორჯიას პრეზიდენტი გურამ რუხაძე მსაჯებს კორუფციაში ამხელს

— თქვენი სისტემა კორუმპირებულია, ამიტომ როგორც ხელმძვანელს, თანამდებობაზე დარჩენის უფლება არ გაქვთ, დაუყოვნებლივ წადით, წინააღმდეგ შემთხვევაში მე ვიზრუნებ ამაზე — „ვიტ ჯორჯიას“ პრეზიდენტ გურამ რუხაძის ხმა მეხის გავარდნასავით გაისმა სადისციპლინო ტექნიკური კომიტეტის გუშინდელ სხდომაზე.

რუხაძემ სტკ-ის წევრების, ჟურნალისტების, მსაჯების, ფედერაციის წარმომადგენლების თანდასწრებით სერიოზული ბრალდება წაუყენა სამსაჯო-საინსპექტორო კომიტეტის თავკაც ანატოლი მილჩენკოს და მსაჯებს.

ადვილი წარმოსადგენია ამ სიტყვების ადრესატის რეაქცია. მილჩენკოს ფერი დაეკარგა, ხმა აუკანკალდა. მოგვიანებით კი, ფიზკულტურის აკადემიის რექტორის, ომარ გოგიაშვილის კაბინეტი გულზე ხელმიდებულმა დატოვა.

სტკ-ის გუშინდელი სხდომა სასამართლო პროცესს ჰგავდა, საბოლოო განაჩენმა კი უმრავლესობას უკმაყოფილების გრძნობა დაუტოვა. ჯობს, ყოველივეს თანმიმდევრობით მივყვეთ.

გასულ ორშაბათს „ვიტ ჯორჯიამ“ უბრძოლველად მოიპოვა სამი ქულა „იბერიასთან“. სამტრედიაში მატჩი არ ჩატარდა. აი, რა განაცხადა იმ შეხვედრის ინსპექტორმა მალხაზ კობიაშვილმა: „სამტრედიაში ჩასულთ ცარიელი სტადიონი დაგვხვდა. აქა-იქ ქალები მზესუმზირას ჰყიდიდნენ და გვითხრეს, ზესტაფონშია თამაშიო. სასწრაფოდ სფფ-ში დავრეკე და დავრწმუნდი, რომ მატჩი სამტრედიაში უნდა გამართულიყო. არადა, ასეთ მოედანზე თამაში პრაქტიკულად შეუძლებელი ჩანდა. დაუხაზავ საფარზე ბალახი თითქმის მუხლამდე იყო გაზრდილი. სასწრაფოდ სტადიონის დირექტორი როლანდ გარნოვსკი მოვძებნეთ და ვთხოვეთ, წესრიგში მოეყვანა მოედანი. მან ხელები გაასავსავა — „იბერიას“ ხელმძღვანელობასთან არანაირი ხელშეკრულება არა მაქვს და ვერაფრით დაგეხმარებითო. მატჩის დაწყებამდე სამსაათნახევარი იყო დარჩენილი. ჩვენც დაგეხმარებით და წესრიგში მოვიყვანოთ მოედანი — ვთხოვეთ გარნოვსკის. მან შორს დაიჭირა ჩვენი ნათქვამი. საათნახევრით ადრე გუნდებიც მოვიდნენ, გულშემატკივრებიც მრავლად იყვნენ, ყველა თამაშს ითხოვდა, მაგრამ მოედნის საფარზე არავის უზრუნია. იძულებული ვიყავით, აქტი შეგვედგინა და დებულების თანახმად „იბერიას“ წაგება ჩავუთვალეთ.“

გარნოვსკის „დილიხორზე“ როგორ უნდა ეკიდოს თამაშის ბედიო — აღშფოთდა ძაგანია (გუშინდელ სხდომას თავმჯდომარე ომარ გოგიაშვილი არ ესწრებოდა) და შედეგად სამტრედიული სტადიონი 1000 ლარით დაჯარიმდა. თანაც წლის ბოლომდე „ეროსი მანჯგალაძეზე“ არც ერთი ოფიციალური მატჩი არ ჩატარდება. სტკ-მ ამავე დროს სფფ-ის წარმომადგენლებს სთხოვა, რომ ფედერაციამ სტადიონის ხელმძღვანელებისა და „იბერიას“ შორის წარმოქმნილი პრობლემა შეისწავლოს. პრობლემა კი აშკარაა, ეს კობიაშვილის სიტყვებიდანაც ჩანს. „გარნოვსკის და „იბერიას“ პრეზიდენტ ნუგზარ ნიკოლაიშვილს შორის დიდი დაპირისპირებაა. გარნოვსკი კლუბიდან ნიკოლაიშვილის წასვლითაა დაინტერესებული და ალბათ ამის მიზეზი იყო ისიც, რომ „იბერია“ — „დილას“ მატჩზე მისული ნიკოლაიშვილი შეხვედრის ბოლოს სასტიკად უცემიათ.“ მოკლედ, „იბერიას“ 0:3 წაგება ჩაეთვალა და სავარაუდოდ ისევ ხაშურში გადაბარგდება.

გორში „დილა“ — „გორდას“ შეხვედრის შემდეგ აღელვებულმა გულშემატკივრებმა (მატჩი ფრედ 2:2 დამთავრდა) მსაჯებზე გაიწიეს. უხვად ყოფილა ფურთხება და დედის გინება (ინსპექტორ-მსაჯების მოხსენებითი ბარათების თანახმად). ასეთ პირობებში შეხვედრის არბიტრს მერაბ მალაღურაძეს სტადიონის შორიახლოს დაყენებულ საკუთარ ავტომანქანამდე მისვლა ვერ მოუხერხებია. მალაღურაძეს ათი წლის წინანდელი მწარე გამოცდილება გაუთვალისწინებია (მაშინაც „დილა“ — „გორდას“ მატჩს ემსახურებოდა და ნამატჩევს ფიზიკურ შეურაცხყოფასთან ერთად სტადიონის სიახლოვეს მდგარი ავტომანქანაც დაულეწეს) და თამაშზე მისულს მანქანა სტადიონისგან 500 მეტრის მოშორებით, ფასიან ავტოსადგომზე დაუყენებია. თუმც ამაოდ, სიფრთხილემ ვერ უშველა შავოსანს... მოკლედ, საყოველთაო აყალმაყალში მანქანის პატრონამდე მიყვანა „დილას“ წარმომადგენლებს უთავებიათ და ცოტა ხანში მალაღურაძეს დამსხვრეულ-დალეწილი მანქანა ჩააბარეს. გორელთა თქმით, გზაში გულშემატკივრებს ქვები დაუშენიათ მანქანისთვის. ამასთან დაკავშირებით სტკ-მ სხდომაზე მიწვეულ „დილას“ პრეზიდენტ გურამ ნოზაძესაც მოუსმინა. ნოზაძემ, არც კი ვიცოდი მალაღურაძე მანქანით თუ იყო, მას ამის შესახებ არაფერი უთქვამს და როგორღა შევძლებდით მისი საკუთრების დაცვასო. მანქანა სტადიონის ტერიტორიაზე საერთოდ არ ყოფილა და დაზარალებულმაც ფასიანი ავტოსადგომის მეპატრონეს მოკითხოსო. სტკ-მ პრეზიდენტის განცხადება სათვალავში არ ჩააგდო და „დილას“ ზარალის ანაზღაურება დააკისრა, ამავ დროს კლუბის სტადიონს პირობითი დისკვალიფიკაცია და 100-ლარიანი ჯარიმა შეუფარდა. ამ თანხის გადამხდელი არ ვართო, ჩაილაპარაკა ნოზაძემ და წავიდა.

„სიონი“ — „დინამოს“ მატჩის შემდეგ მსაჯის მსუბუქ ფორმაში გინებისთვის 100 ლარით დაჯარიმდა აგრეთვე ბოლნისური კლუბის მთავარი მწვრთნელი სპარტაკ არჩვაძეც. „სიონი“ დამატებით 100 ლარს იმისთვისაც გადაიხდის, რომ მატჩის შემდეგ მასპინძლებმა პრესკონფერენციის ჩატარება ვერ შეძლეს.

აი, გუშინდელი დღის უმთავრეს საკითხსაც მივადექით. მცხეთა. 10 სექტემბერი. „ვიტ ჯორჯია“ — „დინამო“...

მატჩის ინსპექტორის, ანატოლი მილჩენკოს მოხსენებითი ბარათი: „შეხვედრის დაწყებამდე მსაჯებთან ერთად მოედანს ვათვალიერებდი, ამ დროს „ვიტ ჯორჯიას“ პრეზიდენტი გურამ რუხაძე მოგვიახლოვდა. მან ვარაუდი გამოთქვა, რომ ალექსანდრე მეშკოვი მიკერძოებით იმსაჯებდა. მე დავამშვიდე რუხაძე. პირველი ნახევარი „ვიტ ჯორჯიამ“ 1:0 მოიგო. შესვენებაზე რუხაძე და ჩემთვის უცნობი პირები სამსაჯო ოთახისკენ იწევდნენ. ჩემი და მეოთხე მსაჯის — ალექსანდრე შილაკაძის წინააღმდეგობა ამაო გამოდგა. რუხაძე გასახდელში შეიჭრა და მსაჯებს აგინა. პოლიციამ ვერ უზრუნველყო ჩვენი დაცვა. გთხოვთ, მიიღოთ ზომები. ასეთ პირობებში მსაჯობას აზრი არა აქვს.“

მატჩის არბიტრი ალექსანდრე მეშკოვი: „რუხაძე გასახდელში შემოიჭრა და გვაგინა. იგი მატჩის მსვლელობისასაც გვაგინებდა, მეგობრებიც მხარს უბამდნენ. რუხაძე იმასაც დაგვპირდა, დიდ ფულს დავხარჯავ და უსაქმოდ დაგტოვებთო.“

გურამ ძაგანიამ 25 მსაჯის ხელმოწერილი წერილიც გაგვაცნო, სადაც შავოსნები „ვიტ ჯორჯიას“ მონაწილეობით მატჩის მომსახურებაზე უარს აცხადებენ და ამის შემდეგ სიტყვა ბრალდებულს გადაულოცა. რამდენიმე წუთში რუხაძე ბრალმდებელად იქცა: „თამაშის წინ მოედნის კიდესთან მოტრიალე მსაჯ-ინსპექტორთან მივედი, მეშკოვსაც და მილჩენკოსაც ვუთხარი, მაქვს ინფორმაცია, რომ „დინამომ“ უნდა მოიგოს, მოდით, ეს ხმები გავაქარწყლოთ და პატიოსნად ალალად ვკეთოთ საქმე-მეთქი. ვერ დავწყნარდი, მეშკოვს ცალკე ვუხმე და იგივე გავუმეორე, მსაჯმა სიტყვა ბანზე ამიგდო, იმის მაგივრად რომ დავეწყნარებინე და ობიექტურ მსაჯობას დამპირებოდა, სხვა თემაზე გადაიტანა ლაპარაკი. დავეჭვდი და ისევ მილჩენკოსთან მივედი, ვუთხარი, რომ მეშკოვის საქციელი მაფიქრებდა, მილჩენკომ, ფიქრი ნუ გაქვს უთქმელი, პატიოსანი ბიჭიაო. მერე მატჩიც დაიწყო და მეშკოვი 10 წუთში გაიშიფრა. ეს იყო სპექტაკლი. გაგიჟებული მივვარდი მილჩენკოსთან და ვკითხე — რა ხდება, ბატონო ანატოლი? მილჩენკომ არაფერი მიპასუხა. მეშკოვი კი სასწაულებს სჩადიოდა, იმის მოწმეებიც არიან, თუ როგორ აგინებდნენ მას თავად გვერდითი მსაჯები. მეშკოვის მოქმედება მართლაც წარმოუდგენელი იყო... მეოთხე წელია, ფეხბურთში ვმოღვაწეობ და მხოლოდ და მხოლოდ ფეხბურთის სიყვარულისთვის, ამ საქმიდან არანაირ მოგებას არ ვითხოვ, უბრალოდ, ჩემი ინტერესი მაქვს. ფეხბურთს უანგაროდ ვემსახურები და იმ ხალხს, ვინც წინ გადამეღობება, მწარედ ვანანებ. გარწმუნებთ, ეს ხალხი ფეხბურთს ჩამოშორდება. პირდაპირ ვაცხადებ, რომ სამსაჯო-საინსპექტორო კომიტეტი კორუმპირებულია, იქ დიდი სიბინძურე ტრიალებს და ამაზე პასუხი თავმჯდომარემ უნდა აგოს. მილჩენკო ან უნდა გადადგეს, ანაც მე მივაღწევ იმას, რომ ეს აღარ განმეორდეს. არ უარვყოფ, ემოციები ვერ მოვთოკე და შეურაცხყოფა მივაყენე მსაჯებს, მაგრამ მიზეზიც ხომ საკითხავია. ჩემი ფეხბურთელები, შვილებივით არიან. ვხედავდი, რომ ბავშვებს მიჩაგრავდნენ. მეტის მოთმენა არ შემეძლო... სასჯელისთვის მზად ვარ, მაგრამ ამაზე გაცილებით მნიშვნელოვანია, რა რეაგირებას მოახდენთ ჩემს სიტყვებზე — ვიმეორებ სამსაჯო-საინსპექტორო კომიტეტში დიდი სიბინძურეა და ამაზე ყველას პასუხი უნდა მოეთხოვოს.“

გურამ ძაგანია: — იქნებ ისიც მითხრათ, რომ მილჩენკო გავათავისუფლოთ თანამდებობიდან, ჩვენი საქმეა, თქვენს საქციელზე რეაგირება მოვახდინოთ.



გურამ რუხაძე, „ვიტ ჯორჯია“ — „დინამოს“ სათადარიგო მსაჯი ალექსანდრე შილაკაძე და არბიტრი ალექსანდრე მეშკოვი

გურამ რუხაძე: — თუ გინებაზე მნიშვნელოვანი არ არის ჩემი განცხადება, მაშინ აზრი არ ჰქონია ჩვენს ლაპარაკს...

ძაგანიას სტკ-ის წევრი ვერნი ალფაიძე წამოეშველა და რუხაძეს სთხოვა, განემარტა, თუ სად აპირებდა იმ თანხის გამოყენებას, რითაც მსაჯებს უსაქმოდ დატოვებას დაჰპირდა. ვიტელთა პრეზიდენტმა დელიკატურად უპასუხა ალფაიძეს, მაგათ (მსაჯებს) ფულის გარდა ვერაფერზე დაელაპარაკები და ეს ფრაზაც ამის გამო ვთქვიო.

რა გაძლევთ იმის თქმის საფუძველს, რომ მსაჯები „ვიტ ჯორჯიას“ წირავენ? — ამ კითხვაზეც მოუხდა პასუხის გაცემა რუხაძეს.

„გეხსომებათ, შარშან ძალით გამოგვაგდეს ეროვნული თასის მეოთხედფინალიდან, მაგრამ მაშინ ხმა არ ამოვიღე, ყოველივე შემთხვევითობას და მსაჯის უნებლიე შეცდომას მივაწერე. მერე და მერე კი აირია მონასტერი, მაგრამ ჩვენი „ჩაძირვის“ მცდელობის უმთავრესი მიზეზი ის არის, რომ ჩვენ პატიოსნად ვთამაშობთ ფეხბურთს. ამიტომ ერთგვარი ზეწოლაა, რომ მსაჯებზე შავი ფულით გავიდეთ, ეს კი არასდროს მოხდება. მილჩენკო უნდა გადადგეს, თუ არადა ჟორდანიასთან შევალ. მასთან შეხვედრა აქამდეც მინდოდა, მაგრამ არ მიმიღო... რომ ამბობენ მსაჯები, „ვიტ ჯორჯიას“ მატჩებს აღარ განვსჯითო, ნუთუ ერთი გინების გამო ამბობენ ამას. დაფიქრდით, მეშკოვი არ იყო, ლამის ცემით რომ ამოხადეს სული ხობში, რატომ მაშინ არ აიმაღლეს ხმა და არ გააკეთეს ასეთი განცხადება. მოკლედ, ეს ნიუანსიც მიუთითებს ჩემი ვარაუდის სისწორეზე. მსაჯებში არსებულ სიბინძურესა და განუკითხაობაზე კიდევ ერთი ფაქტი მეტყველებს. მეშკოვმა თავად აღიარა, რომ „დინამოს“ კარში ჩვენ სასარგებლოდ პენალტი უნდა დაენიშნა, სამსაჯო-საინსპექტორო კომიტეტმა მას დისკვალიფიკაციაც მისცა. ამის შემდეგ გეკითხებით, ბატონო ანატოლი, როგორ მოხდა, რომ მომავალ ტურში მეშკოვი „სიონი“ — „ლოკომოტივის“ მატჩზე მეოთხე მსაჯად განამწესეთ? არბიტრის დაშავების შემთხვევაში ხომ მოედანზე გასვლა მოუხდებოდა მას?“

ანატოლი მილჩენკო: — ასეთ შემთხვევაში მოედანზე გვერდითი მსაჯი შევიდოდა...

გურამ რუხაძე: — ხაზზე მსაჯობა მაინც მოუწევდა მეშკოვს. თანაც მან ხომ ბოლნისში ვიზიტისთვის ჯამაგირი აიღო, გეკითხებით, რანაირი დისკვალიფიკაცია გამოდის, ყოველივე ხომ სასაცილოა, სატირალი რომ არ იყოს.

ამის შემდეგ მილჩენკომ ძლივს მოუყარა სათქმელს თავი და ერთადერთი შვილიშვილი დაიფიცა, რომ „ვიტ ჯორჯიას“ საწინააღმდეგო არაფერი ჰქონდა. მილჩენკოს სიტყვების გულწრფელობაში ეჭვი რუხაძესაც არ შეუტანია, მაგრამ ფერმიხდილი მსაჯთა თავკაცის წასვლის შემდეგ უმალ დასძინა, მილჩენკოს სიტყვები იმას არ ნიშნავს, რომ მსაჯები ბინძურ გარიგებებში არ მონაწილეობენო. ამის შემდეგ სტკ-ის წევრებმა გვთხოვეს, გარეთ მოგვეცადა და ხუთ წუთში განაჩენიც გამოცხვა.

გურამ ძაგანია: — მიუხედავად რუხაძის მიმართ ჩვენი დიდი სიმპატიებისა, „ვიტ ჯორჯიას“ პრეზიდენტი არაეთიკური საქციელისთვის 1000 ლარით, ხოლო კლუბი 200 ლარით დავაჯარიმეთ. რუხაძის განცხადების საფუძველზე სფფ-ს ვთხოვთ, მსაჯთა კორპუსში არსებული სიტუაცია დაწვრილებით შეისწავლოს.

სულ ეს იყოო, იკითხა რუხაძემ. მეტი რა ვქნათ, წინადადებით ხომ მივმართეთ ფედერაციასო, ხელები გაშალა ძაგანიამ. რითი დამთავრდება ყოველივე, თავადაც კარგად იცითო, ჩაილაპარაკა უკმაყოფილო პრეზიდენტმა, საჩქაროდ დაგვემშვიდობა და კაბინეტიდან გავიდა.

ამით დამთავრდა გუშინდელი სხდომა, მაგრამ უეჭველად დიდ სკანდალს ჩაეყარა საფუძველი. რუხაძე გაჩუმებას არ აპირებს, ალბათ მას მიმდევრებიც გამოუჩნდებიან, „დილას“ პრეზიდენტმა გურამ ნოზაძემაც ულუთქვა თანადგომა აქტივისტ პრეზიდენტს კორუმპირებულ მსაჯთა მხილების საქმეში და ვნახოთ, აქედან რა გამოვა. ყოველ შემთხვევაში, რუხაძე რამდენიმე არგუმენტირებულ ფაქტს ფლობს და მათ გამომზეურებასაც არ შეუშინდება.

**ბაატა ქვანტალიანი**

Sydney 2000

დღე V

## ქართველები სიდნეის ოლიმპიურ თამაშებზე

Sydney 2000

20 სექტემბერი

**ძიუდო: გია გუგავა (90კგ) — დამარცხდა პირველ წრეში რუს დმიტრი მოროზოვთან. ტანვარჯიში: ილია გიორგაძე — ტრავმის გამო მრავალჭიდის ფინალში ვერ იასპარეზა.**

# ჯენი ტომპსონის ოქროს შვიდეული

გუშინ ამერიკელმა მოცურავე ქალმა ჯენი ტომპსონმა 4X200 მეტრზე თავისუფალი სტილით ესტაფეტაში მეშვიდე ოლიმპიური ოქროს მედალი მოიპოვა. ამით ტომპსონი მეორე ადგილზე გადავიდა ყველა დროის ოლიმპიადის ოქროსმედალოსან ქალთა სიაში.

### ყველაზე მეტი ოლიმპიური ოქროს მედალი ქალებში

| სპორტსმენი | ქვეყანა | სახეობა | რაოდენობა |
|---|---|---|---|
| ლარისა ლატინინა | საბჭოთა კავშირი | ტანვარჯიში | 9 |
| ჯენი ტომპსონი | აშშ | ცურვა | 7 |
| ვერა ჩასლავსკა | ჩეხოსლოვაკია | ტანვარჯიში | 7 |
| კრისტინ ოტო | გდრ | ცურვა | 6 |
| ლიდია სკობლიკოვა | საბჭოთა კავშირი | ციგურებით რბენა | 6 |
| პოლინა ასტახოვა | საბჭოთა კავშირი | ტანვარჯიში | 5 |
| აგნეს კელეტი | უნგრეთი | ტანვარჯიში | 5 |
| ნელი კიმი | საბჭოთა კავშირი | ტანვარჯიში | 5 |
| ბირგიტ ფიშერი | გერმანია | ნიჩბოსნობა | 5 |
| ნადია კომანეჩი | რუმინეთი | ტანვარჯიში | 5 |
| კრისტინა ეგერსეგი | უნგრეთი | ცურვა | 5 |



REUTERS საიდან

ჯენი ტომპსონი

### ქვეყანათა მონაგარი

| ქვეყანა | ო. | ვ. | ბ. |
|---|---|---|---|
| აშშ | 10 | 7 | 6 |
| ავსტრალია | 7 | 8 | 7 |
| საფრანგეთი | 6 | 7 | 3 |
| ჩინეთი | 6 | 4 | 7 |
| ჰოლანდია | 5 | 1 | 2 |
| იტალია | 4 | 2 | 6 |
| რუსეთი | 3 | 7 | 6 |
| გერმანია | 3 | 4 | 4 |
| იაპონია | 3 | 3 | 1 |
| ბულგარეთი | 3 | 1 | 1 |
| დიდი ბრიტანეთი | 2 | 5 | 2 |
| კორეა | 2 | 4 | 4 |
| უკრაინა | 2 | 3 | 3 |
| კუბა | 2 | 1 | 2 |
| რუმინეთი | 2 | 1 | 1 |
| ესპანეთი | 2 | 0 | 1 |
| თურქეთი | 2 | 0 | 0 |
| სლოვაკეთი | 1 | 3 | 1 |
| შვეიცარია | 1 | 2 | 1 |
| პოლონეთი | 1 | 1 | 0 |
| უნგრეთი | 1 | 1 | 0 |
| ჩეხეთი | 1 | 0 | 3 |
| შვედეთი | 1 | 0 | 1 |
| კანადა | 1 | 0 | 1 |
| მექსიკა | 1 | 0 | 0 |
| ლიტვა | 1 | 0 | 0 |
| ხორვატია | 1 | 0 | 0 |
| კოლუმბია | 1 | 0 | 0 |
| ბრაზილია | 0 | 2 | 1 |
| ბელარუსი | 0 | 1 | 3 |
| სამხრეთ აფრიკა | 0 | 1 | 1 |
| ტაივანი | 0 | 1 | 1 |
| ჩრდილოეთ კორეა | 0 | 1 | 1 |
| საბერძნეთი | 0 | 1 | 1 |
| იუგოსლავია | 0 | 1 | 0 |
| ურუგვაი | 0 | 1 | 0 |
| ნიგერია | 0 | 1 | 0 |
| ინდონეზია | 0 | 0 | 2 |
| კოსტა რიკა | 0 | 0 | 2 |
| ბელგია | 0 | 0 | 2 |
| ტაილანდი | 0 | 0 | 1 |
| პორტუგალია | 0 | 0 | 1 |
| ლატვია | 0 | 0 | 1 |
| ქუვეითი | 0 | 0 | 1 |
| ყირგიზეთი | 0 | 0 | 1 |
| ინდოეთი | 0 | 0 | 1 |
| საქართველო | 0 | 0 | 1 |
| ესტონეთი | 0 | 0 | 1 |



## დღის გმირი

20 სექტემბერი

### ფელისია ბალანჟე საფრანგეთი, ველოტრეკი

რა შეიძლება იფიქროს კაცმა 29 წლის, ქმარგანაშვებ, ნერვებაწეწილ ფრანგ ფიზკულტურის მასწავლებელზე? მხოლოდ ერთი რამ: ის გახლავთ პირველი და ჯერჯერობით ერთადერთი ტრეკზე მრბოლი, რომელმაც ოქრო ატლანტაშიც მოიპოვა და სიდნეიშიც. თან სიდნეიში უკვე ორჯერ — 500 მეტრზე ჰითსა და სპრინტში. სპრინტში მან ეს გუშინ შეძლო, ჰითში გამარჯვებიდან ხუთი დღის შემდეგ და „სარბიელის" ვერსიით დღის გმირი გახდა.

ამ ქალს ფელისია ბალანჟე ჰქვია და უთუოდ აპირებს მეორედ გათხოვებას. ამიტომაც მოგახსენებთ, რომ მისი სიმაღლე 168 სანტიმეტრია, ხოლო წონა 70 კილოგრამი, კარიერაში ათჯერ მოუგია მსოფლიოს ჩემპიონის ტიტული და საფრანგეთში ლეგენდარული ჟანი ლონგოს ტოლ-სწორი გახდა. პლუს, გუშინ, „დანკ გრეი ველოდრომზე" რუს ოქსანა გრიშინას მოუგო, რუსთა შეუპოვრობის ამბავი კი კარგად მოგეხსენებათ.

ახლა, რაც შეეხება აწეწილ ნერვებს, რომელიც ზევით ვახსენეთ. ერთხანს ფელისიას საკუთარ თავში ეჭვი შეეპარა და შფოთვამ შეიპყრო. ფსიქოლოგის დახმარება არ დაუგვიანეს, თუმცა, როგორც თავად ამბობს, სულ ბოლო და ნამდვილად დამამშვიდებელი სიტყვები მწვრთნელმა დანიელ მორელონმა უთხრა, ისიც ადგა და კიდევ ერთხელ გახდა ოლიმპიური ჩემპიონი.

## ჩემპიონები და პრიზიორები

20 სექტემბერი

### მშვილდოსნობა

ვაჟები
1. საიმონ ფეირვეზერი (ავსტრალია)
2. ვიქტორ ვანდერლი (აშშ)
3. ვიტსე ვან ალტენი (ჰოლანდია)

### სანიჩბოსნო სლალომი

ვაჟები. ერთადგილიანი ბაიდარა
1. ტომას შმიდტი (გერმანია)
2. პოლ რეტკლიფი (დიდი ბრიტანეთი)
3. პიერპაოლო ფერაცი (იტალია)

ვაჟები. ორადგილიანი კანოე
1. პავოლ ჰოხშორნერი — პეტერ ჰოხშორნერი (სლოვაკეთი)
2. კრჟიშტოფ კოლომანსკი — მიხალ სტანიშევსკი (პოლონეთი)
3. მარეკ ჟირაში — ტომაშ მადერი (ჩეხეთი)

### ველოტრეკი

ვაჟები. ქულებზე რბოლა
1. ხუან ლანერასი (ესპანეთი)
2. მილტონ ვინანტსი (ურუგვაი)
3. ალექსეი მარკოვი (რუსეთი)

ვაჟები. სპრინტი
1. მარტი ნოთსტეინი (აშშ)
2. ფლორიან რუსო (საფრანგეთი)
3. იენს ფიდლერი (გერმანია)

ქალები. სპრინტი
1. ფელისია ბალანჟე (საფრანგეთი)
2. ოქსანა გრიშინა (რუსეთი)
3. ირინა იანოვიჩი (უკრაინა)

### ფარიკაობა

ვაჟები. რაპირა
1. კიმ იუნგ ჰო (კორეა)
2. რალფ ბისდორფი (გერმანია)
3. დმიტრი შევჩენკო (რუსეთი)

### ტანვარჯიში

ვაჟები. მრავალჭიდი
1. ალექსეი ნემოვი (რუსეთი)
2. იანგ ვეი (ჩინეთი)
3. ალექსანდრ ბერეში (უკრაინა)

### ძიუდო

ვაჟები. 90 კგ
1. მარკ ჰუზინგა (ჰოლანდია)
2. კარლოს ონორატო (ბრაზილია)
3. ფრედერიკ დემონფოკო (საფრანგეთი)
3. რუსლან მაშურენკო (უკრაინა)

ქალები. 70 კგ
1. სიბელის ვერანესი (კუბა)
2. კეიტ ჰაუი (დიდი ბრიტანეთი)
3. ჩო მინ სუნი (კორეა)
3. ილენია სკაპინი (იტალია)

### სროლა

ვაჟები. დაბლ ტრეპი
1. რიჩარდ ფოლდსი (დიდი ბრიტანეთი)
2. რასელ მარკი (ავსტრალია)
3. ფეჰაიდ ალ დიჰანი (ქუვეითი)

ქალები. ნებისმიერი შაშხანა. 3 მდგომარეობიდან
1. რენატა მაუერ-როზანსკა (პოლონეთი)
2. ტატიანა გოლდობინა (რუსეთი)
3. მარია ფეკლისტოვა (რუსეთი)

### ცურვა

ვაჟები. 200 მ. ბრასი
1. დომენიკო ფიორავანტი (იტალია)
2. ტერენს პერკინი (სამხრეთ აფრიკა)
3. დავიდე რუმოლო (იტალია)

ვაჟები. 100 მ. თავისუფალი სტილი
1. პიტერ ვან ჰოგენბანდი (ჰოლანდია)
2. ალექსანდრ პოპოვი (რუსეთი)
3. გერი ჰოლი (აშშ)

ქალები. 200 მ. ბატერფლაი
1. მისტი ჰაიმენი (აშშ)
2. სუზან ონილი (ავსტრალია)
3. პეტრია ტომასი (ავსტრალია)

ქალები. 4X200 მ. ესტაფეტა. თავისუფალი სტილი
1. აშშ (სამანტა არსენო, დიანა მუნზი, ლინდსი ბენკო, ჯენი ტომპსონი)
2. ავსტრალია
3. გერმანია

### ძალოსნობა

ვაჟები. 69 კგ
1. გალაბინ ბოევსკი (ბულგარეთი)
2. გეორგი მარკოვი (ბულგარეთი)
3. სერგეი ლავრენოვი (ბელარუსი)

ქალები. 75 კგ
1. მარია იზაბელ ურუტია (კოლუმბია)
2. რუთ ოგბეიფო (ნიგერია)
3. იუი ჰანგ კუო (ტაივანი)

ფრენბურთი

# ყიამყრალი კარპოლი

**ფრენბურთელ** ქალთა მესამე ტურის მატჩებში არანაირი სენსაცია არ მომხდარა. იყო მხოლოდ მცირედი მოულოდნელობები, რომელთაც მატჩების საბოლოო შედეგებზე არ უმოქმედია. მხედველობაში მაქვს კენიისა და იტალიის მიერ პირველი პარტიების მოგება შესაბამისად ავსტრალიასა და რუსეთთან. თუმცა მერე მასპინძლებმაც და ჩვენმა ჩრდილოელმა მეზობლებმაც ყველაფერი თავის ადგილზე დააყენეს და ერთნაირი ანგარიშებით (3:1) გაიმარჯვეს.

მეტი დასაწერი არც არაფერი იქნებოდა, მაგრამ მაინც გვინდა, თქვენი ყურადღება რუსეთის მატჩზე შევაჩეროთ და მისი მეტად უცნაური მწვრთნელი ცოტა ახლოს გაგაცნოთ. ნიკოლაი კარპოლი ბრაზისგან ერთიანად გაწითლებული თითქმის მთელი თამაშის მანძილზე ღრიალებდა. თუმცა მას ნერვიულობის მიზეზი ნაკლებად ჰქონდა — მისი შეგირდები მეტოქეს იოლად სჯაბნიდნენ. კარპოლის ყვირილმა მაყურებელიც შეაწუხა და მის ყოველ გამოხტომას სტვენით ხვდებოდნენ. „მაყურებლებმა ტაში დამიკრეს, როცა გავუღიმე. ისინი მიხვდნენ, რომ ჩემი ყვირილი მხოლოდ ფრენბურთელებს ეხებოდათ და არა მათ" — განაცხადა მატჩის მერე კარპოლმა.

და რაში სჭირდება რუსეთისნაირ ძლიერ და გამოცდილ ნაკრებს ასე შეფუცხუნება? „ჩემი მოთამაშეების უმეტესობა ახალგაზრდაა და ყურადღება რომ არ გაეფანტოთ, იმიტომ ვუყვირი ხოლმე" — თქვა სლავთა თავკაცმა, რომელიც თავისი ფრენბურთელებისთვის ხშირად მადლიან გინებასაც არ იშურებს. თუმცა, როგორც ამბობს, ყოველთვის ყველას არ ლანძღავს. „დღეს გამოვას და არტომონოვას საერთოდ არ დავლაპარაკებივარ, გრაჩევას კი ბევრი ვესაუბრე, მაგრამ ხმა წამითაც არ ამიწევია" — მამა აბრამის ბატკანივით უცოდველად განაცხადა კარპოლმა. „რა ვქნათ, ასეთი ხასიათისაა. ჩვენც შეჩვეულები ვართ და ვცდილობთ, არ გვეწყინოს" — თქვა რუსეთის გუნდის კაპიტანმა ელენა ვასილევსკაიამ.

ასეა თუ ის, კარპოლის მეთოდი მაინც ამართლებს, რადგან მისი ხელმძღვანელობით რუსები ორჯერ (1980 და 88 წწ) ოლიმპიური ჩემპიონები გახდნენ, 1992 წელს კი ვერცხლის მედლები დაისაკუთრეს. ახლა ისინი ევროპის ჩემპიონის ტიტულით ჩავიდნენ ავსტრალიაში და... იქ რას იზამენ მომავალ კვირაში ვნახავთ.

**გაგი გურული**

ქალები

III ტური

A ჯგუფი

ავსტრალია 3:1 კენია

ბრაზილია 3:0 ჩინეთი

აშშ 3:0 ხორვატია

B ჯგუფი

კუბა 3:0 კორეა

რუსეთი 3:1 იტალია

გერმანია 3:0 პერუ

ხელბურთი

# რუსები ომში. შვედები პიკნიკზე

**„პავილიონის"** სარბიელი გუშინ ვაჟებს დაეთმო. შფოთიანი დღე ჰქონდათ A ჯგუფელებს — სამივე შეხვედრაში დაძაბული ბრძოლა გაჩაღდა.

ყველაზე მეტი „სისხლი დაიღვარა" რუსეთ — კორეის მატჩში. აზიელებმა ტაიმი ორი ბურთით კი მოიგეს (11:9), მაგრამ შესვენების შემდეგ ვლადიმერ მაქსიმოვის ორმეტრიან ფორვარდებს ვეღარ გაუმკლავდნენ.

როგორც ყოველთვის, გერმანელთა ჩინებულად მომართულმა მანქანამ მსოფლიოს მესამე გუნდი — იუგოსლავია გაჭყლიტა. არიელთა შეტევის ხაზი ჯერჯერობით ყველაზე შედეგიანია ჯგუფში, დაცვა — ყველაზე შეუვალი.

მსოფლიოს ჩემპიონ შვედებს ტუნისთან იოლი გასეირნება გამოუვიდათ. არც სლოვენიელებს დასდგომიათ დიდი ჯაფა მასპინძელთა დასამარცხებლად, ექსჩემპიონმა ფრანგებმა კი მხოლოდ მატჩის მიწურულს გატეხეს ესპანელთა მედგარი წინააღმდეგობა.

შეგახსენებთ, რომ ჯგუფებიდან ორორი საუკეთესო გუნდი გააგრძელებს მედლებისთვის ბრძოლას.

ვაჟები

A ჯგუფი

გერმანია 28:22 იუგოსლავია

რუსეთი 26:24 კორეა

ეგვიპტე 29:26 კუბა

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რუსეთი | 3 | 3 | 0 | 0 | 79:71 | 6 |
| გერმანია | 3 | 2 | 1 | 0 | 82:68 | 5 |
| იუგოსლავია | 3 | 2 | 0 | 1 | 72:74 | 4 |
| ეგვიპტე | 3 | 1 | 0 | 2 | 72:73 | 2 |
| კორეა | 3 | 0 | 1 | 2 | 72:75 | 1 |
| კუბა | 3 | 0 | 0 | 3 | 74:90 | 0 |

B ჯგუფი

საფრანგეთი 25:23 ესპანეთი

შვედეთი 27:18 ტუნისი

სლოვენია 33:20 ავსტრალია

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| შვედეთი | 3 | 3 | 0 | 0 | 103:71 | 6 |
| საფრანგეთი | 3 | 2 | 1 | 0 | 69:64 | 5 |
| ესპანეთი | 3 | 2 | 0 | 1 | 86:70 | 4 |
| სლოვენია | 3 | 1 | 1 | 1 | 87:76 | 3 |
| ტუნისი | 3 | 0 | 0 | 3 | 57:71 | 0 |
| ავსტრალია | 3 | 0 | 0 | 3 | 66:116 | 0 |

მშვილდოსნობა

კაცები

ფინალი

საიმონ ფეირვეზერი (ავსტრალია) — ვიქტორ ვანდერლი (აშშ) 113:106

მესამე ადგილისთვის

ვიტსე ვან ალტენი (ჰოლანდია) — მაგნუს პეტერსონი (შვედეთი) 114:109

სროლა

ვაჟები. დაბლ ტრეპი

1. რიჩარდ ფოლდსი (დიდი ბრიტანეთი) 187,0; 2. რასელ მარკი (ავსტრალია) 187,0; 3. ფეჰაიდ ალ დიჰანი (ქუვეითი) 186,0

ქალები. ნებისმიერი შაშხანა 3 მდგომარეობიდან

1. რენატა მაუერ-როზანსკა (პოლონეთი) 684,6; 2. ტატიანა გოლდობინა (რუსეთი) 680,9; 3. მარია ფეკლისტოვა (რუსეთი) 679,9

ტანვარჯიში

ვაჟები. მრავალჭიდი

1. ალექსეი ნემოვი (რუსეთი) 58,474; 2. იანგ ვეი (ჩინეთი) 58,361; 3. ალექსანდრ ბერეში (უკრაინა) 58,212... ილია გიორგაძემ (საქართველო) ტრავმის გამო ფინალში არ იასპარეზა.

ბალახის ჰოკეი

ვაჟები

A ჯგუფი

მალაიზია 2:2 ბრიტანეთი

ჰოლანდია 5:2 კანადა

ქალები

A ჯგუფი

ავსტრალია 3:1 არგენტინა

კორეა 2:2 ბრიტანეთი

B ჯგუფი

ჰოლანდია 4:3 ახალი ზელანდია

ჩინეთი 2:1 გერმანია

ველოტრეკი



REUTERS სიდნეიდან

წამიც და მარტი ნოთსტეინი ფლორიან რუსოს წინ აღმოჩნდება

# ნახევარფინალიდან ფინალამდე ათი წუთია

**ვაჟთა** შორის სპრინტის დაწყებამდე ეჭვი არავის ეპარებოდა, რომ ოქროს ოლიმპიური სპრინტის მომგები საფრანგეთის რომელიმე წევრი დაეპატრონებოდა. ფლორიან რუსო და ლორან განე უკვე ოთხი წელიწადია, მსოფლიოს ჩემპიონობას უცხოტომელებს არ ანებებენ და სიდნეიშიც მთავარი ფავორიტები იყვნენ. თუმცა კენჭისყრამ ისინი ნახევარფინალში გადააჰყარა ერთმანეთს და მათაც ამ ბრძოლას იმდენი ენერგია შეალიეს, მომდევნო მატჩები თითქმის უბრძოლველად დათმეს.

მეორე ნახევარფინალშიც ტიტულიანი მრბოლები გაეჯიბრნენ ერთმანეთს. ამერიკელი მარტი ნოთსტეინი სპრინტის 1994 წლის მსოფლიოს ჩემპიონია, გერმანელ იენს ფიდლერს კი წინა ორ ოლიმპიადაზე გაუმარჯვია. სხვათა შორის, ატლანტაში ფიდლერმა ფინალში სწორედ ნისთეინი დაამარცხა, რისთვისაც 29 წლის პენსილვანიელმა ახლა აიღო რევანში და მეტოქეს ორ ხელში აჯობა. მერე კი რუსოსაც მშრალად მოუგო და საერთოდ, სიდნეიში ერთი ხელიც კი არავის დაუთმო.

„ლორანს და მე ფეხები გახევებული გვქონდა. გადამწყვეტი მატჩების წინ ძალების აღსადგენად საკმარისი დრო არ მოგვცეს. ნოსთეინს და ფიდლერს ნახევარფინალში ჩვენსავით დამატებითი ხელი არ დასჭირვებიათ" — საკმაოდ ნაღვლიანად და სინანულით საუბრობდა ვერცხლისმედალოსანი ფლორიან რუსო. მას მართლაც არაფრით შეეძლო აწყვეტილი ნოთსტეინის დაკავება, რომელმაც კვალიფიკაციებში მშვენიერი შედეგები აჩვენა. ამერიკელის გამარჯვება საეჭვო წამითაც არ გამხდარა. მან ორჯერვე „სუფთად" დაამარცხა ფრანგი, რომელსაც მეორე სუნთქვა არა და არ გაეხსნა.

რუსოსნაირად დაისაჯა განეც, რომელმაც მესამე ადგილისთვის შეხვედრა ფიდლერთან წააგო. ახალკალედონიელი მეტოქეზე სწრაფი კი არის, მაგრამ ფიდლერმა მას ტაქტიკურად აჯობა — ისეთ მომენტებში შეუტია, დაქანცულმა განემ მისი წამოწევა ვეღარაფრით შეძლო. „პროგრამა ძალიან ცუდად იყო შედგენილი. დამატებითი ხელის საჭიროების შემთხვევაში დასასვენებლად მხოლოდ ათი წუთი გვრჩებოდა. ამერიკელი ერთობ კარგად გამოვიდა და ძალიან ძლიერიცაა, მაგრამ ასე უბრძოლველად მაინც ვერ მომიგებდა. აქამდე ოლიმპიური მედალი არ მქონდა, ამიტომ ვერცხლითაც კმაყოფილი ვარ, თუმცა მეტის იმედი მქონდა" — ეს ისევ რუსოს სიტყვებია, რომელსაც, ალბათ, კარგა ხანს არ დაავიწყდება ორგანიზატორების მიერ ცუდად შედგენილი პროგრამა.

საფრანგეთმა გუშინ სპრინტში ოლიმპიური ოქრო მაინც მიითვალა, ოღონდ ქალებში. 29 წლის ფელისია ბალანჟემ ჰითის ოქროს სპრინტისაც მიაყოლა და რადგან ამ დისციპლინაში ატლანტაშიც უმარჯვია, უკვე სამგზის ოლიმპიური ჩემპიონია. არადა, ბალანჟეს სპორტში დებიუტი მეტად ძნელი იყო. მას მშვენიერი ფიზიკური მონაცემები ჰქონდა, მაგრამ ფსიქოლოგიური სისუსტის გამო ტურნირების მოგებას ვერაფრით ახერხებდა. ამიტომაც მისმა მწვრთნელმა დანიელ მორელონმა, რომელიც თავადაც სპრინტში ორგზის ოლიმპიური ჩემპიონია, ფელისიას ფსიქოლოგის გამოყენება ურჩია. ამან მშვენიერი შედეგი გამოიღო. 1995 წელს ბალანჟე მსოფლიოს ჩემპიონი გახდა, მომდევნო წელს ატლანტაშიც ოქრო მოიგო და იქიდან მოყოლებული მას მეტოქეობას ვეღარავინ უწევს.

საინტერესოა, რომ ასეთი ძლიერი მრბოლი ველოსპორტში შემთხვევით მოხვდა. თავიდან მას ხელბურთელობა სურდა და ვარჯიშობდა კიდეც, მაგრამ მერე თავისი ძმის მიბაძვით ველოსიპედს დაუმეგობრდა. ისე, ვანდეელს თავიდანვე დაებედა ველოსპორტთან სიახლოვე — დედამ მას სახელი 1965 წლის „ტურ დე ფრანსის" გამარჯვებულის, ფელიჩე ჯიმონდის პატივსაცემად დაარქვა.

ჰო. ფინალში ბალანჟემ პირველ ხელში ძალიან იოლად დაამარცხა რუსი ოქსანა გრიშინა. მეორეში მეტოქის შეტევა გამოეპარა და რუსმა ბოლო მეტრებში შეძლო მისი გასწრება. ბოლოს კი, ფინიშამდე ორი წრით ადრე, როცა გრიშინა სიურპლასის გაკეთებას ცდილობდა, სწორედ მაშინ გადავიდა ბალანჟე იერიშზე და ოქროც მოიგო. ბრინჯაოს მედალი ავსტრალიელი მიშელ ფერის მძლეველ უკრაინელ ირინა იანოვიჩს ერგო.

გუშინ ველომრბოლელებმა მედლების მესამე კომპლექტიც გაითამაშეს. ტრეკის გარშემო 160 წრის დარტყმის და ჯამში 40 კილომეტრის გავლის შემდეგ ქულებზე რბოლაში ჩემპიონი ესპანელი ხუან ლანერასი გახდა.

**გაიოზ თალაკვაძე**

ჩოგბურთი

# ლომების მომთვინიერებელი

**მარატ საფინი** ამ წუთისთვის იქნებ მართლაც იყოს მსოფლიოს საუკეთესო კაცი ჩოგბურთელი, მაგრამ ფაბრის სანტოროსთან შედარებისას მას საუკეთესო ნამდვილად არ ეთქმის. 20 წლის რუსი უკვე მეხუთედ შეხვდა კარიერაში ვეტერან ფრანგს და ერთხელაც ვერ აჯობა.

აშშ-ის ღია პირველობის ახალგამომცხვარი ჩემპიონი სიდნეიში უზბეკეთიდან მომქანცველი, თვითმფრინავით 15-საათიანი მგზავრობის შემდეგ მხოლოდ სამშაბათს, დილის 5 საათზე ჩავიდა და ოლიმპიური ტურნირისთვის ხეირიანად მომზადებისა და დასვენების დრო არც ჰქონია. არადა, აქ პირველივე წრეში თავისი რისხვა, ყველაზე მოუხერხებელი მეტოქე სანტორო ელოდა.

31 წლის ჩია ფრანგი საფინს წონასიმაღლეში გაცილებით ჩამორჩება, მაგრამ დანაკლისს გამოცდილებითა და ვერაგული თამაშის სტილით ანაზღაურებს — მისეულ დაბალ, მოჭრილ დარტყმებს და ტემპის ხშირ ცვლას რუსის გარდა სხვა მოთამაშეებიც არაერთხელ გაუმწარებია (სანტორო პირად შეხვედრებში პიტ სამპრასსაც უგებს).

საფინმა, რომლის სანახავად აშშ-ს პრეზიდენტის ქალიშვილი ჩელსი კლინტონი გამოცხადებულიყო ტრიბუნაზე, მატჩი ხეირიანად დაიწყო, პირველ სეტში მეტოქე აშკარად დაჩაგრა. მაგრამ მეორე ხელიდან მოყოლებული ფრანგმა შეცდომებს უკლო, ბადესთან დროულ გასვლებსა და დამცინავ შემოკლებულებს უმატა და საფინს სწრაფად აუბნია თავგზა — რუსმა ერთხელ ჩოგანი ისეთი სიძლიერით ხეთქა სკამების გვერდით მოთავსებულ სასმელების გამაგრილებელს, კინაღამ ორივე დაამტვრია.

„როდესაც ის ასე იქცევა, ვიცი, რომ ყველაფერი კარგად მიდის" — გაიღიმა მოგვიანებით სანტორომ.

მესამე სეტში საფინმა უამრავი ბრეიკ-პოინტი ვერ გამოიყენა, თავად კი მატჩის უკანასკნელ გეიმში ჯერ იოლი სმეში ააცილა, მერე ბადის გაკარებით მიმართულებაშეცვლილ ბურთს დროულად ვერ მიუსწრო და ზედიზედ 12 მატჩის მოგების შემდეგ პირველად დამარცხდა — 6:1, 1:6, 4:6.

„გაბრაზებული ვარ, რომ წავაგე, გაბრაზებული ვარ, რომ ოქროს მედალს ვეღარ მივიღებ და ჩემს ქვეყანას ვერ დავეხმარები, გაბრაზებული ვარ, რომ პირველი ჩოგანი ვერ გავხდები, გაბრაზებული ვარ მთავარ მსაჯზე, მაგრამ ყველაზე მეტად — საკუთარ თავზე — ჩვეული გულახდილობით აღნიშნა მატჩის შემდეგ საფინმა — ამ მარცხს გადაღლილობას ვერ დავაბრალებ, მე 20 წლის ვარ, სიბერემდე ბევრი მაკლია და ენერგიის ნაკლებობასაც არ ვუჩივი."

საფინი ერთადერთი ფავორიტი არ ყოფილა, ვინც პირველ წრეში გავარდა. ასპარეზობის მეორე დღეს კაცებში კიდევ რამდენიმე განთესილი, მათ შორის მასპინძელი ლეიტონ ჰიუიტი (4), ინგლისელი ტიმ ჰენმანი (7) და მსოფლიოს ყოფილი პირველი ჩოგანი მარსელო რიოსიც (12) გაამწარეს.

**ავთანდილ სვანიძე**

ვაჟები

პირველი წრე

**მაქს მირნი** (ბელარუსი) — ლეიტონ ჰიუიტი (4, ავსტრალია) 6:3, 6:3; **ირჟი ვანეკი** (ჩეხეთი) — უეინ ბლექი (ზიმბაბვე) 5:7, 6:1, 6:1; **არნო კლემანი** (საფრანგეთი) — გრეგ რუზედსკი (ინგლისი) 6:2, 6:3; **ფაბრის სანტორო** (საფრანგეთი) — მარატ საფინი (1, რუსეთი) 1:6, 6:1, 6:4; **ალექს კორეჩა** (6, ესპანეთი) — გორან ივანიშევიჩი (ხორვატია) 7:6 (7:3), 7:6 (7:2); **ქარიმ ალამი** (მაროკო) — ფრანკო სკილარი (10, არგენტინა) 6:4, 7:6 (7:5); **ანდრეას ვინსიგერა** (შვედეთი) — კრისტიან რუუდი (ნორვეგია) 6:2, 6:4; **ტომი ჰაასი** (გერმანია) — უეინ ფერერა (14, სამხრეთ აფრიკა) 7:5, 6:2; **სებასტიან ლარო** (კანადა) — მაიკლ ჩანგი (16, აშშ) 7:6 (8:6), 6:3; **კაროლ კუჩერა** (სლოვაკეთი) — ტიმ ჰენმანი (7, ინგლისი) 6:3, 6:2; **როჯერ ფედერერი** (შვეიცარია) — დევიდ პრინოზილი (გერმანია) 6:2, 6:2; **ჯანლუკა პოცი** (იტალია) — ირჟი ნოვაკი (ჩეხეთი) 6:1, 6:2; **მარიანო ზაბალეტა** (არგენტინა) — მარსელო რიოსი (12, ჩილე) 6:7 (8:10), 6:4, 7:5; **ფერნანდო ვისენტე** (ესპანეთი) — ენდრიუ ილი (ავსტრალია) 6:3, 6:3; **მიქაელ ტილსტრომი** (შვედეთი) — ლეანდერ პაესი (ინდოეთი) 6:2, 6:4; **ჯეფ ტარანგო** (აშშ) — დიეგო კამაჩო (ბოლივია) 6:0, 6:1.

ქალები

პირველი წრე

**ბარბარა შეტი** (12, ავსტრია) — ალისია მოლიკი (ავსტრალია) 7:6 (9:7), 6:2; **ჟული ალარი** (საფრანგეთი) — ტატიანა გარბინი (იტალია) 6:4, 6:2; **კარინა ჰაბსუდოვა** (სლოვაკეთი) — კატარინა სრებოტნიკი (სლოვენია) 6:3, 7:6 (9:7); **მარია ემილია სალერნი** (არგენტინა) — ნატაშა ზვერევა (ბელარუსი) 6:3, 4:6, 6:2; **კონჩიტა მარტინესი** (4, ესპანეთი) — პეტრა მანდულა (უნგრეთი) 6:1, 6:0; **დანიელა ბედანოვა** (ჩეხეთი) — ი ჟინ ქიანი (ჩინეთი) 6:2, 6:7 (3:7), 6:3; **ელენა დოკიჩი** (ავსტრალია) — აი სუგიამა (14, იაპონია) 6:0, 7:6 (7:1); **მარია ალეხანდრა ვენტო** (ვენესუელა) — ამანდა ჰოპმანსი (ჰოლანდია) 6:4, 6:3; **ამანდა კუტცერი** (7, სამხრეთ აფრიკა) — რიტა კუტი კისი (უნგრეთი) 6:1, 6:1; **საბინე აპელმანსი** (16, ბელგია) — სონია ჯეიალანი (კანადა) 7:5, 6:2; **რიტა გრანდე** (იტალია) — სილვია პლიშკე (ავსტრია) 6:2, 6:2; **ელენა დემენტიევა** (10, რუსეთი) — მიროსლავა ვავრინეცი (შვეიცარია) 6:1, 6:1; **ენ კრემერი** (ლუქსემბურგი) — ივა მაიოლი (ხორვატია) 6:2, 6:4; **კრისტი ბუგერტი** (ჰოლანდია) — იროდა ტულიაგანოვა (უზბეკეთი) 6:2, 6:2; **როსანა დე ლოს რიოსი** (პარაგვაი) — კვეტა ჰრდლიჩკოვა (ჩეხეთი) 6:3, 6:0; **ლინდსი დევენპორტი** (1, აშშ) — პაოლა სუარესი (არგენტინა) 6:2, 6:2.

## ცურვა



ჰოლანდიელმა პიტერ ვან ჰოგენბანდმა (მარჯვნივ) რუსი ალექსანდრ პოპოვი ტახტიდან ჩამოაგდო

# პოპოვშჩინა დაემხო

**უდავოა,** რომ ჰოლანდიური საცურაო სკოლისთვის სიდნეის ოლიმპიური თამაშები იღბლიანი გამოდგა. ამას კი ისინი უპირველეს ყოვლისა პიტერ ვან დენ ჰოგენბანდს უნდა უმადლოდნენ, რადგან სწორედ მან ითავა ამ დანაკლისის ანაზღაურება, რომელიც აქამდე ჰქონდათ ჰოლანდიელებს.

საქმე ისაა, რომ სიდნეის ოლიმპიადამდე ტიტების ქვეყანა ცურვაში კაცი ოლიმპიური ჩემპიონით თავს ვერ მოიწონებდა, ახლა კი მას ორგზის ოლიმპიური ჩემპიონი ჰოგენბანდი ჰყავს, რომელიც პირველად 200 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში გაჩემპიონდა და ნავსიც გატეხა, თუმცა ამით არ დაკმაყოფილდა და ყველაზე პრესტიჟულ დისციპლინაში, 100 მეტრზე სპრინტშიც იზეიმა ჩემპიონობა. მფრინავი ჰოლანდიელის ეს გამარჯვება იმითაცაა ალსანიშნავი, რომ მან პირველობა არ დაუთმო რუს ალექსანდრ პოპოვს, რომელიც აგერ უკვე რვა წელია, ამ დისტანციაზე ბატონობს. ახლა კი შეგვიძლია ჩავთვალოთ, რომ პოპოვისთვის ეს დისციპლინა დასრულებულია, რადგან მას ახალი მემკვიდრე გამოუჩნდა ჰოგენბანდის სახით. არადა, თუ პოპოვი გაიმარჯვებდა, იგი პირველი მოცურავე კაცი იქნებოდა, რომელმაც ზედიზედ სამ ოლიმპიადაზე მიაღწია 100 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში ჩემპიონობას. შეგახსენებთ, რომ მანამდე პოპოვმა ბარსელონასა და ატლანტის ოლიმპიადებზე გაოცა საცურაო სამყარო, როდესაც 50 და 100- მეტრიან დისტანციაზე ორ-ორჯერ იზეიმა პირველობა.

საინტერესოა, რომ თავდაპირველად ფინალური გაცურვისას ავსტრალიელი მაიკლ კლიმი ლიდერობდა, თუმცა ნახევარი მანძილის გაცურვის შემდეგ სურათი შეიცვალა, რადგან ფინიშამდე 15 მეტრით ადრე ჰოლანდიელი დაწინაურდა და აუზის კედელთან საჩემპიონო დროც უჩვენა — 48,30.

მოულოდნელი გამოდგა ბრინჯაოს პრიზიორთა შორის ამერიკელი გერი ჰოლის ხილვა, რადგან ფიქრობდნენ, რომ ამ დისციპლინაში ავსტრალიელი კლიმი აიღებდა მედალს. ის კი მხოლოდ მეოთხე ადგილით დაკმაყოფილდა.

ალსანიშნავია მეორე ჰოლანდიელის, ინგე დე ბრუინის 100 მეტრზე თავისუფალ სტილით ნახევარფინალური გაცურვაც, სადაც მან კიდევ ერთი მსოფლიოს რეკორდი დაამყარა — 53,77 და ამით მაისში, ინგლისურ შეფილდში, თავისივე ნაჩვენები მსოფლიოს უსწრაფესი შედეგი (53,80) კიდევ უფრო შეამცირა და ფინალში უდავო ფავორიტის იმიჯიც შეიქმნა.

იტალიელი ფანები უკმაყოფილონი არ უნდა იყვნენ თანამემამულე დომენიკო ფიორავანტის ასპარეზობით. პირენეელმა 100 მეტრზე ბრასში მოპოვებული სიდნეურ ოქროს კიდევ ერთი მიუმატა, ამჯერად 200 მეტრზე იმავე სახეობაში — 2.10,87. ვერცხლი კი სამხრეთაფრიკელ ყრუ ტერენს პერკინს ხვდა წილად, რომელიც სტარტზე გამოსვლისას, სხვა მოცურავეებისგან განსხვავებით, ხმოვანი სიგნალის ნაცვლად შუქზე რეაგირებს. მესამე პრიზიორი ფიორავანტის თანაგუნდელი დავიდე რუმოლო გახდა.

ალსანიშნავია ამერიკელთა გამოსვლაც, რომლებმაც წინა დღის სამაგიერო გადაუხადეს ავსტრალიელებს. გუშინ, იანკებმა ისევე როგორც წინადღით ოზებმა, ორჯერ მოიპოვეს თავიანთი ქვეყნის ჰიმნის მოსმენის უფლება. ამერიკელები ოლიმპიურ ჩემპიონობას მისტი ჰაიმენსა და 4X200 ესტაფეტის ტრიუმფატორებს — სამანტა არსენოს, დიანა მუნცს, ლინდსი ბენკოსა და ჯენი ტომპსონს უნდა უმადლოდნენ.

პირველმა მათგანმა 200 მეტრზე ბატერფლაით ცურვაში თავი არ დააჩაგვრინა მასპინძლებს — სუზან ონილსა და პეტრია ტომასს, რომლებიც შესაბამისად მეორე-მესამე ადგილებზე გავიდნენ. თავად კი საჩემპიონო დრო უჩვენა — 2.05,88.

მართალია, 4X200 თავისუფალი სტილით ესტაფეტაში 4X100 მსგავსად მსოფლიო რეკორდი არ დაუმყარებიათ, მაგრამ ოლიმპიური რეკორდი მაინც დაამყარეს — 7.57,80. გარდა იმისა, რომ იანკებმა თავიანთი გამარჯვებით მსოფლიო სპორტის ისტორია კიდევ უფრო გაამდიდრეს, ამ მხრივ ჯენი ტომპსონს მაინც ვერავინ შეედრება, რადგან ამ გამარჯვებით მან მეშვიდე ოლიმპიური ოქრო მოიპოვა და ამით თავისებური რეკორდი ჩამოართვა აღმოსავლეთგერმანელ კრისტინ ოტოს, რომელმაც 1988 წლის სეულის ოლიმპიადაზე მეექვსედ იზეიმა ოლიმპიური ჩემპიონობა.

ტომპსონს შვიდივე ოლიმპიური ოქრო ესტაფეტებში მოუპოვებია და ინდივიდუალური ტიტული არ აქვს. ამერიკელი ზედიზედ მესამე ოლიმპიადაზე ხდება ჩემპიონი.

**გიგა გურასაშვილი**

ვაჟები. 100 მ. თავისუფალი სტილი

1. პიტერ ვან ჰოგენბანდი (ჰოლანდია) 48,30; 2. ალექსანდრ პოპოვი (რუსეთი) 48,69; 3. გერი ჰოლი (აშშ) 48,73

ვაჟები. 200 მ. ბრასი

1. დომენიკო ფიორავანტი (იტალია) 2.10,87; 2. ტერენს პერკინი (სამხრეთ აფრიკა) 2.12,50; 3. დავიდე რუმოლო (იტალია) 2.12,73

ქალები. 200 მ. ბატერფლაი

1. მისტი ჰაიმენი (აშშ) 2.05,88; 2. სუზან ონილი (ავსტრალია) 2.06,58; 3. პეტრია ტომასი (ავსტრალია) 2.07,12

ქალები. 4X200 მ. ესტაფეტა. თავისუფალი სტილი

1. აშშ (სამანტა არსენო, დიანა მუნცი, ლინდსი ბენკო, ჯენი ტომპსონი) 7.57,80; 2. ავსტრალია; 3. გერმანია

## კალათბურთი

# ფინალის რეპეტიცია?

ქალები

A ჯგუფი

ავსტრალია 70:47 სლოვაკეთი
ბრაზილია 82:48 სენეგალი
საფრანგეთი 70:58 კანადა

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ავსტრალია | 3 | 3 | 0 | 229:163 | 6 |
| საფრანგეთი | 3 | 3 | 0 | 203:148 | 6 |
| ბრაზილია | 3 | 2 | 1 | 228:189 | 5 |
| კანადა | 3 | 1 | 2 | 166:189 | 4 |
| სლოვაკეთი | 3 | 0 | 3 | 158:204 | 3 |
| სენეგალი | 3 | 0 | 3 | 128:219 | 3 |

B ჯგუფი

პოლონეთი 77:62 კორეა
აშშ 88:77 რუსეთი
კუბა 74:55 ახალი ზელანდია

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| აშშ | 3 | 3 | 0 | 267:213 | 6 |
| რუსეთი | 3 | 2 | 1 | 233:196 | 5 |
| პოლონეთი | 3 | 2 | 1 | 198:198 | 5 |
| კორეა | 3 | 1 | 2 | 238:228 | 4 |
| კუბა | 3 | 1 | 2 | 197:217 | 4 |
| ახ. ზელანდია | 3 | 0 | 3 | 169:250 | 3 |

**ოლიმპიადაზე** ქალ კალათბურთელთა ტურნირში, ისევე როგორც ვაჟებში, ჩემპიონობის უპირველეს ფავორიტად ამერიკის ნაკრები მიიჩნევა. თუმც ქალებში ფავორიტსა და დანარჩენებს შორის გაცილებით ნაკლები უფსკრულია, ვიდრე კაცებში. ამას ისიც მოწმობს, რომ ამერიკელები გუშინ დამარცხებასთან ახლოს იყვნენ.

ოლიმპიადებზე ამერიკელი მანდილოსნები სულ ორჯერ დამარცხებულან და ორჯერვე რუსებთან ან საბჭოთა კავშირთან, პირველად შორეულ 1976 წელს მონრეალის ოლიმპიურ თამაშებზე, მეორედ რვა წლის წინ ბარსელონაში. და ახლა ამერიკელი ქალები დამარცხების რეალური საფრთხის წინაშე კვლავ რუსებთან ბრძოლისას დადგნენ.

ბევრმა ეს თამაში მომავალი ფინალის რეპეტიციად შერაცხა. ერთი სიტყვით, მატჩს არც ინტრიგა აკლდა და არც დაძაბულობა. შეხვედრა გარდამავალი უპირატესობით დაიწყო. არნახულად დაძაბული პირველი ნახევარი რუსთა გამარჯვებით — 47:44 დასრულდა. აქ მათ იმედი მიეცათ, რომ სენსაციის ავტორები გახდებოდნენ, მაგრამ მეორე ტაიმში სისწრაფესა და გამძლეობაში ჩამორჩნენ ამერიკელებს და გამარჯვებაც გადაულოცეს.

## ფარიკაობა

# ცაციების დუელი

**მოფარიკავეებიდან** გუშინ მედლები ვაჟმა რაპირისტებმა გაითამაშეს. შეჯიბრის მთავარ ფავორიტად მსოფლიოს სამგზის ჩემპიონი უკრაინელი სერგეი გოლებიცკი ითვლებოდა, მაგრამ მას მეოთხედფინალში გზაზე მომავალი ჩემპიონი, სამხრეთკორეელი კიმ იუნგ-ჰო გადაეღობა და სლავიც საერთოდ უმედლოდ დარჩა.

ნახევარფინალებიდან ერთი ძალიან დაძაბული გამოდგა, მეორეში კი გერმანელმა რალფ ბისდორფმა ფრანგ ჟანნოელ ფერარის ძალიან იოლად აჯობა (15:7). კორეელისა და 1995 წლის მსოფლიოს ჩემპიონ, რუს დიმიტრი შევჩენკოს დუელში კი იუნგ-ჰომ მხოლოდ ერთი ჩხვლეტით (115:14) იმარჯვა.

ფინალი მშვენიერი გამოდგა. ორივე სპორტსმენი ცაცია იყო და უზადო ტექნიკით გამოირჩეოდა. ყველაზე დიდი სხვაობა ანგარიშში გერმანელის სასარგებლოდ დაფიქსირდა. ბისდორფი ერთხელ 9:7 დაწინაურდა, მაგრამ მერე მოწინააღმდეგეს ანგარიშის გათანაბრების საშუალება მისცა (14:14). ისევე როგორც ნახევარფინალში, გადამწყვეტი ჩხვლეტა აქაც იუნგ-ჰომ განახორციელა და ოლიმპიური ოქროს მოპოვებით გახარებული ფიცარნაგზევე ცრემლებად დაიღვარა.

დაძაბული იყო მესამე ადგილისთვის ბრძოლაც. შეხვედრის ბოლოს შევჩენკო 14:12 იყო წინ, მაგრამ მერე ფერარი წამოეწია, თუმც ბოლო სიტყვა მაინც უკრაინელს დარჩა.

**გაიოზ თალაკვაძე**

## კრივი

პირველი წრე

63,5 კგ. მაჰამადკადიზ აბდულაევი (უზბეკეთი) — მიგელ ა კოტო (პუერტო რიკო) 17:7; კელსონ კარლოს სანტოს პინტუ (ბრაზილია) — ღულამ შაბირი (პაკისტანი) ნოკაუტი; ნურჰან სულეიმანოღლუ (თურქეთი) — მაიკლ სტრეინჯი (კანადა) 9:3; სერგეი ბუკოვსკი (ბელარუსი) — რომეო ბრინი (ფილიპინები) 8:5; მოჰამედ ალალუ (ალჟირი) — ლუკას კონეჩნი (ჩეხეთი) 17:9; სვენ პარიზი (იტალია) — პონდსაკ შრიენტუნტონგი (ტაილანდი) 14:3; კაი ჰუსტე (გერმანია) — ვიქტორ კასტრო (არგენტინა) 5:3; ალექსანდრ ლეონოვი (რუსეთი) — სამი ხელიფი (ტუნისი) 14:9; ჰვანგ სუნგ ბუმი (კორეა) — მარიუშ ჩენდროვსკი (პოლონეთი) 14:4; ოლუსეგუნ აჯოსე (ნიგერია) — ანუშირვან ნურიანი (ირანი) ნურიანი არ გამოცხადდა; რიკარდო უილიამსი (აშშ) — ჰენრი კოლინზი (ავსტრალია) ნოკაუტი; ბენ ნი კუაიე (განა) — ფრედერიკ კინუტია (კენია) 14:2

81 კგ. ალექსანდრ ლებზიაკი (რუსეთი) — ფალ ელ ჰაჯი ჯიბრილი (სენეგალი) ნოკაუტი; დანიელ გრინი (ავსტრალია) — დაუდელინო ბაროსი (ბრაზილია) ნოკაუტი; ალექსეი კატულევსკი (ყირგიზეთი) — ჯორჯ ოლვანდე ოდინდო (კენია) 11:2; ჯონ დოვი (საფრანგეთი) — შონ ტერი კოქსი (ბარბადოსი) 14:10; ალი ისმაილოვი (აზერბაიჯანი) — ემილ დანკოვი (ბულგარეთი) 14:9; სერგეი მიხაილოვი (უზბეკეთი) — გრიგორე კლაუდიუ (რუმინეთი) 15:6; ოლჟას ორაზალიევი (ყაზახეთი) — უგო გერმან გარაი (არგენტინა) ნოკაუტი; ისაელ ალვარესი (კუბა) — ჯაკობე ფრაგომენი (იტალია) ნოკაუტი; დანი ფენტერი (სამხრეთ აფრიკა) — იჰაბ ალიუსეფი (სირია) 12:9; გურბარან სინგჰი (ინდოეთი) — ჩოი კი სუ (კორეა) 11:9; ანდრიი ფედჩუკი (უკრაინა) — აზიზე რაგუიგი (მაროკო) ნოკაუტი; ჩარლზ ადამუ (განა) — კურტნი ფრაი (დიდი ბრიტანეთი) 16:3

## წყალბურთი

ქალები

აშშ 9:6 ყაზახეთი
რუსეთი 6:3 ჰოლანდია
ავსტრალია 9:4 კანადა

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ავსტრალია | 5 | 4 | 0 | 1 | 35:20 | 8 |
| აშშ | 5 | 3 | 1 | 1 | 36:30 | 7 |
| ჰოლანდია | 5 | 3 | 0 | 2 | 27:26 | 6 |
| რუსეთი | 5 | 2 | 1 | 2 | 36:29 | 5 |
| კანადა | 5 | 1 | 2 | 2 | 33:34 | 4 |
| ყაზახეთი | 5 | 0 | 0 | 5 | 27:51 | 0 |

ნახევარფინალი. 22 სექტემბერი

ავსტრალია — რუსეთი
აშშ — ჰოლანდია

## ძალოსნობა

# ურუტიამ ისტორია დაიწყო

**„იგი** ჩვენი ახლო მეგობარია და გული დაგვწყდა, მაგრამ ეს ჩვენს გამოსვლაზე არ იმოქმედებს" — თქვა 69 კილოგრამამდე წონითი კატეგორიის ძალოსანმა, ბულგარელმა გალაბინ ბოევსკიმ. ნათქვამი ივან ივანოვს ეხებოდა, რომლის ოლიმპიადიდან მოკვეთის ამბავი რუბრიკა „დოპინგში" ალვწერეთ. მართალი გამოდგა ბოევსკი, ნახსენებ კატეგორიაში პირველობისთვის სწორედ ბულგარელებმა იბრძოლეს და ოქროსა და ვერცხლის მედლები მიითვალეს, მეტიც — ბოევსკიმ ოქროსთან ერთად ატაცის მსოფლიოს რეკორდი გაიმეორა და აკრისა დაამხო, მისმა თვისტომმა, გეორგი მარკოვმა კი ვერცხლის მედალი ბოევსკისგან გამეორებული ატაცის რეკორდის დამხობით გაილამაზა. ბოევსკიმ ატაცში 162,5 კილოგრამი ასწია, მარკოვმა 165-ით უპასუხა და პირველობის კანდიდატი შეიქნა, მაგრამ აკრისას ბოევსკიმ უცებ ჯერ 185 კილო ასწია, მერე 190, ამ დროს კი მარკოვი 192,5-ს ამაოდ შეეჭიდა. კონკურენტი რომ ჩამოშორდა ბოევსკიმ სარეკორდო 196,5 კილოგრამს გაბედულად შეუტია და თავს ზემოთ აღმართული შტანგის ძირს დანარცხებისთანავე ორი კოცნა ჯერ დარბაზს სტყორცნა, მერე ხელები დაიკოცნა (ერთგულებისთვის მადლობის ნიშნად) და ბოლოს მარცხენა მუხლზე იტაცა, რომელიც აპრილში ევროპირველობაზე დაეშავებინა. ტრავმამ, საბედნიეროდ, ქარიშხლის გადავლის შემდეგ შეახსენა თავი.



REUTERS სიდნეიდან

მარია იზაბელ ურუტია

სხვაფრივ მამაკაცთა გუშინდელი შეჯიბრი მაყურებელთა გაღიზიანებით გამოირჩა. სომეხი რუდიკ პეტროსიანი იდგა ფიცარნაგზე, როცა დარბაზში ორი მობილური ერთად აწკრიალდა. ამ დროს მაყურებლები გაფრთხილებულნი იყვნენ, მსგავსი ხმაური სპორტსმენთა კონცენტრირების უნარისთვის მახვილის ჩაცემაა და ტელეფონები სულ გამორთული გქონდეთო. მობილურგამორთულთა უმრავლესობის სიტყვიერი რისხვა შეუსმენელთ დაატყდათ თავს, პეტროსიანმა კი ველარ მოახერხა ძალების ხელმეორედ თავმოყრა და მეხუთე ადგილზე დარჩა.

ქალთა ძალოსნობაც არანაკლებ ემოციური გამოდგა. მთავარი მოვლენა — კოლუმბიამ თავის ისტორიაში პირველი ოლიმპიური ოქროს მედალი მოიპოვა, რასც 35 წლის მარია ისაბელ ურუტიას უმადლის. ურუტიამ 110 კილო აიტაცა და 135 აკრა. ტაივანელი იუი ჰანგ კუო და ნიგერიელი რუთ ოგბეიფოც ზუსტად იმ შედეგამდე მივიდნენ და მეტის გაკეთება ტყუილად სცადეს. აწონვისას კი ურუტიას ტანკენარობა გადამწყვეტი გამოდგა. იგი 73,26 კილო ყოფილა, ოგბეიფო — 74,20 და იი-ჰანგი — 74,52, ამიტომ ოქრო ურუტიას არგუნეს. გაუხარდა, მაშ როგორ, მაგრამ იმის ნახევარი ემოციებიც არ დაუფრქვევია, რამდენიც ოგბეიფომ და უფრო მისმა მწვრთნელმა (კოსმოს სემპსონი), რომელმაც ვერცხლის ბოძებისთვის მრავალგზის ადიდა უფალი.

**დავით გულუა**

ქალები

75კგ. 1. მარია იზაბელ ურუტია (კოლუმბია) 245,0კგ; 2. რუთ ოგბეიფო (ნიგერია) 245,0კგ; 3. იუი ჰანგ კუო (ტაივანი) 245,0კგ

ვაჟები

69კგ. 1. გალაბინ ბოევსკი (ბულგარეთი) 357,5 კგ; 2. გეორგი მარკოვი (ბულგარეთი) 352,5კგ; 3. სერგეი ლავრენოვი (ბელარუსი) 340,0კგ

## სოფტბოლი

ახალი ზელანდია 6:2 კუბა
კანადა 7:1 იტალია
იაპონია 1:0 ავსტრალია
ჩინეთი 2:0 აშშ

## ბეისბოლი

აშშ 4:0 კორეა
ავსტრალია 10:4 სამხრეთ აფრიკა
ჰოლანდია 4:2 კუბა
იაპონია 6:1 იტალია

# სამარანჩი დაბრუნდა



**საერთაშორისო** ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტი, ხუან ანტონიო სამარანჩი მეუღლის გარდაცვალებიდან ხუთიოდე დღის შემდეგ უკვე სიდნეიშია. ამბობდნენ, დიდი-დიდი ოლიმპიადის დახურვაზე მოვიდესო, მაგრამ გუშინ, სიდნეის დროით 17 საათსა და 30 წუთზე, პრეზიდენტმა ავსტრალიის მიწას დააბიჯა. აეროპორტში მას ავსტრალიის ოლიმპიზმის მინისტრი, მაიკლ ნაიტი და სოკ-ის ვიცე-პრეზიდენტი კევინ გოსპერი დახვდნენ. ცხადია, იქ იყვნენ ჟურნალისტებიც, რომელთაც სამარანჩმა უთხრა: „ბედნიერი ვარ, რომ დავბრუნდი. ჩემი აქ ყოფნის საჭიროება შეგნებული მაქვს. რამდენიმე შეჯიბრზე დასწრებას ვაპირებ“. 80 წლის პრეზიდენტი ავსტრალიაში უსაქმოდ არ იქნება, ხუთშაბათს ოლიმპიადის ყოველდღიური საკოორდინაციო საბჭოს სხდომას გაუძღვება, მერე კი — სოკ-ის აღმასრულებელი საბჭოს მცირე თავყრილობას.

სამარანჩის მეუღლე, მარია ტერეზა ორშაბათს დაკრძალეს ბარსელონაში.

ფეხბურთი

# სწავლა, სწავლა და ქვითინი

## ქალები

### B ჯგუფი

**ნორვეგია 2:1 ჩინეთი**

1:0 პეტრესენი (55), 1:1 ვენი (75პ), 2:1 პუგენსი (78)

**აშშ 3:1 ნიგერია**

1:0 ჩესტეინი (26), 2:0 ლილი (35), 2:1 აკიდე (48), 3:1 მაკმილანი (56)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| აშშ | 3 | 2 | 1 | 0 | 6:2 | 7 |
| ნორვეგია | 3 | 2 | 0 | 1 | 5:4 | 6 |
| ჩინეთი | 3 | 1 | 1 | 1 | 5:4 | 4 |
| ნიგერია | 3 | 0 | 0 | 3 | 3:9 | 0 |

ნახევარფინალი. 24 სექტემბერი

**ნორვეგია — გერმანია**

**აშშ — ბრაზილია**

## ვაჟები

### B ჯგუფი

**კორეა 1:0 ჩილე**

1:0 დონგ-გუკი (28)

**ესპანეთი 2:0 მაროკო**

1:0 ხოსე მარი (33), 2:0 გაბრი (90)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ჩილე | 3 | 2 | 0 | 1 | 7:3 | 6 |
| ესპანეთი | 3 | 2 | 0 | 1 | 6:3 | 6 |
| კორეა | 3 | 2 | 0 | 1 | 2:3 | 6 |
| მაროკო | 3 | 0 | 0 | 3 | 1:7 | 0 |

### 3 ჯგუფი

**სლოვაკეთი 2:1 სამხრეთ აფრიკა**

1:0 ფონვაი (47), 2:0 სლაპორი (72), 2:1 მაკკართი (76)

**ბრაზილია 1:0 იაპონია**

1:0 ალექსი (5)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბრაზილია | 3 | 2 | 0 | 1 | 5:4 | 6 |
| იაპონია | 3 | 2 | 0 | 1 | 4:3 | 6 |
| სამხ აფრიკა | 3 | 1 | 0 | 2 | 5:3 | 3 |
| სლოვაკეთი | 3 | 1 | 0 | 2 | 4:6 | 3 |

მეოთხედფინალი. 23 სექტემბერი.

**აშშ — იაპონია**

**ბრაზილია — კამერუნი**

**იტალია — ესპანეთი**

**ჩილე — ნიგერია**

ფავორიტი, ბრაზილიის ნაკრები, D ჯგუფში იაპონიას შეხვდა, 1:0 მოუგო და ავსტრალიაში დარჩა — ის მეოთხედფინალისტია, ისევე, როგორც დამარცხებული.

ვანდერლეი ლუქსემბურგოს ფეხბურთელებს პლეი-ოფში გასვლისა და მწვრთნელისთვის თანამდებობის შესანარჩუნებლად მხოლოდ გამარჯვება სჭირდებოდათ და მიაღწიეს კიდეც, როდესაც ალექსმა შეჯიბრებაში თავისი მეორე გოლი შეაგდო. ეს გოლი აზიელთა კარში თავურით, შეხვედრის დასაწყისშივე გავიდა და გამოდგა ის ერთადერთი, რომელმაც იაპონიის ნაკრებს ზედიზედ მე-20 არწაგებაში შეუშალა ხელი.

კვირას, სამხრეთ აფრიკასთან დამარცხების შემდეგ მრავალი მიმომხილველი მსოფლიოს ოთხგზისა და ოლიმპიადის ვერცერთგზის ჩემპიონისგან დიდს არაფერს ელოდა, იქნებ წააგოს კიდეცო, ამბობდნენ, მაგრამ ბრაზილიამ „ბრისბეინ კრიკეტ გრაუნდზე“ ჯერჯერობით საუკეთესო მატჩი ჩაატარა.

გოლი, რომელიც ზემოთ ვახსენეთ, ფაბიო აურელიოს მარცხიდან ჩაწოდებას მოჰყვა. ალექსი საჯარიმოში მეურვეებზე მაღლა აზტა და სეიგო ნარაზაკისთვის აუღებლად დაარტყა.

ჩამორჩენილ იაპონელებს ყურები არ ჩამოუყრიათ. მართალია, ლიდერები, პიდეტოში ნაკატა და კაპიტანი რიუცო მირიოკა აკლდათ — დისკვალიფიცირებულნი გახლდნენ — აზიელებმა შუნსუკე ნაკამურას წინამძღოლობით მოედნის შუაწელი დაიპყრეს და მეტოქის მეკარე ელტონი ჯარიმებით გვარიანადაც აწვალეს. ერთი სიტყვით, იაპონიისგან ანგარიშის გათანაბრება ბოლო წუთამდე მოსალოდნელი გახლდათ. მორიგი გოლის შეგდება ბრაზილიასაც შეეძლო, მაგრამ აქეთაც და იქითაც განსაკუთრებულად ითამაშეს მეკარეებმა.

შეხვედრის მიწურულს იაპონელებს ერგოთ ძალიან რეალური შანსი — ნაკამურას კუთხურიდან ბურთი ფაბიანოს თავზე აეჭრა და ძელს ეძგერა.

საბოლოოდ კი, მსაჯის სასტვენმა როგორც ლუქსემბურგოს ასევე იაპონელთა ფრანგ თავკაცს, ფილიპ ტრუსიეს ღრმად ამოსუნთქვის საშუალება მისცა.

„ფეხბურთი ისეთი რამაა, ადამიანი სულ სწავლობ რაღაცას“ — განუცხადა ჟურნალისტებს ბრაზილიელების მწვრთნელმა — „მაგალითად, სამხრეთ აფრიკელებთან წაგების შემდეგ ორიოდ დღეში უამრავი რამ აღმოვაჩინეთ“.

ტრუსიე: „სამ მატჩში ორჯერ მოვიგეთ და ერთხელ ფრედ ვითამაშეთ. ასეთივე შედეგი აქვს ბრაზილიას და ეს სიამაყის საბაბს მაძლევს“.

სამხრეთ აფრიკა კი წინა ტურში ბრაზილიის ძლევის მიუხედავად შინ მიემგზავრება — სლოვაკეთთან დამარცხდა.

„პირველად ვნახე დამარცხების გამო ატირებული ჩემი ბიჭები. მე აქ ვარ, ისინი კი იქ, გასახდელში ცრემლებად იღვრებიან“ — ლამის იყო თავადაც სლუკუნებდა აფრიკელთა თავკაცი ეფრაიმ მაშაბა — „ასეთ რამეს არ ველოდით, გეგმის მიხედვით მხოლოდ პირველი 20 წუთის მანძილზე ვთამაშობდით. მეორე ტაიმში რაღაც კი გამოვასწორეთ, მაგრამ ჩვენი წილი შანსი ვერ გამოვიყენეთ“.

ახლა, რაც შეეხება B ჯგუფს. აქ კორეამ ჩილეს მოუგო 1:0, თან ისე, რომ მე-19 წუთის შემდეგ უმცირესობაში იყო — ნახევარმცველი ლი ჩანსო გაუძევეს. მიუხედავად ასეთი გმირობისა, კორეელებს ადელაიდის სტადიონიდან შინ უწევთ გამგზავრება.

მართალია ჩილემ, კორეამ და ესპანეთმა თანაბარი, 6-6 ქულა მოაგროვეს, მაგრამ ჩილემ და ესპანეთმა ბურთების უკეთესი სხვაობის გამო მოიპოვეს მეოთხედფინალის საგზური.

აღსანიშნავია, რომ ჩილელებს არ ჰყავდათ დაშავებული ლიდერი ივან სამორანო, რომელიც მეოთხედფინალისთვის გამოჯანმრთელდება.

ესპანეთმა კი მაროკოს უპრობლემოდ აჯობა და ახლა იტალიასთან აქვს სათამაშო.

**ბაჩუნა ძიდია**



ბრაზილიელი ჯოვანი (№11) და იაპონელი ტომოიუკი საკაი მეოთხედფინალში გავიდნენ



# ივანოვს კოცნა ჩამწარდა

## ბულგარელ ძალოსანს ოლიმპიური ვერცხლი ჩამოართვეს

**ოლიმპიური** ყანა ძველებურად გულმოდგინედ იმარგლება, გუშინ სიდნეის თამაშების ანტისადოპინგე სამსახურმა კიდევ ორი სარეველას გვარი დაასახელა. ბელარუსი უროს მტყორცნელი, ვადიმ დევიატოვსკი მძლეოსნობის გამორჩეული ფიგურა არ არის და უკვე ბანალურად ცნობილი ნანდროლონის გამო დაისაჯა, ივან ივანოვის დისკვალიფიკაცია კი დიდ ყურადღებას იმსახურებს. პირველ რიგში აღვნიშნოთ, რომ ბულგარელს სიდნეიში უკვე მოპოვებული ვერცხლის მედალი ჩამოართვეს. ოლიმპიურ ძალოსნობაში ამგვარი რამ ბოლოს 12 წლის წინათ, სეულის თამაშებზე მოხდა. საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის პრესსამსახურმა ივანოვის დამღუპველ დოპინგად დიურეტიკი დაასახელა, ნივთიერება, რომელიც ძალოსნებსა და მათი მონათესავე სახეობების წარმომადგენლებს დიდ სამსახურს უწევს, რადგან ორგანიზმიდან სითხის გამოდევნას უწყობს ხელს. შესაბამისად, მასის სწრაფ დაგდებას უზრუნველყოფს და წონითი კატეგორიების არსებობისას ამით გვარიანად მანიპულირება შეიძლება. მოიშორებს სპორტსმენი, ვთქვათ, ორიოდე კილოგრამს და უფრო დაბალ წონაში გამოვა, რაც მედლისკენ სავალ გზასაც ძალიან ამოკლებს. ივანოვს კარგად მოუხერხებია, 56 კილოგრამამდე წონაში გამოდიოდა და დილის აწონვისას სასწორმა 55 კილო და 920 გრამი უჩვენა. ასეთი იდეალური წონით ავიდა ბულგარელი ფიცარნაგზე, მთლად ოქრო არა, მაგრამ ვერცხლი გამოიმუშავა და მერე ის გულისამაჩუყებელი სცენაც გათამაშდა, რომელიც ფოტოზეა აღბეჭდილი. სიხარული მალე შეცვალა გაწბილებამ. საერთაშორისო ოლიმპიურმა კომიტეტმა მძლეოსნისგან მედალი უკან გამოითხოვა და ავსტრალიის დატოვება ურჩია. გაბედნიერდნენ ჩინელები: ბრინჯაოს პატრონს ვუ ვენქსიონს ვერცხლი დაუმტკიცეს და სულ უმედლოდ დარჩენილ ჟანგ ქსიანგქსიანგს ბრინჯაო ჩამოჰკიდეს კისერზე. 29 წლის ივანოვს ალბათ მალე დასჯიან.

**დავით გულუა**

მძლეოსნობა

# შმილერო ასი მეტრი

**28 წლის** ამერიკელმა ინგერ მილერმა განაცხადა, რომ სიდნეიში 100 მეტრზე სპრინტში ვერ გამოვა, რაც ფრიად საწყენია. იგი უპირველესად მიაჩნდათ მათ შორის, ვისაც შეეძლო, ამ სახეობაში მარიონ ჯონსისთვის ხელი შეეშალა. როგორც ირკვევა, მილერმა ლოს ანჯელესში ვარჯიშისას 7 სექტემბერს ბარძაყის ტრავმა მიიღო და დღემდე ვერ მოიშუშა. მილერის პრესკონფერენციაზე, რომელიც სიდნეიში გუშინ შედგა, იმაზე არაფერი თქმულა, ციცქნა მორბენალი 200 მეტრზე სირბილს თუ აპირებს (რაშიც მსოფლიოს ჩემპიონია), მაგრამ თუ 100-ზე ვერ გაიქცევა, ორასზე მით უმეტეს...

**სპორტულ ჟურნალისტთა საყურადღებოდ!**

**12 სექტემბრიდან სიდნეიში მუშაობას შეუდგა საქართველოს ოლიმპიური დელეგაციის პრესცენტრი.**

**თქვენთვის საინტერესო ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ ყოველდღე, თბილისის დროით 17.30-დან 19 საათამდე.**

**ტელეფონი: (612) 8 11 35 445**

# რატიოგრამა: მზად ვარ!

## საქართველოს ნაკრებში დაწუნებული ალექსიძე რანიერისაც მოეწონა



რატი ალექსიძე

„ახლა „ჩელსიში" მენეჯერი შეიცვალა. შეიძლება საქმე ისე წავიდეს, რომ არა მხოლოდ მენეჯერი, არამედ სამწვრთნელო შტატიც შეიცვალოს. ვთქვათ, გრემ რიქსი. ანუ ის ასისტენტები წავიდნენ, ალექსიძეს შესაძლებლობებს რომ იცნობენ და მასზე ამაგიც რომ აქვთ. ამასთან დაკავშირებით, ეგებ რატის გასხვისებაზეც დაიწყონ ფიქრი...

ვნახოთ, რა იქნება... ხომ შეიძლება, ყველაფერი პირიქით მოხდეს. ვთქვათ, მივიდეს კლაუდიო რანიერი ჰარლინგტონის ბაზაზე და თქვას: „აბა, ერთი რეზერვისტები მაჩვენეთ".

და მოეწონოს".

ეს ყველაფერი შაბათის „სარბიელში" გიო ახვლედიანმა თავის სვეტში ჩაწერა.

მესვეტე კი არა, ვანგა გვყოლია გვერდში. თავად განსაჯეთ:

*კვირა:* კლაუდიო რანიერი „სტამფორდ ბრიჯის" ტრიბუნაზე მოკალათდა და „ლესტერთან" 0:2 მარცხს შეესწრო. მატჩის შემდეგ მცირე ხნით გაესაუბრა ფეხბურთელებს, კლუბის თავკაცებს კი მოსთხოვა, ორშაბათს სათადარიგო გუნდის მატჩი „ქოვენტრისთან" ასევე „სტამფორდ ბრიჯზე" ჩატარებულიყო.

*ორშაბათი:* „მინდა ჩვენი გუნდის რეზერვისტები საბრძოლო ვითარებაში ვნახო" — ახსნა რანიერიმ. სათადარიგოთა ჩემპიონატის მეოთხე ტურის მატჩი საღამოს გაიმართა, მანამდე კი იტალიელი ძირითადი შემადგენლობის ფეხბურთელებს შეხვდა. „გაცნობა" დახურულ კარს მიღმა მიმდინარეობდა, თუმცა როგორც კარის აქეთა მხარეს ჩასაფრებულმა რეპორტიორებმა თქვეს, ოთახიდან რანიერის უჩვეულოდ ხმამაღალი საუბარი ისმოდა. მოგვიანებით ფეხბურთელებმა ჟურნალისტებს ახალი მწვრთნელის სიტყვები გაანდეს — ბევრია, ვინც ძირითადში თამაშს არ იმსახურებსო. რანიერის გადაწყვეტილებით, სამშაბათიდან „ჩელსი" ორჯერად ვარჯიშებზე გადადის. კაპიტანი დენის უაიზი ამბობს: „ასეთი რამ არც გამიგია. დღეში ორჯერ მხოლოდ სეზონისწინა შეკრებებზე ვვარჯიშობდით. არა მგონია, ამან სიკეთე მოიტანოს".

საღამოს „ჩელსის" სათადარიგოებმა მიმდინარე ჩემპიონატში ზედიზედ მეოთხედ მოიგეს და ასპროცენტიანი შედეგით ცხრილის სათავეს შემორჩნენ. ესპანელი ფერერი და ჰოლანდიელი მელხიოტი ისე დარბოდნენ, თითქოს ჩემპიონთა ლიგის ფინალი ყოფილიყოს. არცაა გასაკვირი — მათ პირველ გუნდში ადგილის მოპოვება სურდათ. რანიერიც კმაყოფილი დარჩენილა ამათი თამაშით, თან დაუმატებია — ის ორიც ძალზე მომეწონაო. „ის ორი" რეზერვების კაპიტანი ტერი და რატი ალექსიძე გამოდგნენ.

სწორედ ჩვენებური და წლეულს „ბოლტონიდან" ნაყიდი გუდიონსენი უტევდნენ ქოვენთრელთა კარს. ისლანდიელი მალე მარკ ნიკოლსმა შეცვალა, ქართველი კი მოედანზე მატჩის ბოლომდე დარჩა. სხვაგვარად არც იქნებოდა: რატიმ ჯერ ნიკოლსის პასით სეზონში მეოთხედ გაიტანა; მერე თაურით ბურთი ძელს მოარტყა, გადმოვარდნილს კი იმავე ნიკოლსმა მიუჩინა სათანადო ადგილი, ბოლოს კი გუნდს პენალტიც მოუპოვა. საბოლოოდ, მასპინძლებმა 3:1 იმარჯვეს.

*სამშაბათი:* გავრცელდა ინფორმაცია, რომ ვიალის თანაშემწე რეი უილკინსი ალბათ „ჩელსის" დატოვებს და ლონდონისვე „მილუოლს" ჩაუდგება სათავეში. როგორც გაზეთი „სანი" წერს, რანიერი არც გრემ რიქსს გააჩერებს დიდხანს...

ეგაა, სინიორ კლაუდიოს არცთუ სახარბიელო დებიუტი ელის: შაბათს „ჩელსის" პირდაპირ ლომის ხახაში ანუ „ოლდ ტრეფორდზე" ელიან.

**გიგა კობახიძე**



REUTERS

კახა კალაძე ჯერ ისევ კიევის დინამოელია

# კალაძე ზამთარში!

## ბაიერნი ძაკერონის ცხვირწინ ტრიალებს

**— კალაძე** „ბაიერნს" სურს — ასეთი ცნობა, თუნდაც მას თვით მიუნხენური კლუბის სახელგანთქმული პრეზიდენტის, ფრანც ბეკენბაუერის ბაგენი ღაღადებდნენ, მკითხველთა უმეტესობისთვის ახლა მხოლოდ გამაღიზიანებელია და არა ცნობისმოყვარეობის დასაკმაყოფილებელი სიახლე. ეს გასაგებიცაა, მარტო ბოლო თვეში იმდენი ურთიერთგამომრიცხავი ინფორმაცია გამოქვეყნდა კალაძის და კიევის „დინამოს", კალაძის და „მილანის" თუ კიდევ სხვა ევროპული გრანდის ურთიერთობის თაობაზე, ცხადია, იმის გასარკვევად, რომელი შეეფერებოდა მათ შორის სიმართლეს, წარსულში კი არა, მომავალში უნდა გავიხედოთ.

ახლა კი ამის ამოსაცნობად ღწვა მარჩიელობა იქნება და სხვა არაფერი. რომელია მართალი? იქნებ არც ერთი, ან იქნებ ყველა...

აი, ერთიც, რომელიც გუშინ ერთერთმა ინგლისურმა წყარომ გაავრცელა და გრეიმ ბეილი აწერს ხელს: „მიუნხენის „ბაიერნი" მზადაა, შეიძინოს უკრაინის ნაკრების ფეხბურთელი კახა კალაძე, რომელიც ასევე „მილანის" თვალთახედვის არეშია.

23 წლის ცენტრალურ მცველს იტალიურ გიგანტთან ყველა დეტალი დაზუსტებული აქვს, მაგრამ კონტრაქტი ჯერ არ გაუფორმებია. მიუხედავად ამისა, „ბაიერნი" ეცდება, ცხვირწინ ააცალოს კალაძე ალბერტო ძაკერონის.

იტალიურმა წყაროებმა დაადასტურეს, რომ ხელშეკრულების დამუშავებაზე „მილანი" უკვე დიდად აღარ ჯავრობს და კონტრაქტის გაფორმებას იანვარში, ანუ იმ დროისთვის იმედოვნებს, როცა იტალიაში სატრანსფერო ფანჯარა იხსნება. თუმცა „მილანში" უწყიან, რომ „ბაიერნის" წინადადებაც არ იქნება უბრალო.

„ბაიერნი" გააგრძელებს კალაძეზე თვალყურის დევნებას, რადგან მიუნხენელებს სწორედ დაცვის გაძლიერება სჭირდებათ, თუმცა სავარაუდოა, რომ გერმანელები კანდიდატებს სხვაგანაც მოიძიებენ."

როგორც ხედავთ ინგლისელებს კალაძის სადაურობა ეშლებათ. გამორიცხული არაა, სხვაც რამ ეშლებოდეთ.

...ჯერ „მილანი", ახლა „ბაიერნიც". იანვრამდე კი... გინდ დაიჯერეთ, გინდ არა.

**ვახტანგ შჭიძაძე**

# არაუმ, არაო:

## სურვილი გვაქვს, ფული არა

**ბევრი** იფიქრა თუ ცოტა, შვეიცარიული „არაუს" ხელმძღვანელობამ გუშინ საბოლოოდ გადაწყვიტა — გიორგი ანჩაბაძეს, რომელიც ორ კვირაზე მეტი ამ გუნდში ისინჯებოდა, კონტრაქტს არ გაუფორმებს. შვეიცარიის უმაღლესი დივიზიონის წარმომადგენელმა ქართველი ფეხბურთელის მიერ წამოყენებული პირობები ვერ დააკმაყოფილა.

არადა, როგორც გუნდის ქართველმა ფორვარდმა ლევან ხომერიკმა გუშინწინ გვითხრა, თითქოს ყველაფერი კარგად იყო, გუნდის თავკაც როლფ ფრინგერს ანჩაბაძე მოეწონა და მისი კლუბში დატოვების სურვილიც გამოუთქვამს. შესათანხმებელი მხოლოდ პირობები იყო, სწორედ ამაზე ვერ მორიგდნენ „არაუ" და ანჩაბაძე.

გიორგიმ ბოლო გამოცდა ორშაბათს ჩააბარა. ყოფილი არაუელის, პეტარ ალექსანდროვის ფეხბურთთან გამოსათხოვარ მეტჩში მიიღო მონაწილეობა. ანჩაბაძემ 59 წუთი ითამაშა, თუმცა თავისი შესაძლებლობების გამოვლენა ამ დროშიც მოასწრო.

„ალექსანდროვის მეგობრების გუნდში კრასიმირ ბალაკოვი გამოირჩეოდა, რომელიც რეჟისორივით ყველა შეტევას იწყებდა, „არაუში" კი გასასინჯად მყოფი გიორგი ანჩაბაძე იყო საუკეთესო, მან დაამტკიცა, რომ ჩინებული ტექნიკის პატრონია" — წერს „არაუერ ცაიტუნგი." ამ მატჩში არაუელთა შორის არგენტინელმა მაქსიმილიანო ბენიტესმაც ითამაშა, რომელიც ასევე გასასინჯად იმყოფება გუნდში. მან გოლიც გაიტანა.

მიუხედავად ასეთი შეფასებისა, „არაუს" ხელმძღვანელებმა ამ ორი ფეხბურთელის ბედის გადასაწყვეტად საგანგებოდ ითათბირეს, რომლის დროსაც გამოჩნდა, რომ „არაუს" არც ანჩაბაძის პირობების შესრულება შეეძლო და არც ბენიტესისა, ამიტომ ორივე მათგანს უარი უთხრეს.

ისე, ბოლო დროს „არაუში" მართლაც დიდი არეულობაა. კლუბიდან ძველი სპონსორი წავიდა, მის ნაცვლად ფრიად შეძლებული იტალიელი ბიზნესმენი, ვინმე ბელარდელი უნდა მისულიყო, მაგრამ გარიგება ჩაიშალა. შვეიცარიული კლუბიც ფინანსურ გაჭირვებაშია, თუმცა მდგომარეობის გამოსწორების იმედი, ქართული კლუბებივით, კვლავაც აქვს.

საინტერესოა, თუკი „არაუს" ხელმძღვანელობას ფეხბურთელის პირობების შესრულება არ შეუძლია, ანჩაბაძე და არგენტინელი ბენიტესი გასასინჯად რალას ჩაჰყავდა.

ანჩაბაძე თბილისში წუხელ უნდა დაბრუნებულიყო. გიორგი კარიერას ალბათ ისევ „დინამოში" გააგრძელებს.

**ვანო ოქროპირიძე**



გიორგი ანჩაბაძე (ბურთით) ალბათ ისევ „დინამოს" დაუბრუნდება

# კახეთმა დინჯად დაიწყო და გაჩერდა

**ბოსნიაში** ევროპის რეგიონთა თასის შესარჩევ ეტაპზე საქართველოს მოყვარულთა ნაკრებმა, წლეულს „კახეთი" რომ წარადგენს და პირველლიგელი წნორის „მილანის" ბაზაზეა დაკომპლექტებული, ტურნირის სადებიუტო მატჩი არ წააგო.

ქართველი მოყვარულები რუმინელ კოლეგებს შეხვდნენ და 0:0 დაუზავდნენ. „კახეთმა" „დაჩიასთან" ასეთი შემადგენლობით ითამაშა:

*კოდალაევი, ჩადუნელი, გელაშვილი, მეტრეველი, მოსიაშვილი, მერებაშვილი (ვარამაშვილი 46), ბახტაძე (კიკვიძე 68), სოსელია (მეტონიძე 82), ჯანელიძე, კრავეიშვილი, თვაური*

ქვეჯგუფის მეორე მატჩიც მასპინძელ ბოსნიასა და აზერბაიჯანს შორის ფრედ, 1:1 დასრულდა.

მომდევნო თამაშში, გუშინ ქართველებმა წააგეს.

ბოსნიამ ორი უპასუხო გოლით მოუგო „კახეთს". 22-ე წუთზე კოლიჩის გატანილს 70-ეზე ვილიჩმა ერთი გოლიც დაამატა.

ალსანიშნავია ისიც, რომ ჩვენებურთა მეტოქე მეორე ტაიმის 58-ე წუთიდან კაცნაკლული თამაშობდა. აზერბაიჯანელმა მსაჯმა გადიევმა მასპინძლებს ელვირ ჰოჯიჩი გაუძევა.

„კახეთმა" ბოსნიელებს ეს მოთამაშეები დაუპირისპირა:

*კოდალაევი, ჩადუნელი, გელაშვილი (კიკვიძე 86), მეტრეველი, მოსიაშვილი (მერებაშვილი 70), ბახტაძე (მეტონიძე 69), სოსელია, ჯანელიძე, კრავეიშვილი, ვარამაშვილი, თვაური.*

რუმინელთა და აზერბაიჯანელთა შეხვედრა გუშინ გვიან ჩატარდა.

**დათო დანელია**

IX ჯგუფის ცხრილი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბოსნია | 2 | 1 | 1 | 0 | 3:1 | 4 |
| აზერბაიჯანი | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 1 |
| რუმინეთი | 1 | 0 | 1 | 0 | 0:0 | 1 |
| კახეთი | 2 | 0 | 1 | 1 | 0:2 | 1 |

ეროვნული ბიბლიოთეკა



# არაუს მორიელები შეესივნენ

ბათუმელი ბიჭი ლევან ხომერიკი თავის დროზე თბილისის „დინამოსა" და „ბათუმის" უპირველესი მეგოლე გახლდათ. დიდ ფეხბურთში კარიერა ზღვისპირა კლუბში რომ დაიწყო, მისით „დინამოს" მწვრთნელები დაინტერესდნენ და სანადელიც მალევე აისრულეს — ჭაბუკი თბილისში გადმობარგდა. ერთი მატჩი ითამაშა, მეორე... არასტაბილურად, მაგრამ ფეხბურთის მცოდნე კი მიხვდებოდა, რა შეეძლო. გოლები ბლომად გაჰქონდა, თუმც არც სათადარიგოობა იყო მისთვის უცხო.

ერთ მშვენიერ დღესაც ლევან ხომერიკმა სხვა ქართველებთან ერთად ბელგიას უწია და იქაური პირველი ლიგის „რასინგ მეხელენში" გააგრძელა თამაში. დიდხანს არა, რამდენიმე თვის შემდეგ დღემდე გაურკვეველი მიზეზების გამო „რასინგ მეხელენი" ყველა ქართველმა დატოვა, ხომერიკიც უკანვე, „დინამოში" მიბრუნდა და სერიოზულადაც დაშავდა. მკურნალობას კარგა ხანი დასჭირდა და როცა გამოჯანმრთელდა, ისევ „ბათუმს" მიაშურა, ის იტალიელმა მწვრთნელმა ჯანი კარნევალიმ მიიწვია. წინა სეზონიც ლევანმა მშობლიურ ქალაქის გუნდში გაატარა, გოლებიც საკმაოდ გაიტანა.

ზაფხულში ლევან ხომერიკმა კარნევალისთან ერთად შვეიცარიას მიაშურა — იქაურ „არაუში" გასასინჯად იყო. ერთი, ორი... ხუთი ამხანაგური მატჩი ჩაატარა ახალ კლუბთან ერთად და ბოლოს „არაუს" ხელმძღვანელებმა გადაწყვიტეს, ამ ბიჭმა ჩვენთან უნდა ითამაშოსო.

თავიდან საქმე ისე ვერ აეწყო, როგორც ლევანს სურდა, ძირითად შემადგენლობაში რომ ათამაშებდნენ, თითქმის ყოველ მატჩში ცვლიდნენ, მერე კი სათადარიგოებშიც მიუჩინეს ადგილი.

ბოლო ხანს ხომერიკი ისევ გამოჩნდა „არაუს" ძირითადში. გამოჩნდა, თანაც როგორ, 16 სექტემბერს, შვეიცარიის ჩემპიონატის მეთერთმეტე ტურში, „ივერდონს" ერთბაშად სამჯერ გაუტანა და თავის გუნდს მოაგებინა.



ლევან ხომერიკი

— მატჩის შემდეგ გასახდელში ყველა თანაგუნდელმა ჩამკოცნა, მწვრთნელმა როლფ ფრინგერმაც ხელი გადამხვია, ყოჩაღ, ძალიან კარგად ითამაშეო. მეც ძალიან მესიამოვნა შვეიცარიაში პირველი ჰეთ თრიქი რომ შევასრულე — გვითხრა ლევან ხომერიკმა, როცა შვეიცარიაში დავუკავშირდით და ინტერვიუ ვთხოვეთ — აწი გოლებს მოვუხშირებ, აქამდე ცოტა მიჭირდა.

**— უფრო კონკრეტულად?**

— ფიზიკურად. საქართველოდან აქ ჩამოსულ ნებისმიერ ფეხბურთელს, დარწმუნებული ვარ, გაუჭირდება.

**— მესამე თვეა, შვეიცარიაში ხარ და ასეთი რა ჩემპიონატია, აქამდე რომ ვერ შეეგუე?**

— არა, ახლა ყველაფერი კარგადაა. თავიდან კი თანაგუნდელებივით სირბილი მიჭირდა. ხომ იცით, საქართველოს ჩემპიონატი რა დონისაა. აქ ფიზიკურ მომზადებას უდიდეს ყურადღებას აქცევენ, დისციპლინა უპირველესია შვეიცარიაში. ამ მხრივ საქართველოში საქმე სხვანაირადაა.

**— მოსამზადებელ პერიოდში ხშირად გაგქონდა გოლები, ჩემპიონატში კი... ფიზიკურად გამიჭირდაო, თქვი და ამხანაგურ მატჩებში სხვანაირად გამოიყურებოდი.**

— ამხანაგური მატჩები ჩემპიონატის თამაშებისაგან ძალიან განსხვავდება. მოსამზადებელ პერიოდში ექსპერიმენტების დროა. ისე შვეიცარიულ ლიგაში ძალიან რთულია თამაში. კლასი დაბალია, მაგრამ ამ ნაკლს უზადო ფიზიკური მომზადების ხარჯზე ანაზღაურებენ. მეც ამიტომ გამიჭირდა, ვფიქრობ, ეს ნორმალურია და გასაკვირი არაფერია. აქაურობასთან შეგუებას დრო სჭირდება.

**— ახლა სასურველ ფორმაში ხარ?**

— მგონი. ვერ ვიტყვი, „ივერდონთან" ჩვეულად ვითამაშე-მეთქი, მაგრამ ვგრძნობ, ორი თვის წინანდელზე უკეთ ვარ მომზადებული.

**— „არაუს" მიზანი რა არის? ჩემპიონატი ძალიან ცუდად დაიწყეთ.**

— რვა საუკეთესო გუნდს შორის უნდა მოვხვდეთ. ეს იმის გარანტიაა, რომ მომავალ სეზონსაც უძლიერესთა შორის ვითამაშებთ. „არაუს" მაინც და მაინც დიდი პრეტენზიები არა აქვს. ახლა ჩემპიონატის მეორე წრე იწყება, რომელიც დეკემბრამდე გაგრძელდება და ყველაფერი უნდა გავაკეთოთ ამ მიზნის მოსაღწევად.

**— რატომ ასეთი მოკრძალებული მიზანი?**

— იცი, „არაუ" არც ისეთი შეძლებული კლუბია. ხელმძღვანელებს ფულის დახარჯვა არ სურთ. გუნდიც ამის შესაფერისია. არადა, ყველამ იცის, შვეიცარია რა დონის ქვეყანაა. აქ მდებარე ბანკებიდან თუნდაც ერთი მათგანი შეინახავდა ჩემპიონატში მონაწილე თორმეტივე გუნდს. ისე კი მატჩებს ხალხი მრავლად ესწრება, მათ ფეხბურთი აინტერესებთ, მაგრამ...

**— შვეიცარიაში მოთამაშე ყაველაშვილსა და ჯამარაულს ხშირად ხვდები?**

— თითქმის ყოველდღე. არაუდან ციურიხამდე ნახევარი საათის გზაც არ არის, ხან ისინი მოდიან სტუმრად, ხან — მე. ფრაიბურგიდან იაშვილი, კობიაშვილი და ცქიტიშვილიც ხშირად ჩამოდიან და თავისუფალ დროს ერთად ვატარებთ.

**— დაბოლოს, „არაუში" ბათუმელი მუჯირი და თბილისელი ანჩაბაძეც ვარჯიშობდნენ. სხვა საქმეა, ეს ბიჭები რატომ ვერ თუ არ დარჩნენ შენს გუნდში. როგორც ჩანს, ფრინგერს ქართველები თვალში მოსდის. ამის თაობაზე რას იტყვით?**

— კი, ეგ ნამდვილად ასეა, თავადაც უთქვამს, ქართველები კარგ ფეხბურთს თამაშობთო. მწვრთნელს ორივეს დატოვება სურდა, მაგრამ არ ვიცი, ეტყობა, კლუბის უფროსებთან ვერ შეთანხმდა. ხომ ვთქვი, მათ ფულის ხარჯვა არ უყვართ. თითქოს მორიელები უზით ჯიბეშიო.

**კობა ინასარიძე**



გია ტყებუჩავა



სოსო ფილია

# ფოთური რეტროფილია: ისევ ის, სოსო ფილია

**ექვსი** კაცის წასვლამ ძალიან გვაზარალა, მათი შემცვლელები კი ვერ ვიპოვეთო — თითქმის ყოველი მატჩის შემდგომ პრესკონფერენციაზე ამბობდა ფოთის „კოლხეთის" მწვრთნელი გია ტყებუჩავა. თქმა არ უნდა, ქვაჩახიას, ქობულაძის, ტრაპაიძის, შალამბერიძის, დავითნიძის და ელდარ გვასალიას (მერე კი დაბრუნდა) გუნდიდან წასვლამ „კოლხეთის" თამაშზე და უპირველესად შედეგებზე ნამდვილად იმოქმედა. ხუთი ტურის შემდეგ ზღვისპირელები სამი ქულით მხოლოდ მეათე ადგილზე არიან. „კოლხეთმა" „არეული" თამაში ახლალა გამოასწორა, გუნდმა ქუთაისში მშვენივრად ითამაშა. ფოთელები გულშემატკივრებს აიმედებენ, ასევე გავაგრძელებთო, თუმცა...

ჭორად გაგონილის დაზუსტება რომ ვცადეთ და გუშინ „კოლხეთის" ვიცე-პრეზიდენტ თენგიზ ქოიავას დავუკავშირდით, გვითხრა სულ მალე გია ტყებუჩავას „კოლხეთის" მწვრთნელობიდან გაათავისუფლებენ და მის ადგილზე სოსო ფილიას დანიშნავენო. ფილია, მოგეხსენებათ, „კოლხეთს" 10 წლის მანძილზე წვრთნიდა, მას იუგოსლავიურ „ცრვენა ზვეზდასთან" ჯამური 0:11 არ აპატიეს, თუმცა ამ ამბიდან მხოლოდ 6 თვის მერე მოხსნეს.

გუშინდლამდე ფილია, ფოთის „კოლხეთი 2"-ს წვრთნიდა, რომელიც წლეულს რეგიონალურ ლიგაში ითამაშებს.

წუხელ კი ვარაუდი გამართლდა, გია ტყებუჩავა სოსო ფილიამ შეცვალა. ახლა უკვე „კოლხეთის" ახალმა „ძველმა" მწვრთნელმა წუხელ პირველი ვარჯიში ჩაატარა და დაბინდებამდე ფეხბურთელებს სიქა გააცალა.

ეს ყველაფერი, როგორც უკვე გითხარით, წუხელ მოხდა. გია ტყებუჩავას უფროსობისთვის თავადვე უთქვამს, სანამ თქვენ გამათავისუფლებდეთ, ჯობს თავად წავიდეო, თუმც დაუმატებია, თუ გუნდში დამტოვებთ, გამოგადგებითო. „კოლხეთმა" მას უარი არ უთხრა და ტყებუჩავასეული სამწვრთნელო შტაბიც გუნდში დატოვა. თუმცა, ისიც გავიგეთ, ფილიამ თანაშემწეებად „კოლხეთის" ყოფილი ფეხბურთელები — ნუგზარ მიქაბერიძე და მამუკა მიქავა მიიწვიაო.

წუხელვე „სარბიელი" სოსო ფილიას ფოთში დაუკავშირდა. ცხადია, მას ჯერ გუნდში დაბრუნება მივულოცეთ: მადლობა ცოტა გაკვირვებულმა გადაგვიხადა, ეს ამბავი ასე უცბად როგორ გაიგეთო:

— მიუხედავად იმისა, რომ ბევრი გუნდი მიწვევდა, ყველა კატეგორიული უარით გავისტუმრე. დარწმუნებული ვიყავი, რომ ჩემს გუნდს და მშობლიურ ქალაქს ოდესმე კვლავ დავჭირდებოდი. ძალიან ბედნიერი კაცი ვარ, მართალია, „კოლხეთის" დღევანდელი მდგომარეობა კრიზისულია, მაგრამ მჯერა, ეს ჩავარდნა დროებითია. საკმაოდ ოპტიმისტი გახლავართ და დარწმუნებული ვარ, „კოლხეთს" ტრადიციას კვლავ დავუბრუნებთ. მიზანი უკვე დავისახე, რა თქმა უნდა, ვიბრძოლებთ ექვსეულისთვის. ბიჭები დღეს უკვე ვავარჯიშე, ნელ-ნელა დავლაგდებით და ჩამოვყალიბდებით.

**— შემადგენლობაში ცვლილებებს აპირებთ?**

— ფეხბურთელებს დაუფარავად ვუთხარი, ჩათვალეთ რომ არ გიცნობთ, ყველას გეძლევათ თავის გამოჩენის შანსი. შეგხედავთ, ვინ რისი მაქნისი ხართ. ვინც ჩემს მოთხოვნებს დააკმაყოფილებთ, ცხადია, გუნდში დარჩებით, ვინც არა, ცივილიზებული ფორმით დავცილდებით ერთმანეთს. დღესდღეობით, ჩემი ბაზა „კოლხეთი 2"-ით შემოიფარგლება, გაზაფხულამდე ფეხბურთელთა მოწვევა გამორიცხულია, მერე კი, თქმა არ უნდა, გავძლიერდებით. ძალიან მინდა გუნდიდან სეზონის დაწყების წინ წასულების — ქვაჩახიას, ქობულაძის, შალამბერიძისა და დავითნიძის დაბრუნება. მათ მშვენივრად ვიცნობ და თუ დაგვიბრუნდნენ, ჩინებულიც იქნება.

**— ბატონო სოსო, გავიგეთ, თანაშემწეებად ნუგზარ მიქაბერიძე და მამუკა მიქავა მიგიწვევიათ...**

— სურვილი მაქვს, თუმც ჯერ არეულები ვართ, ორ დღეში დავლაგდებით, გადასაწყვეტს გადავწყვეტთ და მერე ყველაფერს გეტყვით. ჟურნალისტებთან დასამალი არაფერი მაქვს, თავად ვარ მოწადინებული, მასმედიასთან ცივილური, ნორმალური ურთიერთობა მქონდეს.

**გიორგი გუგაძიძე**

# დათხოვნილი ექვსეული ბათუმს უჩივის

## ვერაფრით მივმხვდარვართ, უმუშევრად რად დაგვტოვესო

**ზურაბ ქვაჩახია**, მიხეილ ქობულაძე, გელა გაბისონია, ბესიკ შენგელია, კახა სიდამონიძე და ირაკლი ბარქაია ის ფეხბურთელები არიან, რომლებიც საფეხბურთო კლუბ „ბათუმის" სპონსორმა ასლან ფაღავამ გუნდიდან დაითხოვა, კუთვნილ ხელფასებს ვერ მიიღებთ და „ბათუმიდანაც" თავისუფლები ხართო.

ბატონ ფაღავას ხმამაღალი განცხადება ერთობ მოულოდნელი და ერთი შეხედვით საფუძველმოკლებულიცაა. ერთს ვიტყვით, ან მათი ბათუმში ჩაყვანა რა იყო, ან კიდევ უკან გამოშვება.

ფაღავას ნამოქმედარმა იტალიელი ჯანი კარნევალის ბათუმური კარიერა ხომ შეიწირა, მაგრამ უფრო მეტად მაინც ფეხბურთელები დააზარალა.

ექვსეულს გაზაფხულამდე ეროვნული ჩემპიონატის სხვა გუნდში თამაშის უფლება ოფიციალურად არა აქვთ. მაშ, რა გამოდის? როგორც ჩანს, ფაღავას მათი ბედი არ აინტერესებს, კი ამბობდა, „ბათუმის" ახალი ტექნიკური დირექტორი, წარსულში ცნობილი მეკარე ასლან ბალაძე, ამ ბიჭებს თავად დავეხმარებიო, მაგრამ...

ექვსეულმაც ითმინა, ითმინა და უქმად ყოფნას სამართლის პოვნა ამჯობინა.

ჰოდა, გუშინ „ბათუმიდან" დათხოვნილები თბილისში გამოემგზავრნენ, ჯერ ფეხბურთის ფედერაციაში მივალთ და თუ არაფერი გამოგვივიდა, მერე „ბათუმს" სასამართლოშიც ვუჩივლებთ, ჩვენს სიმართლეში დარწმუნებულნი ვართ, ეს ქვეყანა მართლა ჩალით ხომ არ არის დახურულიო — გაიძახიან დაზარალებულნი.

გუშინვე „სარბიელი" ერთ-ერთ მათგანს, მეკარე ზურაბ ქვაჩახიას დაუკავშირდა, რომელიც ფოთის „კოლხეთში" დაბრუნდა და გუნდთან ერთად ვარჯიშობს ფორმის შესანარჩუნებლად, თუმცა კი გაზაფხულამდე ვერ ითამაშებს.

აი, რა გვითხრა ზურაბ ქვაჩახიამ: „როგორც თქვენ არ იცით, ისე არც მე ვიცი რა მოხდა. გუნდის კრებაზე ფაღავამ გამოგვიცხადა, ხელფასებს ვერ მიიღებთ და კლუბიდანაც თავისუფლები ხართო. გაოგნებულნი ვიყავით, რა უნდათ, რას გვერჩიან. ჩვენ ვთხოვეთ, გინდა თუ არა „ბათუმში" გვათამაშეთო? ახლა რა უნდა ვქნათ, არ ვიცი. წარმოუდგენელია, მარტამდე ვერ ვითამაშებთ. რაღა დაგვრჩენია, ავდგებით და „ბათუმს" სასამართლოში ვუჩივლებთ, ჩვენს სიმართლეს ყველას დავუმტკიცებთ. ესაა ჩვენი აზრი".

დღეს ქვაჩახია, ქობულაძე, გაბისონია, შენგელია, სიდამონიძე და ბარქაია ჯერ ფედერაციას მიაკითხავენ, მერე კი — სასამართლოს. ერთი სიტყვით, ბათუმური სკანდალი გახურდა. ამას რა მოჰყვება, ღმერთმა უწყის.

**გიორგი გუგაძიძე**

საქართველოს ჩემპიონატი
პირველი ლიგა
პირველი წრე

# 5 ტური

20 სექტემბერი, ოთხშაბათი

**შუქურა 1:0 თორი**
**ზუგდიდი 3:2 სამგურალი**
**ოკეანე 3:1 თბილისი**
**ხობი 0:0 მეტალურგი**
**ცხინვალი 7:0 გურია**

გადაიდო

**ივერია - მილანი**

პირველი ლიგის მიმოხილვა იხილეთ ხუთშაბათის „სარბიელში"

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ცხინვალი | 5 | 4 | 1 | 0 | 15:4 | 13 |
| შუქურა | 5 | 3 | 1 | 1 | 6:1 | 10 |
| ზუგდიდი | 5 | 3 | 1 | 1 | 9:5 | 10 |
| მეტალურგი | 4 | 2 | 2 | 0 | 4:2 | 8 |
| გურია | 5 | 2 | 1 | 2 | 4:9 | 7 |
| ოკეანე | 5 | 1 | 3 | 1 | 5:4 | 6 |
| თორი | 5 | 2 | 0 | 3 | 6:6 | 6 |
| ხობი | 5 | 1 | 2 | 2 | 2:4 | 5 |
| სამგურალი | 4 | 1 | 1 | 2 | 3:4 | 4 |
| მილანი | 4 | 1 | 1 | 2 | 2:4 | 4 |
| თბილისი | 5 | 1 | 0 | 4 | 2:10 | 3 |
| ივერია | 4 | 0 | 1 | 3 | 2:7 | 1 |



ნოდარ ქორქია



ზვიად ბაბიაშვილი

# ბკ კიევმა ქართველ მოთამაშეს ქართველი მწვრთნელი ამჯობინა

**ტრანსფერი** არ შედგა, უკრაინულმა „ბკ კიევმა" საბოლოოდ უთხრა უარი ქვეყნის ვიცე-ჩემპიონ რუსთავის „აზოტის" თავდამსხმელ ზვიად ბაბიაშვილს და საქართველოში გამოისტუმრა. უკრაინული სუპერლიგა ერთადერთი ქართველის, „მბკ ოდესაში" მოთამაშე რევაზ ჩხეიძის ამარა დარჩა.

არადა, ყველაფერი ისე აეწყო, თითქოს ბაბიაშვილს უკრაინაში უნდა გაეგრძელებინა კარიერა. მეორე ჩვენებურ, გიორგი მარკოიშვილთან ერთად ბაბიაშვილი „ბკ კიევმა" სეზონებს შორის პერიოდში მიიწვია გასინჯვაზე. შემდეგ კლუბმა ამერიკაში განაგრძო მზადება, თუმც უქართველებოდ, რადგან ჩვენებურებს სავიზო პრობლემები შეექმნათ. ბაბიაშვილი და მარკოიშვილი თბილისში დაბრუნდნენ.

მოგვიანებით ბაბიაშვილი კიდევ ერთხელ ჩავიდა კიევში, რაც გვაფიქრებინებდა, რომ „ბკ კიევი" თანახმა იყო, კონტრაქტი გაეფორმებინა ქართველთან, მაგრამ...

„უკრაინელებს თითქმის გადაწყვეტილი ჰქონდათ ბაბიაშვილის აყვანა, თუმც ბოლო მომენტში გადაიფიქრეს. საბოლოოდ ისე გამოვიდა, რომ ზვიადს უარი უთხრეს, მის ნაცვლად კი ამერიკელი ჩარიცხეს გუნდში, რაშიც, ვფიქრობ, მისმა წარმომავლობამ ითამაშა მნიშვნელოვანი როლი — ამერიკელი ბაბიაშვილს არაფრით სჯობს" — გვითხრა უკრაინაში მყოფმა თსუ-ს ყოფილმა მწვრთნელმა ნოდარ ქორქიამ, რომელსაც გუშინ დავუკავშირდით.

შეგახსენებთ, რომ ბაბიაშვილს სწორედ ქორქიამ გაუწია პროტექცია უკრაინულ კლუბთან. იგი უშუალოდ მონაწილეობდა ამ ტრანსფერში, მუდმივად საქმის კურსში იყო და ამდენად მისი ნათქვამი სარწმუნოა. ხელმოცარული ბაბიაშვილი კი სავარაუდოდ კვლავაც „აზოტში" შეხვდება ახალ სეზონს.

უკრაინაში გადახვეწილ ქართველ მწვრთნელს სხვა ამბებიც გამოვკითხეთ და აი, რა შევიტყვეთ: „ბკ კიევს" ფარმკლუბის დაარსება განუზრახავს და სწორედ ნოდარ ქორქიასთვის უთხოვიათ უკრაინელებს გუნდის გაძღოლა. ქორქიაც თანახმაა „ბკ კიევის" სარეზერვო გუნდს ჩაუდგეს სათავეში, თუმც გადაწყვეტილი ჯერ არაფერია. კვირის ბოლოს ყველაფერი დაწვრილებით მეცოდინებაო, გვითხრა ქორქიამ. ასე რომ, მოთამაშე არადა, დიდი შანსია, ქართველი მწვრთნელი შეემატოს უკრაინულ კალათბურთს.

**ნიკა ჩხაიძე**

# ბასკო ახლებურად ივარჯიშებს და ამერიკულად ითამაშებს

## ტომარაძეს როჯერსი მოეწონა

**ამას** წინათ ვწერდით, ბათუმის „ბასკოში" შესაძლოა ამერიკელი ჯეფ როჯერსი ჩაირიცხოსო. ახლა უკვე დანამდვილებით ვამბობთ — ჯეფ როჯერსი ბასკოელია, კალათბურთელი და კლუბი უკლებლივ ყველა დეტალზე შეთანხმდნენ და ოკეანისგაღმელიც სეზონის ბოლომდე ზღვისპირელთა შემადგენლობაში ითამაშებს. ყოველივე ბათუმელთა მთავარმა მწვრთნელმა ზურაბ ტომარაძემაც დაგვიმოწმა, რის შემდეგაც მას ამერიკელ ლეგიონერზე აზრის გამოთქმა ვთხოვეთ:

„კარგი მოთამაშე ჩავიგდეთ ხელში. როჯერსი ინდივიდუალურად ჩინებულადაა მომზადებული, კლასიკური გამთამაშებელია და ყველა ის თვისება აქვს, რაც ამ ამპლუის კალათბურთელს უნდა ახასიათებდეს. იგი კარგად ხედავს მოედანს, თითქმის უშეცდომოდ აკონტროლებს ბურთს, ეხერხება შეტევების ორგანიზება და რაც მთავარია, საკმაოდ დახვეწილი პასი აქვს. ვფიქრობ, ამ ტიპის მოთამაშე ერთიორად გააძლიერებს „ბასკოს", გარდა ამისა, როჯერსი სამაგალითო უნდა გახდეს სხვათათვის, მით უფრო, ნორჩი კალათბურთელებისთვის. მოგეხსენებათ, ჩვენში საკმაოდ მწვავედ დგას გამთამაშებელის პრობლემა, ამერიკელისგან კი, მერწმუნეთ, ბევრი რამის სწავლა შეიძლება" — გვითხრა გუშინ ზურაბ ტომარაძემ.

ახლა სხვა სიახლეებზეც ვთქვათ. როჯერსის „ბასკოში" მისვლამ, ცხადია, გუნდში კიდევ უფრო გაამძაფრა კონკურენცია და სავარაუდოც იყო, რომ რომელიმე კალათბურთელი დატოვებდა კლუბს. ასეთი დავით კვაჭაძე აღმოჩნდა, ტომარაძის თქმით, მას სხვა გუნდში მოუწევს გადაბარგება. გამორიცხული არაა, კიდევ რამდენიმე მოთამაშეს შეველიოთო, დასძინა მწვრთნელმა.

ამჟამად ბათუმში იმყოფება პაველ გოოგე. შეგახსენებთ, რომ კალათბურთის ამ რუს სპეციალისტს საქმიანი ურთიერთობა აქვს აჭარის კლუბთან და როჯერსის ტრანსფერის გაჩარხვაც მნიშვნელოვანწილად მისი დამსახურებაა. სწორედ გოოგეს რეკომენდაციით მოხვდა ამერიკელი „ბასკოში".

გოოგე საკონსულტაციოდ ჩამოსულა, საქართველოში თანამედროვე საკალათბურთო ლიტერატურაც ჩამოუტანია და ახლა იგი და ტომარაძე ერთობლივ ვარჯიშებს უტარებენ „ბასკოს".

23 სექტემბერს ქვეყნის ჩემპიონი დედაქალაქს ეწვევა. წინასწარ დაგეგმილი ამხანაგური შეხვედრა კორაჩის თასზე საასპარეზოდ გამზადებულ „მაკაბისთან" ჩაიშალა, „ბასკოც" სავარაუდოდ თსუ-სთან გამართავს სპარინგ-მატჩს. ტომარაძის გუნდი დაახლოებით ერთ კვირას დაჰყოფს თბილისში, აქ მსუბუქად წაივარჯიშებს, „მაკაბი" — „ბკ გროდნო 93"-ის შეხვედრას დაესწრება და უკანვე, ბათუმში გაბრუნდება.

**გიორგი ბიკაშვილი**

# ჩიკაგო რაისს მპატიჟებს

**ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის** თავისუფალი აგენტების ბაზარზე შემორჩენილთა შორის ერთ-ერთი ყველაზე სასურველია გლენ რაისი. პირდაპირ საოცარია, რომ მას დღემდე არ დაუდია ხელშეკრულება რომელიმე გუნდთან, არადა, ბაზრის ოფიციალურად გახსნის დღიდან თითქმის ორი თვე გავიდა. ამ კალათბურთელის მიმართ გუნდების გულგრილობა, ალბათ, თავად რაისის ულიმღამო თამაშითაა გამოწვეული. თავისი დროის ერთ-ერთი საუკეთესო მექულის შედეგიანობა ბოლო სეზონში 15,9 ქულამდე დაეცა. ბევრმა ეს კალათბურთელის ბრწყინვალე კარიერის დასასრულის დასაწყისად ჩათვალა, იგი ხომ 33 წლისაა. რაისის დატოვების არანაირ სურვილს არ ამჟღავნებს მისი ძველი გუნდი „ლოს ანჯელეს ლეიკერსი". გლენის თამაშით ნამდვილად არაა აღფრთოვანებული გუნდის მწვრთნელი ფილ ჯექსონი, რომელსაც შეგირდმა მრავალი თავსატეხი გაუჩინა. არც კალათბურთელს ამოსდიოდა მზე „ლეიკერსზე", რადგან სხვა გუნდებში პირველობას ნაჩვევი აქ მხოლოდ მესამე გახლდათ შაკილ ონილისა და კობი ბრაიანტის შემდეგ. რაისს ხშირად გამოუთქვამს უკმაყოფილება ჯექსონის მიმართ, ცოტას მათამაშებს და მეორეხარისხოვან მოთამაშედ მაქციაო. ამიტომ ამ ზაფხულს, როცა კალათბურთელს კონტრაქტი დაუმთავრდა, მისთვის არავის უთხოვია, დარჩიო. ცოტა ხნის წინ ხმები დაირხა, თითქოს „ლეიკერსს" იგი ჯერ უნდა აეყვანა, შემდეგ კი სხვაში გაეცვალა, მაგრამ ეს გარიგება არ შედგა და რაისი დღესაც თავისუფალი აგენტია. თუმც შესაძლოა მალე ბოლო მოეღოს მისთვის ამ გაურკვეველ სიტუაციას. რაისის მიწვევის სურვილი „ჩიკაგო ბულზმა" გამოთქვა.



გლენ რაისი (№41)

„ბულზის" წარმომადგენლები ამ დღეებში დაუკავშირდნენ კალათბურთელს და ერთწლიან და 7,5 მილიონიან კონტრაქტზე ხელის მოწერა შესთავაზეს. ჯერჯერობით უცნობია, გააფორმებს თუ არა რაისი ხელშეკრულებას ყოფილი მწვრთნელის, ფილ ჯექსონის ყოფილ გუნდთან.

რაც შეეხება „ჩიკაგოს", მას ჰაერივით სჭირდება რაისის დონის კალათბურთელი. გარდა იმისა, რომ იგი შესამჩნევად მოაღონიერებს „ხარებს", კლუბს თავისუფალ აგენტთა ცუდი მყიდველის იარლიყსაც მოაშურებს.

ისე კი, „ჩიკაგო ბულზისთვის" ეს სეზონთაშორისი პერიოდი არცთუ ხეირიანი გამოდგან მაშინ, როცა მას აგენტთა ბაზრის პროცენტურ ბატონ-პატრონად თვლიდნენ. კლუბს ხელიდან გამოეცალნენ ისეთი კალათბურთელები, როგორებიც არიან ტიმ დანკანი, გრანტ ჰილი, ედი ჯონსი, ტრეისი მაკგრეიდი და ტიმ ტომასი. არც ერთმა არ ისურვა კარიერის „ჩიკაგოში" გაგრძელება. სამაგიეროდ, „ბულზმა" ოთხი წლით და 27 მილიონად აიყვანა რონ მერსერი და სამი წლითა და 12 მილიონად — ბრედ მილერი. ეს ერთგვარი კომპენსაცია გახლდათ „ხარების" ერთგული გულშემატკივრებისთვის, თუმც ბევრმა მათგანმა ეს საკმარისად არ ჩათვალა, თავი შეურაცხყოფილად იგრძნო და „ბულზის" ქომაგთა მრავალათასიანი არმია გვარიანად შეთხელდა. კლუბის მამებს შემოსწყრა მწვრთნელი ტიმ ფლოიდიც, ზედმეტი ოცი მილიონი გაქვთ და რიგიანი არავინ აგიყვანიათ, ამ ჯაგლაგი გუნდით რა წარმატებებს მთხოვთო.

ერთი სიტყვით, რაისი ახლა პირდაპირ მისწრება იქნებოდა „ხარებისთვის". თავად კალათბურთელიც თავს მეფესავით იგრძნობდა იქ და ყოველ თამაშში მეტოქე გუნდს 20-25 ქულას ჩაუღგებოდა.

**ირაკლი ფირაშვილი**

# მარიო ფინიქს-ელი

**„ფინიქს სანზმა"** ორიოდ დღის წინ აიყვანა უკანახაზელი მარიო ელი, რომელიც გუნდში თავისუფალი აგენტის სტატუსით მივიდა. კლუბს კონტრაქტის პირობები არ გაუმჟღავნებია.

„მარიო მებრძოლი მოთამაშეა და ჩვენ სიამოვნებით მივიღეთ იგი — ამბობს „სანზის" მფლობელი ჯერი კოლანჯელო — მისი უდიდესი გამოცდილება ძალიან წაადგება ჩვენს გუნდს. სხვათა შორის, მას ჯერ კიდევ შეუძლია თამაში".

მარიოს მართლაც ვერავინ დასწამებს გამოუცდელობას, „ფინიქსში" იგი თავის მეთექვსმეტე პროფესიულ სეზონს ეგებება. 196-სანტიმეტრიან მცველს ნბა-ში გატარებული ათი სეზონის განმავლობაში მატჩში საშუალოდ 9,0 ქულა ჩაუგდია, ამასთან, წარმატებით დაუგვირგვინებია საჯარიმო სროლათა 85,6 პროცენტი, რაც ლიგის ისტორიაში მეცხრამეტე, მოქმედ კალათბურთელებში კი მეექვსე შედეგია. ელის სხვა რამითაც შეუძლია მოიწონოს თავი. რასაც ვერ შესწვდა ნბა-ს ბევრი ლეგენდა, მარიო ელიმ სამჯერ მიაღწია. ჩემპიონობას ვგულისხმობთ. ელიმ სამჯერ ირგუნა უძლიერესის ტიტული: 1994 და 95 წლებში „ჰიუსტონის", ხოლო 1999 წელს „სან ანტონიოს" რიგებში. „სან ანტონიოში" იგი სასტარტო ხუთეულის წევრი გახლდათ.

არადა, თავისი კარიერის დასაწყისში მას ამხელა წარმატებებზე მხოლოდ ოცნება თუ შეეძლო. იგი 1985 წლის დრაფტის მეშვიდე რაუნდში(!) აირჩია „მილუოკი ბაქსმა", თუმც ერთი შეხედვით უნიჭო და უპერსპექტივო კალათბურთელს კონტრაქტი აღარ გაუფორმა და ნბა-ს კარი ცხვირწინ მიუხურა.

მარიომ მოიარა ევროპა, ითამაშა პორტუგალიასა და ირლანდიაში, შემდეგ არგენტინაში ამოყო თავი და ამერიკის ქვედა ლიგებშიც მოსინჯა ძალა. მისი ვარსკვლავი 1990 წელს გაბრწყინდა, როცა ათდღიანი ხელშეკრულება გააფორმა „ფილადელფიასთან". მას შემდეგ ელი სხვებმაც შენიშნეს. ვარსკვლავი არასდროს ყოფილა, მაგრამ ყოველთვის სასარგებლო მოთამაშედ ითვლებოდა.

„ფინიქსი" კალათბურთელისთვის მეექვსე გუნდია. იქ თვლიან, რომ მისი დახმარებით კონფერენციის ფინალს მაინც მიაღწევენ.


**იყიდება ან ქირავდება**

შეღავათიან ფასში, ერთოთახიანი
იზოლირებული ბინა
სარაჯიშვილის მეტროსთან, ბუნებრივი
აირით და ტელეფონით
ტელ: 60-21-23



# სარბიელი
# სპორტული ლატარია

BOOKMAKERS

CROCO

**დროებით შეჩერდა კროკოს ბიუროთა მუშაობა**

**ბათუმსა და ქუთაისში**

**მუშაობის განახლების თარიღი წინასწარ გამოცხადდება**

**კროკოს ადმინისტრაციის განცხადება**

**ამჟამად კროკოს ბიუროები თბილისის გარდა მუშაობს მხოლოდ გორში (სტალინის ქუჩა, ჭადრაკის კლუბი), თელავში (კოსტავას ქუჩა №23), რუსთავში (შარტავას ქუჩა №7) და არსად სხვაგან. ყველა სხვა ქალაქში ან დასახელებული ქალაქების სხვა მისამართზე კროკოს სახელის, სიმბოლიკის, კოეფიციენტების გამოყენება უკანონოა, ფირმა კროკოს არ ეხება და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ისჯება.**

**კროკოს ბიუროთა მისამართები:**

თბილისში — ფურცელაძის ქუჩა, კინოთეატრ „რუსთაველის" შენობაში;

№2 ცენტრალური ფოსტამტი ალმაშენებლის გამზირზე;

გლდანი, I სავაჭრო ცენტრი;

ვაჟა ფშაველას 46 (მეტრო დელისთან);

ნინამძღვრიშვილის 200 (ეროვნულ სტადიონთან, ტელმანის ქუჩის კუთხეში)

გურამიშვილის გამზირი, 50 (მეტრო „ღრმაღელესთან")

გორში — სტალინის ქუჩა, ჭადრაკის კლუბი.

თელავში — კოსტავას ქუჩა №23.

რუსთავში — შარტავას ქუჩა №7

**კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ**


# გათამაშების წესები

თამაშში მონაწილე პირის მიზანია, გამოიცნოს ტირაჟში მოცემული სპორტული შეჯიბრების შედეგი, სპორტის სათამაშო სახეობებში მატჩის ძირითადი დროის შედეგი (მოგება, ფრე, წაგება). ფსონების სია ქვეყნდება გაზეთ „სარბიელში". სიაში მატჩის გასწვრივ მითითებულია კოეფიციენტები ყოველ შესაძლო შედეგზე. დასაშვებია მოგების კოეფიციენტების ცვლილება გაზეთის გამოსვლის შემდეგ. მოთამაშე ვალდებულია, დააზუსტოს კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ჩაბარების ადგილზე გამოკრული ფსონების მიხედვით. შედეგის გამოცნობისას მოთამაშე მიიღებს თანხას, რომელიც დადებული თანხისა და კოეფიციენტის ნამრავლის ტოლია.

ფსონები მიიღება როგორც ცალკეულ მატჩზე, ასევე რამდენიმე მატჩის შედეგის ერთდროულად გამოცნობაზე. ამ შემთხვევაში მოთამაშემ უნდა გამოიცნოს ვარიანტში აღნიშნული ყველა თამაშის შედეგი. თუ ფსონი დადებულია რამდენიმე მატჩის შედეგის ერთდროულად გამოცნობაზე, მოგების კოეფიციენტი შეადგენს ცალკეული შედეგების შესაბამისი კოეფიციენტების ნამრავლს (მეათედის სიზუსტით, დამრგვალების გარეშე). კოეფიციენტების ნამრავლი არ უნდა აღემატებოდეს 1000-ს. თუ ნამრავლი 1000-ზე მეტია, მოგების კოეფიციენტად ჩაითვლება 1000.

არათანაბარი სიძლიერის გუნდების შეხვედრისას მატჩის გასწვრივ შეიძლება მითითებული იყოს ანგარიში (ჰანდიკაპი) და, შესაბამისად, მატჩის შედეგი განისაზღვრება ამ ანგარიშის გათვალისწინებით.

ფეხბურთის ნებისმიერი მატჩის ანგარიშის გამოცნობისთვის, თუ არ არის მითითებული სპეციალური ფსონი ანგარიშისთვის, კოეფიციენტი 5,0-ის ტოლია.

კოეფიციენტები მრავლდება მხოლოდ ერთი და იგივე სახის პროგნოზისთვის (მაგალითად: თამაშის შედეგი — შედეგზე, გუნდის შემდეგ ეტაპზე გასვლა — შემდეგ ეტაპზე გასვლაზე და ა.შ.). ერთი და იგივე წყვილის ორი სხვადასხვა სახით შეტანა ერთ ვარიანტში კოეფიციენტების გადასამრავლებლად არ შეიძლება (მაგ: ინტერი — კალიარი 3:0 და ინტერი — კალიარი 1, ან ინტერი — კალიარი 1 და ინტერი — კალიარი (0:1) 1). თუ ერთ ვარიანტში ერთი და იგივე წყვილი ორი სხვადასხვა სახით აღმოჩნდება შეტანილი, ქვითრის განხილვისას მხედველობაში მიიღება წყვილის ის პროგნოზი, რომლის შესაბამისი კოეფიციენტიც მეტია. თუ ბილეთში შეტანილი მატჩის ფორა მოთამაშის მიერ არასწორად არის მითითებული, მხედველობაში მიიღება ფორა, რომელიც გამოქვეყნებული არის „კროკო"-ს მატჩთა სიაში.

ფსონი გაუქმებულად ითვლება და თანხა მოთამაშეს უბრუნდება, თუ:

1. ფსონი დადებულია მატჩის დაწყების შემდეგ;
2. შეიცვალა მასპინძელი გუნდი (ორმატჩიანი სათასო ტურნირებისთვის გაუქმებულად არ ითვლება ფსონი, რომელიც დადებულია გუნდის შემდეგ ეტაპზე გასვლაზე). ერთი და იგივე ქალაქის სხვა სტადიონზე მატჩის გადატანისას, ან მატჩის ნეიტრალურ მინდორზე ჩატარებისას ფსონი გაუქმებულად არ ითვლება;
3. შეხვედრა არ ჩატარდა ან გადაიდო სამ დღეზე მეტი ვადით (ტექნიკური შედეგი მხედველობაში არ მიიღება);
4. მატჩი ჩაიშალა, არ დამთავრდა, ან შედეგი არ დაფიქსირდა და არ იქნა გადათამაშებული სამი დღის ვადაში;
5. წყვილში შეცდომით არის მითითებული რომელიმე გუნდი;
6. არასწორად ან არასრულად არის შევსებული ქვითარი.

ცალკეულ მატჩზე დადებული ფსონი მატჩის გადადების ან არჩატარების შემთხვევაში უბრუნდება მოთამაშეს. იმ შემთხვევაში, როდესაც ბილეთში შეტანილია რამდენიმე მატჩის შედეგი ერთად და ერთ-ერთი შეხვედრა რაიმე მიზეზით გაუქმდა, ამ მატჩის შედეგი მოთამაშეს ჩაეთვლება გამოცნობილად (კოეფიციენტი — 1,0) და დანარჩენი შედეგები არსებული წესის მიხედვით განიხილება.

თუ მატჩი დამთავრდა და მისი შედეგი დაფიქსირდა, ხოლო შემდეგ გაპროტესტდა და შედეგი შეიცვალა ან მატჩი გადათამაშდა, მოგებები გაიცემა პირველი შედეგის მიხედვით. გაუქმებულად ჩაითვლება მხოლოდ ის ფსონები, რომლებიც ჩამოსულია ორმატჩიან სათასო ტურნირებში შემდეგ ეტაპზე გასვლისთვის პირველი მატჩების წინ).

ტურში გატანილი გოლების რაოდენობაზე დადებული ფსონი გაუქმებულად ითვლება და თანხა მოთამაშეს უბრუნდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოცემული ტურის რომელიმე მატჩი გადაიდო და ამ მატჩს შეეძლო გავლენა მოეხდინა ბილეთში შევსებულ პროგნოზზე.

ფსონის მინიმალური ოდენობაა: ერთ ვარიანტზე 1 ლარი. თუ ერთ ვარიანტზე დადებულია 1 ლარზე ნაკლები, მაშინ ფსონი გაუქმებულად ითვლება და თანხა მოთამაშეს უბრუნდება. ფსონები, რომლებზეც შესაძლო მოგება აღემატება 5 000 ლარს, თანხმდება ადმინისტრაციასთან.

ქვითარი უნდა შეივსოს გარკვევით შავი ან ლურჯი ფერის პასტით, არ შეიძლება ქვითრის ფანქრით ან წითელი პასტით შევსება. გადაშლილი ან გადასწორებული ქვითარი არ განიხილება და თანხა უბრუნდება მოთამაშეს. ბილეთში, რომელიც ჩაბარებულია ბუკმეკერთან, ცვლილებების შეტანა აკრძალულია, ჩაბარებული ბილეთი უკან არ გაიცემა.

ერთ ბილეთში რამდენიმე ვარიანტის შეტანისას მოთამაშე ვალდებულია, მიუთითოს ვარიანტთა საერთო რაოდენობა.

ქვითარი თვითკოპირებადია და შედგება ორი იდენტური ნაწილისგან, ივსება მხოლოდ პირველი პირი მოთამაშის მიერ და იგი არის სრული პასუხისმგებელი მის სწორად შევსებაზე. შევსებული ქვითარი უნდა ჩაბარდეს „კროკო"-ს ბუკმეკერს, რომელიც თავისი პირადი ბეჭდით ადასტურებს ქვითარის მიღებას, აწერს მას ჩაბარების თარიღს და უბრუნებს მოთამაშეს მის კუთვნილ ნაწილს. ბუკმეკერი არ აგებს პასუხს ქვითარში აღნიშნული მატჩებისა და ფსონების მართებულობაზე. ქვითრების გაცემა არ არის შეზღუდული და მას საბუთის ძალა ენიჭება მხოლოდ ზემოთ აღნიშნული წესით შევსებისა და „კროკო"-ს ადმინისტრაციაში ჩაბარების შემდეგ.

მატჩთა სიასთან ერთად ჩაბარების პუნქტებში გამოკრული უნდა იყოს ბუკმეკერთა ბეჭდების ნიმუშები, რომლებიც მოქმედია ჩაბარების დღისთვის.

მოგებები გაიცემა და პრეტენზიები განიხილება ქვითარში შეტანილი მატჩების ჩატარების ბოლო თარიღიდან ერთი კვირის განმავლობაში. ამ ვადის გასვლის შემდეგ მოგებები არ გაიცემა და პრეტენზიები არ მიიღება. მოგებების გაცემა იწყება მატჩის შემდგომ პირველივე სამუშაო დღეს. იმ შემთხვევაში, თუ მოგებულ ბილეთზე გასაცემი თანხა აღემატება ათას ლარს, დასაშვებია მოგება გაიცეს სამი სამუშაო დღის დაგვიანებით.

ადმინისტრაცია პასუხს არ აგებს და მოგებებს არ ანაღდებს იმ ქვითრებზე, რომლებიც არ ჩაბარდა ადმინისტრაციას „კროკო"-ს შიდაგანაწესით დადგენილი წესების მიხედვით.

მოთამაშის მონაწილეობა „კროკო"-ს მიერ წარმოებულ ლატარიებში ნიშნავს, რომ იგი გაცნობილია გათამაშების წესებს და თანახმაა, ითამაშოს არსებული წესებით.

# მედალი სიყვარულივითაა — ყველას უნდა

## ბედინეიშვილისთვის უსიყვარულოდ დარჩენა ტრაგედიაა

**ორი** დღის წინ, დილით, ფალავანთა კლუბში ერთხელაც წაივარჯიშეს ოლიმპიადის ლიცენზიანტმა თავისუფალი სტილის მოჭიდავეებმა — ემზარ ბედინეიშვილმა (69), გურამ მჭედლიძემ (76), ელდარ კურტანიძემ (97) და ალექსანდრე მოდებაძემ (მძიმე), საღამოს კი ავსტრალიაში გაფრინდნენ. გორელ ოლიმპიელებს — დავით პოლოსიანსა (58) და ოთარ თუშიშვილს (63) თვალი რომ ვერ მოვკარით, გვითხრეს, გორიდან მოდიან, ნაკრებს მალე შემოუერთდებიანო.

ბიჭებმა ჯერ სპორტის აკადემიის სტადიონზე ცოტა ხანს ფეხბურთი ითამაშეს, მერე კი დარბაზს მიაშურეს და მსუბუქად ივარჯიშეს, უფრო სწორად, ისპარინგეს. ჩვენც დრო ვიხელთეთ და ნაკრების მთავარ მწვრთნელ ზაზა თურმანიძეს რამდენიმე შეკითხვა დავუსვით.

**— რას იტყვით, როგორ ფორმაშია გუნდი, კმაყოფილი ხართ?**

— შეიძლება ითქვას, გუნდი კარგ ფორმაშია. ბიჭები სრულ მზადყოფნაში არიან. რაც მთავარია, ტრავმები არ აწუხებთ და განწყობაც საბრძოლოა. ყველა საიმისოდაა განწყობილი, რომ ოლიმპიადაზე საკუთარი შესაძლებლობები სრულად გამოავლინოს.

**— განწყობა ერთია, მაგრამ თქვენ ხომ მზადების შეკვეცილი ციკლი გაიარეთ. განა ეს საკმარისი იქნება?**



ემზარ ბედინეიშვილი

— ლაპარაკი იმაზე, არის თუ არა ეს საკმარისი გუნდისთვის, ან ვართ თუ არა კმაყოფილები მოსამზადებელი პერიოდით, დაგვიანებულია. სრულყოფილი მზადების საშუალება გუნდს მხოლოდ ბოლოს მიეცა. ამ ეტაპით, რომელიც მაქსიმალურად გამოვიყენეთ, უკმაყოფილო არ ვარ. ვიმეორებ, გუნდში საბრძოლო განწყობაა, თუმცა ისიც სათქმელია, რომ ოლიმპიადისთვის მზადება ოთხწლიანი პერიოდია. თუ თავიდან ბოლომდე არ ემზადები, ორი თვე, რაც უნდა კარგად ივარჯიშო, ბევრს არაფერს შეცვლის.

**— გუნდში ევროპის სამგზის და ორგზის ჩემპიონები გყავთ და წლევანდელი ჩემპიონიც და პრიზიორიც.**

— მედლებისთვის ბრძოლის თეორიული შანსი ყველას აქვს, პრაქტიკულად ვის რა შეუძლია, იქ გამოჩნდება.

მწვრთნელის მერე ბიჭებთან გასაუბრებაც მოვინდომეთ. ელდარ კურტანიძემ მორიდებით უარი გვითხრა, წინასწარ ლაპარაკი არ მიყვარს, მაგრამ თუ ღმერთმა სიდნეიდან დაბრუნების მერე სასაუბრო მომცა, შევხვდეთო. სამაგიეროდ, ევროპის მოქმედი ჩემპიონი ბედინეიშვილი და მესამე პრიზიორი მჭედლიძე უყოყმანოდ დაგვთანხმდნენ.

გურამ მჭედლიძე: „ღმერთმა ქნას, იმედები აგვისრულდეს. სიდნეიში აკლიმატიზაციისთვის საკმარისი დრო — 10 დღე გვექნება და იმედია, მთელი ენერგიით შევუდგებით საქმეს. საბოლოო შედეგზე ჯერ ვერაფერს გეტყვით. ოლიმპიადაზე ვინც ჩამოდის, ყველა მედლის მოპოვებაზე ფიქრობს და ამდენად, ყველა კონკურენტია“.

ემზარ ბედინეიშვილი: „ოლიმპიურ ჩემპიონობას ვერ დაგპირდებით, მაგრამ მედლით აუცილებლად უნდა დავბრუნდე. სხვა შედეგს წარუმატებლობად ჩავთვლი. ეს არის უმთავრესი მიზანი და მის მისაღწევად თავს არ დავზოგავ, ყველაფერს გავიღებ. თუ სხვაგვარად მოხდა, ჩემთვის ტრაგედია იქნება. ისეთ ფორმაში ვარ, არავისი მეშინია. სიდნეიში მედლის მოპოვებით ჩემი სპორტული კარიერის ყველაზე წარმატებულ პერიოდს ჩაეყრება საძირკველი. ყოველ შემთხვევაში, მე ასე ვფიქრობ“.

**ირაკლი თაგაძე**

ჭადრაკი

# კარპოვი ნაიდორფს თამაშით აფასებს

**სამხრეთ ამერიკა** ჭადრაკში უჩინო კონტინენტია. მისი ჩრდილოელი თანამოძმის გენიალური შვილები არიან: მორფი და ფიშერი, ყარიბის აუზისა — დიდებული კაპაბლანკა. სამხრეთში კი ვინ ვიცით? ისეთი არვინ, ბრძენთა თამაშის ისტორიაში გამოსარჩევი ფურცელი ჩაეწეროს, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, თითქოს იქ ჭადრაკს არ თამაშობენ. როგორ არა, მისდევენ, უყვართ და ხანდახან ერთი-ორი რიგიანი დიდოსტატიც გამოერევა ხოლმე, რომელსაც მსოფლიოს ელიტის აფორიაქება ხელეწიფება.

ამგვარი იყო მიგელ ნაიდორფი, არგენტინელი დიდოსტატი, კარგი მოთამაშე და თეორიაში ღირებულის მთქმელი. არგენტინაში ნაიდორფის მემორიალი ტრადიციულად იმართება და ხშირად ისეთი შემადგენლობა გროვდება, მისი სუპერტურნირად მონათვლაც არ იქნება დიდი ცოდვა. აი, ვინ ჩავიდა წლეულს ბუენოს აირესში: ანატოლი კარპოვი, იუდით პოლგარი, ნაიჯელ შორტი... მათ წარდგენა არ სჭირდებათ, ჟილბერტო მილოშზე კი იმას მოგახსენებთ, რომ ახლახან მსოფლიო თასის ნახევარფინალისტი იყო (სამხრეთამერიკელია, სხვათა შორის, ბრაზილიიდან). შვეიცარიელი ვადიმ მილოვის საჭადრაკო სიტყვასაც ჭადრაკის სამყაროში გვარიანი წონა აქვს. ცხადია, ადგილობრივ მოჭადრაკეთა დიდი რაოდენობაც შეიყარა და რადგან კარპოვთან ყოველი მათგანის დაჯახება არ ეგებოდა (ფრიად სხვადასხვა კლასია), არგენტინელებმა ჯერ შინაური ტურნირი გაითამაშეს და ელიტასთან საომრად თავიანთი 3 უძლიერესი მიავლინეს.

ძირითადი ტურნირის ორი ტური დამთავრდა. ყველაზე დამაჯერებლად ჯერჯერობით კარპოვი თამაშობს. პირველ ტურში ადგილობრივი ფლორესი ცელქობისთვის დასაჯა. ფლორესმა გარეგნულად უზადო კომბინაცია განახორციელა, მაგრამ მისი შედეგი ვერ განჭვრიტა, თუ რა მოხდა, ენდშპილში ლაზიერითა და ოთხი პაიკით შავების ორი ეტლის, მხედრისა და 2 პაიკის წინაშე დარჩა. ჯერ ფიგურათა ფარდობითი ღირებულების მარტივი არითმეტიკა კარპოვის მატერიალურ უპირატესობას უჩვენებს და თანაც შავები კარგად შეკრულ გუნდად იდგნენ, ფლორესის ლაზიერს კი რომელი ერთი პაიკისთვის მიეხედა? საერთოდ, ბრძოლა მაინც წინ იყო, მაგრამ არგენტინელმა ისეთი რამ დააშავა, ყველაფერს წერტილი დაესვა. იმ შეცდომის შემდეგ კარპოვი კი არა, ნებისმიერი დილეტანტი მოერეოდა თეთრებს. პირველსავე ტურში შორტმა შავებით ფრანგული დაცვა გონივრულად მოიხმარა და მილოვს 28 სვლაში მოუხაზა.

მეორე ტურში მილოვ-პოლგარის პარტია გამოირჩეოდა. ცენტრში ატეხილი რიარიის შემდეგ მხარეთა ცენტრალური პაიკები ერთმანეთს ზურგში მოექცნენ და გამსვლელებად იქცნენ. მილოვმა ორი სხვა პაიკის მოგება მოახერხა, მაგრამ პოლგარმა პოზიციის სტაბილიზება შეძლო და ნახევარი ქულა დაიმსახურა. ამ დროს კარპოვმა მილოშს ღია ბრძოლა შესთავაზა და გონივრული მანევრით შავი მეფე ტყვეობამდე მიიყვანა. კარპოვს ორი ქულა აქვს, მილოშს — არც ერთი. ზემოთ ეს უკანასკნელი მსოფლიო თასის ნახევარფინალისტად მოვიხსენიეთ.

**დავით გულუა**

ავტორბოლა

# სენას მოძმეები კარტშიც მაგრები არიან



ხუან მონტოია

CART

**კარტის** ჩემპიონატის მორიგმა, მე-17 ეტაპმა სატურნირო ცხრილი საკმაოდ შეიცვალა.

ბოლო ხუთ რაუნდში სამარცხვინო ჩავარდნის შემდეგ, როგორც იქნა, გაიმარჯვა შარშანდელმა ჩემპიონმა ხუან პაბლო მონტოიამ. 25 წლის კოლუმბიელმა ჯერ კვალიფიკაციის მოგებით (წლეულს მეექვსედ) იყოჩაღა, მეორე დღეს კი რბოლაშიც ყველას აჯობა. წლევანდელ სეზონში მესამე, კარიერაში კი მეათე დიდი პრიზის დასაკუთრებით მან ცხრილში სამი საფეხურით აინაცვლა და საპრიზო ადგილის შანსიც გაუჩნდა.

თითქმის 500-კილომეტრიანი დისტანციის შუამდე მაიკლ ანდრეტი იყო წინ, მაგრამ მის „ლოლას“ პრობლემები შეექმნა და ფინიშამდე 40 წრით ადრე ბრძოლას გამოეთიშა. ამერიკელ მრბოლს ზედიზედ ოთხ ეტაპზე მოეცარა ხელი და ჯერ საერთო ჩათვლაში ლიდერობას გამოეთხოვა, ახლა კი მესამე ადგილამდე ჩამოქვეითდა.

ერთბაშად ოთხი პოზიციით გაიუმჯობესა სატურნირო მდგომარეობა ფორმულის ექსპილოტმა, ბრაზილიელმა რობერტო მორენომ და დაწინაურებულ თანამემამულე ჟილ დე ფერანს ჩაუდგა კვალში. მართალია, თავად ფერანი ამჯერად მხოლოდ მერვე ადგილითა და ხუთი ქულით დაკმაყოფილდა, მაგრამ ლიდერობა შეინარჩუნა და უახლოეს მდევრებთან სხვაობაც ოდნავ გაზარდა.

ჩემპიონატის დასრულებამდე სამი ეტაპით ადრე ლიდერთა ჯგუფში ისეთი სიმჭიდროვეა, რომ ექვსი მრბოლი ინარჩუნებს პირველობის რეალურ შანსს.

**1. ჟილ დე ფერანი (ბრაზილია) — 137 ქულა; 2. რობერტო მორენო (ბრაზილია) — 129; 3. მაიკლ ანდრეტი (აშშ) — 127; 4. პოლ ტრეისი (კანადა) — 122; 5. ადრიან ფერნანდესი (მექსიკა) — 121; 6. კენი ბრაკი (შვედეთი) — 118; 7. ჰელიო კასტრონევეში (ბრაზილია) — 107; 8. ხუან მონტოია (კოლუმბია) — 106; 9. კრისტიანო და მატა (ბრაზილია) — 100; 10. ჯიმი ვასერი (აშშ) — 97.**

**FEDEX CART**
**მე-17 ეტაპი**

სენტ ლუისი (აშშ).
„მედისონის“ ავტოდრომი
236 წრე — 482 კმ.

1. ხუან მონტოია (ლოლა-ტოიოტა) — 1:55. 38,0;
2. პატრიკ კარპენტიე (რეინარდ-ფორდი) — ჩამორჩა 11,8 წამით;
3. რობერტო მორენო (რეინარდ-ფორდი) — 1 წრით;
4. კრისტიანო და მატა (რეინარდ-ტოიოტა) — წ;
5. ორიოლ სერვა (რეინარდ-ფორდი) — წ;
6. მაქს პაპისი (რეინარდ-ფორდი) — წ;
7. ჯიმი ვასერი (ლოლა-ტოიოტა) — წ;
8. ჟილ დე ფერანი (რეინარდ-ჰონდა) — წ;
9. ჰელიო კასტრონევეში (რეინარდ-ჰონდა) — წ;
10. ადრიან ფერნანდესი (რეინარდ-ფორდი) — წ;
11. კენი ბრაკი (რეინარდ-ფორდი) — წ;
12. კრისტიან ფიტიპალდი (ლოლა-ფორდი) — 1.

ველორბოლა



ედი მერქსი ველოსიპედს სიბერეშიც ვერ ელევა

# მერქსის რეკორდი გაცოცხლდა

**55 წლის** ლეგენდარული მრბოლი ედი მერქსი მსოფლიოს რეკორდსმენი გახდა.

როგორი დაუჯერებელიც უნდა იყოს, ეს სრული ჭეშმარიტებაა. ახლა „კანიბალის“ საკუთრებაა მსოფლიოს რეკორდი ერთსაათიან რბოლაში. არა, მერქსი სიბერეში ტრეკზე აღარ გასულა და ერთ საათში 49,43195 კილომეტრი არ გაუვლია, მაგრამ მაინც რეკორდსმენია. ბელგიელმა აღნიშნული შედეგი 1972 წლის 25 ოქტომბერს აჩვენა მეხიკოში, მაგრამ მას მერე ბევრმა გააუმჯობესა რეკორდი.

ბოლოს ყველაზე დიდი მანძილი ერთ საათში ინგლისელმა კრის ბორდმანმა დაფარა. მან 1996 წლის 6 სექტემბერს მანჩესტერში ამ დროში 56,375 კილომეტრი გაიქროლა.

რამდენიმე დღის წინ კი ველოსპორტის საერთაშორისო კავშირმა ბორდმანის მიღწევა საუკეთესო შედეგად მონათლა, ხოლო რეკორდად მერქსის მეხიკოში გავლილი მანძილი აღიარა. ველოსპორტის ჩინოსნებმა ამას საფუძვლად დაუდეს 1997 წელს შვეიცარიაში მიღებული „ლუგანოს ქარტია“, რომელიც ველოსიპედების ორ ტიპს განასხვავებს. ახლებური მოდიფიკაციების ველოსიპედით საათიანი რბოლის რეკორდის დამყარება აუკრძალავთ. ბორდმანმა კი მანჩესტერში „რევოლუციური“ ველოთი ირბოლა. ჰოდა, თუ ამიერიდან ვინმეს მერქსის ჯობნა უნდა, ეს მისნაირივე „კლასიკური“ რკინის ბედაურით უნდა შეძლოს.

ისე, „კანიბალის“ რეკორდი თავის დროზე კარგა ხანს იყო ხელშეუხებელი. მისი დამხობა მხოლოდ 1984 წლის 19 იანვარს მოახერხა იტალიელმა ფრანჩესკო მოზერმა (50,808 კმ), ოღონდ აპენინელს ამ საქმეში სპეციალური ველოსიპედი გამოუყენებია.

„რადგან ახალი წესებით („ლუგანოს ქარტიით“) ბორდმანის რეკორდის გაუმჯობესება, ფაქტობრივად, შეუძლებელია, გადავწყვიტეთ, „ველოსპორტის საერთაშორისო კავშირის საათიანი რბოლის რეკორდი“ და „საათიანი რბოლის საუკეთესო შედეგი“ ერთმანეთისგან გაგვემიჯნა“ — ნათქვამია ორგანიზაციის ოფიციალურ კომუნიკეში.

ასე რომ, 441 გამარჯვების მომპოვებელი ედი მერქსის რეკორდი, რომელიც მან 27 წლისამ დაამყარა, გაცოცხლდა. ნეტავ, როდემდე?

**გაიოზ თალაკვაძე**

„55-ე სკოლა“

გთავაზობთ გახანგრძლივებულ კლასგარეშე მომსახურებას I, II, III და IV კლასებისთვის. სათანადო დარგის კვალიფიციური პედაგოგები ძალღონეს არ დაიშურებენ, რათა ბავშვები დაახლოვონ ხელოვნების, მუსიკისა და ლიტერატურის საფუძვლებს; სურვილის მიხედვით ამეცადინონ ინგლისურ და/ან რუსულ ენებში, დაეხმარონ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის დავალებების დაძლევაში.

პატარები ისწავლიან ხელოვნების ისტორიის საწყის კურსს ლეგენდების თუ მითოლოგიის სახით. შესაძლებელია ანიმაციური ფილმის სპეციფიკის შესწავლა დაწყებით ეტაპზე. მსურველებს მიეცემათ საშუალება მონაწილეობა მიიღონ სატელევიზიო საბავშვო გადაცემაში „ჩიპო“

ცნობებისათვის დარეკეთ: 99 79 03 ლელა ჭავჭანიძე

ეროვნული ბიბლიოთეკა







# ცხოველები, შვილები და გვინეელები

არა მხოლოდ დიადი სპორტსმენებით განთქმულა ავსტრალია და არა მხოლოდ წყალში დგაფუნით, არამედ მსოფლიოში თავის უძველეს ცხოველებით. ოლიმპიურ სამთო ველომრბოლ ქალებს გზად ეს კეთილი ცხოველებიც შეჰყრიან. ესპანელი სილვია როვერა პატარა კოალას, სახელად იუკის ეთამაშება, ბრიტი ქეროლაინ ელიგზანდერი კი ციდა ვოლაბის უჩვენებს რეპორტიორებს. ეს გოგოები ვინმე რიგითნი არ გეგონოთ, 23 სექტემბერს ოქროს მედლისთვის იბრძოლებენ.

პაწაწინა ჰოლი მარკს კი უკვე ხელთა აქვს თავისი წილი მედალი. ოღონდ კი ჯილდო ვერცხლისაა და მამამის რასელს, ზოგადად ტყვიის ტყვიაში ჩამჯენ კაცს, დაბლ ტრეპის შეჯიბრში მოუგია.

სხვა გამოჩენილი კაცის ასაკით ცოტა უფროსი გოგონა, სახელად ჩელსი კი სხვაგვარი სროლებით მოხიბლულა. კერძოდ კი მშვილდოსნობით. კლინტონიანთ ქალწული გვერდით მისჯდომია ბატონ ჯიმ ისტონს, მშვილდოსანთა ფედერაციის თავკაცს.

ეს მედიადახვეული კეთილი ჯეელი კი დიდად ცნობილი კაცია ცურვის სამყაროში. ერიკ მუსამბანი ეკვადორული გვინეის წარმომადგენელია. მან მოცურავედ გახდომა წლეულს გადაწყვიტა თავის ორ თანამემამულესთან ერთად და ოლიმპიადაზეც მოხვდა. ის ორი ფალსსტარტებისთვის მოუხსნიათ, ერიკს კი თავისუფალი სტილით 100 მეტრი 1,52.72 წუთში გაუცურავს და ტაშის გრიალში ამოსულა აუზიდან.

თანადგომაც ასეთი უნდა.







სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი ზურაბ მეძველია
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი სოსო კოტორაშვილი
კალათბურთის რედაქციის რედაქტორი მერაბ რატიშვილი
ფეხბურთის რედაქცია. ვახტანგ ბზიკაძე, სოლომონ გულისაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, ვანო ოქროპირიძე; ინფორმაციის რედაქცია გია ახალაძე, ილია ბაბუნაშვილი, დავით გულუა, ავთანდილ გურასაშვილი, ირაკლი თავაძე, ავთანდილ სვანიძე; კალათბურთის რედაქცია გიო ახვლედიანი, გიორგი ბიკაშვილი, ირაკლი ფირაშვილი კორესპონდენტი ქუთაისში იუზა კაციტაძე ფოტორეპორტიორები გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე სტილისტები მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი კომპიუტერული ცენტრი ლია ბესელია, სვეტა დევაძე, მაგდა დოგრაშვილი, კახა თალაკვაძე, ტრისტან კახურაშვილი, ნინო კედელაშვილი, დავით ნადირაშვილი, მარიამ ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, ნინო ყუფუნია, თინათინ შიოლაშვილი, გიორგი ხარატიშვილი, გურამ ხელაშვილი
გამომშვები ზურაბ ინაშვილი

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@iberiapac.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge